


619  
1999



ԵՐՄԵՅ

№ 7- 8  
1999







კუპკინი თბილისში. გზვილოპით საოცნებო მხარავ...

მხატვარი თენგიზ სამსონაძე



## ბაკსური სიმღერა

გადავერიოთ ბახუსის ალებს,  
შორს სევდა — დარდი,  
ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს,  
ჩვენ რომ ვუყვარდით!

სავსე თასების ცბიერ ძალაში  
ნუ დაეჭვდებით,  
ჩაუშვით ღვინის სიანკარეში  
ჩვენი ბეჭდები:

ასწით თასები, გადაკვრათ უცებ,  
გადაცდეთ ჩარჩოს,  
ეს გაუმარჯოს მგოსნების მუხებს,  
აზრს გაუმარჯოს.

იბრწყინე მარად, დიადო მზეო,  
იბრწყინე მარად.  
ვით ეს სანთელი ჰქრება უმწეოდ  
მზის შუქით დარად,

ისე — ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს,  
ვით ნისლი რამე,  
იხრწნება, ჰქრება, გაუმარჯოს მზეს!  
ძირს ბნელი ღამე!

თარგმნა  
ბალაკტიონ ტაბიკაძე

\*\*\*

წამსვე, როგორც კი ჰკნება ვარდები,  
ამბროზიას რომ აფრქვევენ სრულად,  
ელიზიუმში მიფრინავს სწრაფად  
მარად მსუბუქი იმათი სული.

და სადაც მშვიდად მძინარე ტალღებს  
მიაქვთ ღუმილი და დავიწყება,  
სურნელოვანი მათნი აჩრდილნი  
ლეთაზე ჩუმად გაშლას იწყებენ.

თარგმნა  
ანა კალანდიაძე

## ნუ იმღერ ჩემთან, ლაშაზო ქალო

ნუ იმღერ ჩემთან, ლაშაზო ქალო,  
შენ საქართველოს სევდიან ხმაზე,  
მე მაგონდება, როცა შენ ვალობ,  
სხვა ცხოვრება და სხვა სილამაზე.

რა ვქნა, თუ შენი სასტიკი ქნარი  
ერთს მოგონებას შორეულს არხვეს,  
მე ვხედავ ღამეს, ველებს და მთვარით  
ანთებულ ქალის წამებულ სახეს.

ძვირფას ჩვენებას, საბედისწეროს,  
ვივიწყებ, როცა გიყურებ თვალში,  
და როცა ვალობ — იმისი ჩურო  
წარმომიდგება უეცრად მაშინ.

ნუ იმღერ ჩემთან, ლაშაზო ქალო,  
შენ საქართველოს სევდიან ხმაზე,  
მე მაგონდება, როცა შენ ვალობ,  
სხვა ცხოვრება და სხვა სილამაზე.

თარგმნა  
აკოლო იაშვილია

## ბოშები

ტყით დაფარული ნაპირის ახლოს,  
ოღეს მიმწუხრის ღუმილი სუფევს,  
ყველა კარავი მღერის და ლაღობს  
და ცეცხლი ყველგან ანთია უკვე.

ო, ლალო მოღვამე, სალაში შენდა!  
დამატკბო შენთა კოცონთა შუქმა,  
სიჭაბუკეში მეც თქვენთან ერთად,  
მზიარულ კარვებს მივსდევდი უკან.

როცა მზის სხივი იელვებს ხვალე,  
გაქრება თქვენი ნაბიჯი ნელი,  
თქვენ წახვალთ, მაგრამ მზიარულ კარვებს  
არ გამოჰყვება პოეტი თქვენი.

რადგან გზებსა და ღამეთა თევას  
და ახირებას ჭაბუკურ გულის,  
არჩია სოფლის სიტკბო და თვლემა,  
არჩია სახლის სიჩუმე სრული.

თარგმნა შოთა ჩანტლაძე

\*\*\*

მე თქვენ მიყვარდით, შესაძლოა იმ სიყვარულის  
ჩემს სულში ახლა კიდევ ერთს ოდნავი ალი,  
მაგრამ არ მინდა ამის გამო ვეტკინოთ გული  
და თქვენს წუხილში რაიმეთი მე მედოს ბრალი.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, ჩუმად, უთქმელად,  
ხან კრძალვა მძღვედა, ხან ეჭვებით ვიყავი სავსე:  
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად...  
ღმერთმა ინებოს, რომ თქვენ სხვასაც უყვარდეთ ასე.

თარგმნა ბაბრატ ოდიშელაძე

\*\*\*

პროპეციტო ჩრდილი ვარდების ბუჩქის,  
პროპეციტო თასი.  
უს გაუმარჯოს ჩვენს კვირვას კუშკინს!  
თამამად ასწით!

## ბალაკტიონი

### შუკოვსკისადმი

როს საოცნებო სამყაროსაკენ  
ამაღლებული სული გეწევა,  
ქნარი, რომელიც ღმერთებს მოსტაცე,  
შენი თითების ელის ხელწერას.

როცა ჩვენებებს ვერ მოიცილებ,  
სიბნელის ჯადო ცისკარს გავიწყებს,  
როს შთაგონების სწრაფი სიცივე  
გეახლება და თმებს გადაგიწევს.

შენ მართალი ხარ,  
შენ ქმნი სხვათათვის,  
მუცლითმეზღაპრეთ განუღქ გვერდზე,  
შენ მიმბამველებს ხალხად არა თვლი,  
შენ ტალანტების მეგობრებს ეძებ.

ყველას როდი აქვს ბედნიერება,  
დიდებას ყველა ვერ შევსწრებით,  
ნეტარ არიან, ვინც იგრძნო ვნება  
დიდი აზრების, დიდი ლექსების, —

ვინც მშვენიერი ხმა სანატრელი,  
აღანთო თრობის სათნო წამებად,  
ვინც მეზნებარება შენი ნათელის  
შეიგრძნო, როგორც აღფრთოვანება.

თარგმნა  
ჯანსუღ ჩარკვიანაძე



● დასრულდა ნავთობსადენის მშენებლობა, იგი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, მრავალი კეთილი სიტყვა ითქვა და საქართველოს მოსახლეობა იმედით შესცქერის მის მომავალს. მაგრამ ყველამ როდი იცის, თვით მშენებლობის პროცესში რამდენი სარგებლობა მოუტანა მან ქართულ ისტორიოგრაფიას, მთლიანად ეროვნულ კულტურას.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიერ მშენებლობის დაწყებისთანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი. ჯგუფის მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოავლინეს ათეულობით ახალი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა კვლევა-ძიება კვლავ გრძელდება.



– ნავთობსადენი, რომელიც საქართველოს თითქმის მთლიანად ჰკვეთს, – თქვა ბატონმა ვახტანგმა, – მიჰყვება „აბრეშუმის გზას“, რომლის აღორძინება დღეს ასე მნიშვნელოვანია ჩვენი სამშობლოსათვის. იმ უდიდესმა მასალამ, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ მილსადენის მშენებლობის პროცესში, ნათლად დაადასტურა ის როლი და მისია, რომელიც საქართველოს ენიჭება ამ ისტორიულ გზაზე.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებას წინ უძღოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში მასშტაბური მშენებლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომელმაც განაპირობა კვლევის მაღალ სამეცნიერო და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება.

გარდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა, სამუშაოებში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის და მცხეთის ინსტიტუტის ექსპედიციები. სამუშაოების არეალი რამდენიმე მიმართულებით გაიშალა – აზერბაიჯანის საზღვრიდან სამგორამდე, სამგორიდან სოფელ სუფსამდე, ტერმინალიდან ზღვაში დაძირულ მონაკვეთამდე. თუმცა წყალქვეშ არქეოლოგიური მასალა არ დადასტურდა, მდინარე სუფსის ჩრდილოდასავლეთის შესართავთან არქეოლოგებმა ზღვის ფსკერზე ორი უძველესი უცხოური ამფორა იპოვეს.

ჩატარებული სამუშაოების საშუალებით განადგურებას გადაურჩა მრავალი, დღემდე ჩვენთვის უცნობი,

ეროვნული კულტურის სხვადასხვა პერიოდის ძეგლი, მიღებულია სრულიად ახალი მეცნიერული ინფორმაცია საქართველოს ძველი ისტორიის მრავალ კარდინალურ საკითხზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სუფსის ტერმინალის მიდამოებში ჩატარებული კვლევა, რომელმაც წარმოაჩინა დემოგრაფიული სიტუაცია ძველი ქალაქის მიდამოებში ძვ. წ. მეშვიდე-მეოთხე საუკუნეებში. საქმე ისაა, რომ სადღაც ამ ზღვისპირა ზოლში მდებარეობდა ძველი სამყაროს უდიდესი სავაჭრო ცენტრი ქალაქი ფაზისი. ცნობებს მისი არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ ვხვდებით არაერთ ძველ ბერძნულ და რომაულ ხელნაწერებში, მაგალითად, სკილაქს კარიანდელის, არისტოტელეს, სტრაბონის, პომპო-





# ქრონიკონული ნახევარი...

ნიუს მელას, არიანეს და სხვათა. მაგრამ თვით ქალაქის მიკვლევა აქამდე ვერ მოხერხდა. ამდენად, მისი შემოგარენის შესწავლას, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღმოჩენილია აქამდე სრულიად უცნობი საკულტო ძეგლი საჩხერის მახლობლად სოფელ კორბოულში. ამ მიდამოებში ჯერ კიდევ 60-70 წლებში ისწავლებოდა ძვ. წ. მერვე-მეშვიდე საუკუნეების სამარხები, მაგრამ გორაძირის ბორცვის წვერზე მიკვლეულმა ნაშთებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.



შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები შესწავლილია ქართლში, სოფლების – თეზის და ოკამის მიდამოებში, ნავთობის სატუმბო სადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე. მილსადენის გარდაბნის მონაკვეთზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა აქამდე უცნობი ძვ.წ. მეორე-პირველი ათასწლეულის სამარხი კომპლექსები და მრავალფენიანი ნამოსახლარები.

მოპოვებული მასალა შემდგომ შესწავლას მოითხოვს. ამისათვის შექმნილია ყველა პირობა. იმის გარანტი, რომ ეს სამუშაოები პირნათლად დამთავრდება და ქართულ ისტორიოგრაფიას მრავალ საინტერესო ფაქტს შეძენს, გახლავთ ის საქმიანი კონტაქტები, რომლებიც ერთობლივი მუშაობის ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და მილსადენის კომპანიას შორის.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც ძეგლების გადარჩენაში პირადად შეიტანა საქართველოს ნავთსადენის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა ვია ჭანტურამ, საქართველოს მილსადენის კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა დენის სტიუარტმა, კომპანიის თანამშრომლებმა მარტონ ლედნორმა, რობინ ნორმანმა, მაია თავართქილაძემ, ზურაბ თოფურიძემ და სხვებმა.

არქეოლოგების და ნავთობსადენის მშენებელთა ურთიერთობა ორი გზით ხორციელდებოდა – გათხრების საშუალებით და სამშენებლო სამუშაოთა მეთვალყურეობით. ის არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შესწავლა არ მოხდა უშუალოდ მილსადენის მშენებლობის დროს, დაფიქსირდა არქეოლოგიურ კატალოგში, ისინი კომპლექსურად შეისწავლებიან მილსადენის ექსპლოატაციის პერიოდში.

საუბრის დასასრულს ბატონმა ვახტანგმა საჩუქრად გადმოცა შესანიშნავად გამოცემული და ილუსტრირებული კრებული „მილსადენის არქეოლოგია“, რომელშიც გაშუქებულია მოპოვებული მასალა. მან იმედი გამოთქვა, რომ არქეოლოგთა და მილსადენის კომპანიის ერთობლივი მუშაობის შემდგომი ეტაპი აისახება მეორე კრებულში, რომელიც უფრო ნათლად წარმოსახავს მილსადენის კიდევ ერთ ბრწყინვალე ნახევარს.





# ქართულ-აფსარული ბგერათმეცნიერების ერთიან პეღუი

გაიოზ ერადის ბოლო წლების პუბლიკაციების თემატიკამ მას აფხაზოლოგიური საკითხების სერიოზული და ორიგინალური მკვლევარის სახელი შესძინა. 1993 წლიდან, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ შრომებში, სრულიად ახლებური, ხშირად მოულოდნელი რაკურსითაა დანახული აღნიშნული პრობლემა. იგი რადიკალურად განსხვავდება მანამდე არსებულ ყველა სამეცნიერო მიმართულებისაგან. აფხაზოლოგიაში საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბებისას, გ. ერადე ყველა მიმართულების აფხაზოლოგ მეცნიერთა შორის სადაო თუ გადაუჭრელ საკითხებს, მხოლოდ „დიდ ავტორიტეტთა სამეცნიერო ინერციად“ მიიჩნევს, და მათ ერთ ლოგიკურ სქემას უქვემდებარებს. მის ნაშრომებში აფხაზეთის ისტორიის პრობლემატური საკითხები ნეიტრალური პოზიციიდანაა განხილული, დამთავრებული სახით წარმოდგენილი, მარტივად და ყველასათვის გასაგებად დასაბუთებული.

თავის გამოკვლევებში ავტორმა პირველად გამოიყენა მეთოდოლოგიური სიახლე. დაყრდნობა გაიორგინებული ნების ბგერათკომპლექსების ისტორიულ მდგრადობას, აზრობრივი მნიშვნელობებისადმი მათ განსაკუთრებულ სიმყარეს, ავტორმა ქართული ენის ისტორიული დოკუმენტის როლში წარმოგვიდგინა. შედეგად არ დააყოვნა. ყველა ისტორიულმა ტერმინმა, რომელიც აქამდე უშედეგო კამათის ობიექტებად ევლინებოდნენ მეცნიერებს, თავისი ზუსტი აზრობრივი მნიშვნელობა დაიბრუნა, ამკეტველდა და ერთ მკაცრ ლოგიკურ სქემაში განთავსდა. მეტიც, სამეცნიერო კვლევის პროცესში საკითხი თავისთავად გამოვიდა ე.წ. „აფხაზოლოგის“ ჩიხიდან და ზოგადკავასიური პრობლემატიკის საზღვრებსაც კი გასცდა.

კონცეფციის ძირითადი სიახლენი:

1. აღმოჩენილია კავასიის ქედის ჩრდილოეთის მხრიდან თავდაცვითი სისტემის არსებობა, რომელიც უძველესი დროიდან ასრულებდა მსოფლიოს ორ ნაწილად (სამიწათმოქმედო და სამომთაბარეო) გამოყოფის როლს.

იგი ეთანადება და ხსნის ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებულ „კავასიანის“-ს ვინაობას, როგორც ფუნქციონალური დანიშნულების, რეგიონალურ სასაზღვრო დასახლებათა ერთობას.

2. „აბაზა“ და „აფსუა“ ხალხის ერთობა განხილულია, როგორც ადიღურიდან სრულიად დამოუკიდებელი, „კავასიის“ თავდაცვითი, უნაგირული ტიპის სისტემის ისტორიული ნაშთები უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

3. ქართულ სიტყვიერებაში აღმოჩენილია ე.წ. „აფხაზურ გვართა“ „ბა“ ნაწილაკით სუფიქსირების ქართული სემანტიკა, როგორც უძველესი, შთამომავლობითობის აღმნიშვნელი პირველი ფორმა „მე“, „შვილი“ და „ში“-ს სინონიმური.

4. კონცეფციაში მცველი მნიშვნელობითაა გაშიფრული ყველა უძველესი ისტორიული წყაროები, მოხსენიებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კოლხეთის მიმართ სიმეტრიულად გაფანტული ისეთი ტერმინები როგორებიცაა: „კერკეტი“, „ჭინოხი“, „ქორაქი“, „სანიგი“ ყველა ისინი ფუნქციონალურ-სამეცნიერო კატეგორიაში აქვს მოქცეული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველივე ეს ვარაუდს კი არ წარმოადგენს, არამედ დადასტურებულია თვით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონით“.

5. დამტკიცებულია, რომ „ბას-ფას“ ბგერათკომპლექსების სიუხვე, რაც გადაულახავ სამეცნიერო ბარიერად ედგა აფხაზოლოგიურ კვლევებს ათწლეულების განმავლობაში, ქართული სიტყვიერების მახსოვრობით წარმოადგენს ზღვრის აღმნიშვნელი სიმბოლოს, რაც შესაძლოა იყოს როგორც მდინარე, ასევე ქედი ან მთა.

ეს უადრესად მნიშვნელოვანი მიგნება გამაგრებულია ისეთი საყოველთაოდ ცნობილი და უტყუარობით გამორჩეულ ავტორთა გამონათქვამებით, როგორებიცაა თვით სტრაბონი და არიანე, რომ აღარაფერი ვთქვათ უპირველეს რუსულ წყაროებზე, სადაც ქართველები პირდაპირ აბაზებად არიან განმარტებულნი და საქართველო-საბაზიანოდ.

6. ამ ბგერათკომპლექსებზე აგებული, შედარებით ახალი ისეთი ტერმინები, როგორებიცაა აბაზა, აფსარი ანუ აფსუა, აბაზგი თუ აფშილი წარმოადგენენ ერთი და იგივე თავდაცვითი თვითორგანიზებადი სამსახურის (კაზაკური ტიპის) დასახლებათა რეგიონალურ ტერმინებს. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ტერმინთა კომპლექტების ცვლას და არა შავიზღვისპირეთის მოსახლეობის შემადგენლობის ეთნიკური ხასიათის გადახალისებას ან მიგრაციას.

ტერმინთა ცვლა ახ. წ. მე-III საუკუნის დასაწყისში. ავტორის ეს მოსაზრება სრულიად ემთხვევა დიმიტრი გულიას შეხედულებებს აფხაზეთის ისტორიის ეთნიკური სურათის შესახებ, როგორც დიდი კოლხეთის მოსახლეობის განუყოფელი ნაწილისა, რასაკვირველია, თავდაცვითი ფუნქციის გამოკლებით, რაც მხოლოდ ავტორისეული კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია.

7. ყოველივე ზემოთქმულმა ავტორის საშუალება მისცა დაენახა ის ძირითადი აზრობრივი განსხვავება, რაც არსებობს ტერმინებს „აფხაზსა“ და „აფსარს“ ანუ „აფსუა“-ს შორის. რაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეთნოკომფლიქტის განვითარების შესანიშნავ საბაზად არის გამოყენებული დღეს.

8. მოცემულია ფორმულა: „ყოველივე აფსუა არის აფხაზი და ყოველი აფხაზი არ არის აფსარი ანუ „აფსუა“, ანუ სამეცნიერო ფუნქციის აღმსრულებელი აფხაზეთის მაცხოვრებელი აფხაზი.

9. „ბას-ფას“ ბგერათკომპლექსების ძიებამ კონცეფციის ავტორი გაიყვანა, შეიძლება ითქვას ფონეტიკურ გეოგრაფიაზე, რაც საგეოგრაფიოს უძველესი საცხოვრისის მთელ პერიმეტრზე ზუსტად ემთხვევა სტრატეგიული დერეფნებისა და გადასასვლელების ადგილმდებარეობებს და ამით დიდ დამაჯერებლობას ანიჭებს ამ ახალ მიდგომას აფხაზეთის პრობლემის იდეოლოგიურ მნიშვნელობას, თუნდაც სამომავლო ასპექტში.

10. ასე და ამგვარად, საფუძველი გამოეცალა ფონეტიკურ ეთნოპოლიტიკას, რომლის ტალღაში მოხვედრილი ქართველი ისტორიკოსები, ლინგვისტიკაზე დაყრდნობით, ათწლეულობით, ურთიერთკომფლიქტურ დამაბულობას ჰქმნიდნენ ე.წ. „აფხაზებსა“ და დანარჩენ გეოგრაფიანთა შორის.

ამგვარად უარყოფილია ე.წ. „აფხაზურ-ადიღური ტომების“ ლინგვისტური მოდელის ეთნიკური საფუძველი, ისტორიის საკითხებისადმი ენთამეცნიერული მიდგომის მცდარი მეთოდოლოგია.

\*\*\*

ორენოვნება კავასიის გეოგრაფიანთა შორის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც, ვთქვათ, გეოგრაფიული კონტრასტებით განპირობებული, მისხთა შორის ხასიათებისა თუ ეთნოლოგიურ თავისებურებათა მრავალფეროვნება! კავასიონის ზღუდის პირიქითეუში მაცხოვრებელთა შორის ორენოვნება აუცილებლობასაც კი წარმოადგენდა, სადაც ეთნოსაზღვარს პირობითი ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფოებრივ საზღვარს არასდროს დამთხვევია! ამ ზოლში, ათეული საუკუნეებით მაცხოვრებელთა ყოფის წესი გარემო პირობებთან შემგუებლობას მოითხოვდა ასევე უშუალო კონტაქტში მყოფ ეთნოსებთან. ასეთ ეთნომიუნურ ფენას ვხედავ კავასიის მთელ პირიქითეთში განფენილს „ლეკანის სამზღვრიდან ვიდრე ზღუამდე პონტოსი“.



ეთნომუზიკური ენები მათა ხეობებში ყალიბდებოდნენ სხვადასხვა პრინციპებზე. აღმოსავლეთ საქართველოს პირიქითეთში ვაინახური ენების ელემენტი დომინირებდა „ბაცხური“ (წოვა თუ შური) და „დვალური“ ენების სახით. დასავლეთ საქართველოს პირიქითეთში ადიღური ენების ლექსიკის ნარევი ჭარბობს როგორც „სვანურში“, ასევე „აფსარულში“. რა არის ამაში საკვირველი, გაუგებარი ან, თუნდაც, უარსაყოფი მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს სამეფო კარის ეთნომოძღვრებმა საჭიროდ არ ჩათვალეს საზღვრების დაცვის შესახებ ცნობები დაეტოვებინათ შთამომავლებისათვის (აფსარი კი არა, რუსთაველი „გამორჩათ“ მხედველობიდან!). ეს ხომ ფაქტების მთელი ჯაჭვია, რომელთა ერთ ლოგიკურ სივრცეში მოქცევა ახალი აზროვნების სივრცე ხსნის. ყველა ეს ენა ადგილი ყალიბდებოდა პირიქითეთში, კავკასიონზე უნაირული სქემით ცხოვრებისა და სამესაზღვრეო მისიის აღსრულების საუკუნოვანი ინსტიქტი. ჭარბების საზოგადოებაში რომ მოვიხდეთ ყოფნა, შეიძლება ვერც კი მიხვდეთ. ქართულად რომ საუბრობენ! აქ, ყველასათვის ხომ ერთი პრინციპი და ერთი მიდგომა უნდა მოქმედებდეს. ჩვენ კი „აფსართა ენა“, ლინგვისტიკის წყალობით, საკონფლიქტო საგნად ვაქციეთ! ტერმინები „აფსარი“ და „აბაზა“ არ არის ენისა თუ ეთნიკურ სამოსელში გასაზრევი კატეგორია. როგორც ეს ამას წარმოვიდგენთ, საკითხი მეცნიერულად სრულიად ურკვევადი ხდება! ისტორიული სახელები: „კერკეტები“, „ჰენიოხები“, „სანიგები“, „ქორაკები“, „აბაზგები“, („აბაზგები“), ა(ფშ)ილები ეთნიკურად ურკვევადია. ისინი თვითორგანიზებადი სასაზღვრო დაცვის ისტორიულად და რეგიონურად ცვლად სახელთა შესატყვისობაა, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აფსართა ენითაც დამტკიცდება!

„აფსარი“ – სამესაზღვრეო სამსახურის აღმსრულებლის ტერმინია.

„აფსართა ენა“ – კონკრეტულად მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით მდგარ „აფსართა“ თუ „აბაზათა“, „ებზეთა“, „ობეზთა“ კუთვნილება!

ასეთი ხედვით, ამიერიდან გონიერებას დაემორჩილება ორი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტის ერთდროული არსებობა: აფხაზეთის ქართული ისტორიული კულტურული მემკვიდრეობისა და მის პარალელურად მეცნიერთა მიერ (სახელთა ეტიმოლოგიურად გაუხსნელობის გამო) „არაქართულად“ შერაცხული სამესაზღვრეო მოსახლეობის ისტორიული თანადროულობა! იხსნება გზა ერთაბრძოლის აღიარებისკენ!

იქნებ აღარ დავაყენოთ ასე გამაღიზიანებლად „პატრიოტთა“, მტკიცებას მოკლებული თეზა, რომ „აბაზგები და ა(ფს)ილები თურმე „ძირველი“ ქართველებია, ხოლო აბაზგები და ა(ფს)ილები არა!“ – რაც, აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ გამოქვეყნებულ „პატრიოტულ-სამეცნიერო“ ლიტერატურის ძირითადი აპრიორული თემაა! ეს ხომ მხოლოდ აღრმავებს „აფხაზურ“ დაპირისპირებას!

ეს არის აზროვნების ის კუთხე, რომლითაც უნდა ვუყურებდეთ სამომთაბარო და სამიწათმოქმედო სამყაროთა დაყოფის მსოფლიო ისტორიულ მოვლენას, რომლის შემთხვევითი და უშუალო შემსრულებელნი ჩვენ აღმოვჩნდით, როგორც ძველი მსოფლიოს ამ ზონის მაცხოვრებლები!


დასასრულ, ყველა მიმართულების ჰიდრო-აფხაზოლოგებს მინდა წარმოვუდგინო ჩვენი კონცეფციის დამადასტურებელი მასალები „აფსართა ენის“ (ანუ მესაზღვრეთა) ლექსიკიდან. გავაკეთოთ სრული შედარებითი სურათი:

ივანე ჯავახიშვილი საკითხთან დაკავშირებით წერს: „ყველა შემომოყვანილი სახელები იმ თვალსაზრისითა და იმიტომ არის საყურადღებო, რომ ამ ფს-სა და ფშ-ს მდინარის სახელში აფხაზურად ვერავითარი განმარტება ვერ მოეძებნება, სამაგიეროდ კი ფსე ჩერქეზულად წყალს ნიშნავს, ფსუხუთ-კი მდინარეს“ (!) „ამავე მასალის ანალიზით აფხაზეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის ძველისძველი მოსახლეობის ტომობრივი ვინაობის გაგებაც ხერხდება“. (ჯავახიშვილს აქაც კვლავ ჩერქეზები ჰყავს მხედველობაში (!) თუ ყოველივე ეს სინამდვილესთან ახლოა. მაშინ „აფსართა ენაში“, ფონეტიკურ-აზრობრივ შესატყვისობათა არარსებობა სრულიად გაუგებარია! ამ დასკვნიდან ისიც გამომდინარეობს, რომ კოლხ-იბერებთან ერთად აფსარნიც არ ყოფილან ამ ტერიტორიის აბორიგენნი? ამ „საწყლო მოდელით“, ჩვენ, აფხაზებთან ერთად ვართ ასახლებულნი აქედან!

ახლა კი ვნახოთ, „ექებნება“ თუ არა „სასაზღვრო-სტრატეგიული მოდელით“, „აფსართა ენის“ ლექსიკაში, აზრობრივი შესატყვი-

სობები იმ მრავალ ფონეტიკურ კომპლექსებს, რომელთაც ჰიდრო-ეთნო მოდელში, ათწლეულობის განმავლობაში თავისი ადგილი ვერ ჰპოვეს!

1. ა(ფს)თ 2 რ – ჯარი, ლაშქარი!!! მისი შეკვეცილი ფორმა „არ“ (შეადარეთ აფსარს, როგორც სამესაზღვრეო კონტიგენტის ჩვენეულ წარმოდგენას).
2. ა(ფს)თა – ხეობა (როგორც ხედავთ, ხეობა და არა წყალი თუ მდინარე).
3. ა(ფს)თა – ტყვია. (დანიშნულებრივი ატრიბუტიკა).
4. ა(ფს)ა-შუბი, ლახვარი, ოროლი (იარაღი).
5. ა(ფშ)ი 2 ხურა – ზვერვა, დაზვერვა!!! (პროფესიულ დანიშნულებაზე მეტყველებს).
6. ა(ფშ)ი 2 ხუვ 2 – მზვერავი (აქაც!).
7. (ფს)2 ხუა – საშველი!
8. ა(ფს)ა – ფასი (როგორც ქართულში-ღირებულების ზღვარი).
9. ა(ფს)ადგილ-სამშობლო (აფსართ ადგილი სამშობლოს საწყისია – საზღვარი).
10. ა(ფს)ახრა – გამოცვლა, შეცვლა (ერთის დამთავრება, მეორის დაწყება).
11. ა(ფს)რა – ქრობა, გაქრობა (ანუ ბოლო, დასასრული).



12. ა(ფს) 2 – სული (აფხნის – აფხაზეთის, როგორც „სულის ქვეყნის“ განმარტება არასწორია. უნდა იყოს. აფსართ ქვეყანა). მრავალი შემთხვევა ეხება სიცოცხლის ბოლოს, დასასრულს, ასე მაგალითად:

13. ა(ფს)ათა – სასუფეველი. ა(ფს)ათაბზია – განსვენებული და სხვა მრავალი.

აქვე მოვავლით ქართული ლექსიკური ფონდიდან ზღვრის კატეგორიაში მოხვედრილ სიტყვებს: ა(ფს)კი, (ფს)კერი, (ფს)კი, (ფს)კვა, (ფს)კუნჯი, (ფს)კი!

ასე და ამგვარად, ქართული და აფსარული ენის ბგერათსიმბოლიკური სააზროვნო სივრცე ერთ სიბრტყეში მოექცა და აფსარული ლექსიკის აზრობრივი მნიშვნელობებით პირველად განმთავრდნენ! ასეთი მიდგომით, აფხაზოლოგიურ ძიებათა ლაბირინთში, ფს-ბზ-ფშ ბგერათკომპლექსები თავისი ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობით ერთ კატეგორიაში განთავსდნენ!

აქვე, ისტორიკოსებს სამომავლო გაფრთხილება მინდა შევთავაზო: ენაში დალექილი ისტორიული სინამდვილენი ენის ლექსიკაში უნდა ვეძიოთ და არა მისი მორფოლოგიური სტრუქტურის მსგავსებებში სხვა ენებთან!!!

რაზეც ვსაუბრობთ, იმდენად მარტივი, ვასაგები და ცხადია ამ ენებზე ყველა მოლაპარაკეთათვის, დამეთანხმებით, პროფესიონალი ლინგვისტების დახმარების გარეშეც მოეძებნა ამ საქმეს თავი! ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს განაცხადოთ, რომ თუ აფხაზოლოგიის პრობლემური საკითხები, ლინგვისტიკის დონეზე-ღარჩება გადასაწყვეტი, მაშინ ეს ამოცანა შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს! ჩვენი ისტორიული ერთიანობის მორყეული ცნობიერება ასეთნაირად უნდა აღდგეს!





დავით ხეროდინაშვილი და ამერიკელი პროფესორი მაკ-კარტი.

სულ ცოტა ხნის წინათ დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი გამოინვია 18 წლის ჯანდარელი „სასწაულმოქმედი ფენომენის“ გამოჩენამ. ყველა კუთხიდან მოაწყდა უშვილო ქალთა უწყვეტი ნაკადი მის ადგილსამყოფელს. მეტიც, მასთან ჩამოდიოდნენ ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდანაც. დედობის უდიდესი სურვილით გულანთებულები კვირაობით, ზოგჯერ კი თვეობითაც ქანცგანყვეტილები ელოდნენ მასთან შეხვედრას.

...რა მოყვა შედეგად ყოველივე ამას? – ცრუ დაპირებები, ფსიქოლოგიური ზეგავლენა, მოჩვენებითი ილუზიების აღზევება... და ბოლოს ყველაფერი საპნის ბუშტივით გაქრა. ქალი კი, რომელიც თითქოსდა დედობისთვის ემზადებოდა, ძლიერი სტრესისა და საშინელი იმედგაცრუების მსხვერპლი შეიქმნა.

მსგავსი შემთხვევები, სამწუხაროდ, არც ისე ცოტაა და საკვირველი სწორედ ის არის, რომ ეს ხდება არა პირველყოფილ ხანაში, არამედ XXI საუკუნის კარიბჭესთან, მედიცინის არნახული აღმავლობის ეპოქაში, ქვეყანაში, სადაც საყოველთაოდ აღიარებული გინეკოლოგის იოსებ ჟორდანიას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით დაარსებულმა ქალის გენერაციული ფუნქციის ინსტიტუტმა მთელი ნახევარი საუკუნით დაასწრო მსოფლიო გინეკოლოგიური ინსტიტუტების მიღწევებს. დღეს კი ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც პროფესორი არჩილ ხომასურიძე ხელმძღვანელობს, წარმატებით განაგრძობს თავის კეთილშობილურ მისიას.

აქ გინეკოლოგთა მთელი მოწინავე პლევად იღვწის იმისათვის, რომ ყველა ქალმა იგემოს დედობის უსაზღვრო სიხარული, ყველა მშობელმა განიცადოს ახალშობილის მოვლინებით გამოწვეული უდიდესი ბედნიერება. ოჯახის, ამ სოციალური ბირთვის ბიოლოგიური სანყისი ხომ ქორწინება და შობადობაა და სადაც არ ხდება ამ ორი უმთავრესი კომპონენტის ურთიერთთანხვედრა, ასეთი ოჯახი ხშირად დასანგრევებადაა განწირული.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი წყვილის ბედი უსხნიათ ჟორდანიას ინსტიტუტის მაღალკვალიფიციურ ექიმებს, რამდენი ქალი უქცევიათ ბედნიერ დედად.

თვალი გადავავლოთ სტატისტიკას: ინსტიტუტში ნამკურნალევი კონტიგენტიდან საშუალოდ წელიწადში იბადება 500-600 ბავშვი. ეს კი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ამიტომაც ივსება დილიდანვე ინსტიტუტის დერეფნები რაღაც უჩვეულოდ მომლოდინე სახეებით...

შემდეგ ექიმის იმედიანი სიტყვა, მკურნალობის მაღალი ეფექტი... სულ მალე კი ახალი სიცოცხლის ჩასახვის შეუდარებელი განცდა... დედობის უნეტარესი სურვილის აცხადება!..

ხდება ზოგჯერ ისიც, რომ მეუღლეებს ხელი აქვთ ჩაქნეული შვილის გაჩენაზე, მოვლილი აქვთ თითქმის ყველა „ინსტანცია“, რასაც ყური მოკრეს და ხელი მიუწვდათ, მაგრამ ამაოდ. რატომღაც, ბოლოს აქ ცდიან ბედს და ეს „უკანასკნელი შანსი“ ყველაზე იბლლიანი გამოდგება.

ხუთი, ათი და არის შემთხვევა ზოგჯერ თხუთმეტი წლის შემდეგ მათი ოჯახური ბედნიერება უმადლეს მიზანს აღწევს, უჩნდებათ შვილი და სიცოცხლეს ახალი ელფერი ეძლევა, უფრო მიზანსწრაფული და

მიმზიდველი ხდება... ამის მისაღწევად კი მუდმივი შრომა, ძიება და მიგნებაა საჭირო.

ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ნიჭიერი წინამძღოლის პროფესორ არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით უკანასკნელ წლებში მრავალ სიახლესა და მიმართულებას დაედო სათავე.

სწორედ მათი ინიციატივით საქართველოში, და კერძოდ ამ ინსტიტუტში, მსოფლიოში პირველად ცალკე დარგად იქნა გამოყოფილი რეპროდუქტოლოგია – უშვილობის მკურნალობა და ამ მიმართულებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში მისი დაფინანსება ვერ ხერხდება და ფაქტიურად ინსტიტუტი თვითდაფინანსების რთული გზით განაგრძობს მუშაობას.

მკითხველისათვის უფრო ნათელი და გასაგები რომ გახდეს ამ ახალი მიმართულების არსი და დანიშნულება, უპირველესად რეპროდუქციული პათოლოგიის განყოფილებისა და მისი ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით ხეროდინაშვილის მუშაობას უნდა გავეცნოთ.

\*\*\*

დღის 11 საათია. ექიმის კაბინეტის წინ უკვე საკმაო რიგი დგას. იქვე, შორიახლოს მდგომი თეთრხალათიანები ცდილობენ, დაიცვან პროფესორი „დაუპატიჟებელი“ სტუმრებისაგან. თუმცა, საქმე მთლად

# კიდევ ერთი ლაქაში სიზოზსლუ

ასე როდია. მან იცის ჩვენი სტუმრობის შესახებ. მაინც გვიწევს დაცდა. მალე ბატონი დათო ღიმილიანი სახით გამოაცილებს პაციენტს და კაბინეტში შეგვიპატიჟებს.

სანდომიანი სახის გამომეტყველება მის ბევრ კარგ თვისებაზე მიგვანიშნებს. სასიამოვნო მოსაუბრეა. როგორც გვითხრა, მისი არჩევანი არ ყოფილა პირდაპირი შთამომავლობითი „მემკვიდრეობა“. გეოლოგთა შტოს წარმომადგენელს ექიმის რთული და საპასუხისმგებლო პროფესია აურჩევია და ამით ნაწილობრივ ბიძისთვის, თერაპიის ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელისთვის მიუბაძავს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული 1970 წლიდან განაწილებით ოთხი წელი კასპის სამშობიარო სახლში მუშაობს მენ-გინეკოლოგად. შემდეგ კი კიევის სამეანო ინსტიტუტის მენაობა-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი. იქვე იცავს საკანდიდატო (1977 წ.) და სადოქტორო (1988 წ.) დისერტაციებს.

კიდევ ორი წელი და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებისა და მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის ექიმი-გინეკოლოგი დავით ხეროდინაშვილი ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეპროდუქციული პათოლოგიის განყოფილებას ჩაუდგება სათავეში.

ახლადდაარსებული განყოფილების წინამძღოლობა არც ისე იოლია, მაგრამ იგი ახერხებს ძალზე მოკლე დროში თავი გაართვას იმ სირთულეებსა და დაბრკოლებებს, რომელიც მის წინაშე დგას და ამით წარმატებული სახელი და რეპუტაცია დაიმკვიდროს.

გზის დასაწყისის ყველაზე მძიმე და რთული მონაკვეთი გავლილია, თუმცა ეს თვითდამშვიდების საბაზს როდია აძლევს.

ის მუდამ ახლის ძიებაშია და აღწევს კიდევაც მიზანს. ამიტომაც ენდობიან მის პროფესიონალიზმს, უტყუარ აღლოს და გამოცდილ-



ბას, ამიტომაც ჰყავს ამდენი მადლიერი პაციენტი.

ბატონი დათო საუბრობს, როგორც საქართველოს ზოგად დემოგრაფიულ პროცესებზე, ასევე ინსტიტუტის პრობლემებსა და მისი გადაჭრის ზეგზებზე. რა თქმა უნდა, თავისი განყოფილების მუშაობასაც არ ივინყებს. თუმცა უმჯობესია თავად მას მოვუსმინოთ:

– ჩვენთან დღეს უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობაა. თუ 1989 წელს საქართველოში იბადებოდა 95000 ახალშობილი, 1999 წლისთვის ეს მაჩვენებელი 50000-მდე დაეცა – ეს კი მეტად შემამაფოთებელი სტატისტიკაა და შობადობის მკვეთრ კრიზისზე მიგვანიშნებს.

ამის ძირითადი მიზეზი ის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციაა, რომელიც საქართველოშია. ფაქტიურად მესამე ბავშვზე არავინ მშობიარობს, მეორეზე მშობიარობს მცირე რაოდენობა. მშობიარობა ძირითადად განპირობებულია ახალდაქორწინებულთა ხარჯზე.

მკვეთრად გაიზარდა პათოლოგიური ორსულობის რიცხვი, როგორცაა ანემიები, ორსულთა ტოქსიკოზები, ნაყოფის განვითარების მანკები. ამაზე თავის ზეგავლენას ახდენს არასრულფასოვანი კვება, სტრესული ფაქტორები, გარემოს მავნე ეკოლოგიური ზეგავლენა. ამიტომაც თითოეული ახალშობილის სიცოცხლის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პირობებისა, 1995 წელს შემუშავდა სახელმწიფო პროგრამა – „უსაფრთხო დედობა“, რომელიც ითვალისწინებდა ორსულთა უფასო მეთვალყურეობას კონსულტაციების დროს და უფასო მშობიარობას. მაგრამ ბიუჯეტის არასტაბილურობამ და ხშირ შემთხვევაში გამოყოფილი თანხების გადაუხდელობამ



ოპერაციაზე.

შეუძლებელი გახდა ამ პროგრამის ნორმალური განხორციელება.

ასე მავალითად, 1999 წლისთვის ნებისმიერი მშობიარობა ანაზღაურდება 80 ლარით, ხოლო ორსულთა კონსულტაციები 26 ლარით. ეს ციფრები კი კომენტარს არ საჭიროებენ.

ამან განპირობა ალტერნატიული ფასიანი სამშობიარო სახლების შექმნის აუცილებლობა, სადაც ორსულიც და მშობიარეც უზრუნველყოფილია როგორც სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევით, ასევე შესაბამისი აუცილებელი კომუნალური პირობებითა და მომსახურებით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ჩვენი მაღალკვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტებული სამშობიარო სახლი, რომელიც ქავთარაძის 16-ში, ყოფილი „ლეჩკომბინატის“ შენობაში სულ რამდენიმე თვის წინ გაიხსნა.

სხვა სამშობიარო სახლებისაგან განსხვავებით აქ ფუნქციონირებს ფერადი ექოსკოპია, ენდოსკოპიური ქირურგია, ნაყოფის, ორსულისა და ახალშობილის გამოკვლევის ყველა თანამედროვე მეთოდი.

სამსუნხაროდ, ბოლო წლებში იმატა უშვილო ქორწინებთა რაოდენობამ. ამის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს სქესობრივი გზით გადადები ინფექციების მატება, რის ნიადაგზეც ვითარდება მილისმიერი უშვილობა. ნაწილობრივ საქმეს ართულებს ისიც, რომ სქესობრივი გზით გადადებ დაავადებათა მკურნალობა საკმაოდ ძვირი ჯდება.

დიდ პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე აბორტი. თითქმის ყველა სამედიცინო დანსებულებაში წარმოებს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის ოპერაციები, რომელიც ხშირად რთულდება ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებებით, რაც შემდგომში უშვილობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება.

საზოგადოებაში რატომაც ვავრცელებულია აზრი, თითქმის უშვილობის მიზეზი ყოველთვის ქალი იყოს, არადა პროცენტული შეფარდება, რომელიც ქალსა და მამაკაცზე მოდის, თითქმის თანაბარია, ამიტომაც ჩვენთან მკურნალობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები.

აბორტთან ბრძოლის საქმეში დიდ როლს თამაშობს ჩვენი ინსტი-

ტუტი და, კერძოდ, მისი დირექტორი პროფესორი არჩილ ხომასურიძე, რომელიც კონტრაცეპციის (აბორტთან ბრძოლის) დანერგვის პირობებზე ითვლება საქართველოში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ მისი თაოსნობითა და მხარდაჭერით ამ ორიოდე წლის წინ პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი მეცნიერული მიმართულება – რეპროდუქტოლოგია, რომლის ძირითადი ფუნქცია ქალთა უშვილობის მკურნალობაა, როგორც კონსერვატიული, ისე ოპერაციული მეთოდით.

პირველად საქართველოში ჩვენი ინსტიტუტში დაიწყო ლაპარასკოპიით (მუცლის ღრუს გაჭრის გარეშე) უშვილობის მკურნალობა. დღეისათვის ინსტიტუტში ყველა ოპერაცია მხოლოდ ამ მეთოდის გამოყენებით კეთდება.


გარდა ამისა, ჩვენთან დანერგილია ექსტრაკორპორალური (ე.წ. სინჯარაში) განაყოფიერება. უახლოეს ხანებში მივიღებთ აუცილებელ დანადგარებს, საზღვარგარეთ სტაჟირებაგავლილი პერსონალი უკვე მზადაა.

ინსტიტუტი არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი. კონტაქტები გვაქვს ჩვენი პროფილის მსოფლიოს ყველა კლინიკასთან და სამედიცინო დანესტულებასთან.

ინსტიტუტის პრესტიჟულობასა და მაღალ რეზონანსზე მეტყველებს ისიც, რომ აქ სამკურნალოდ ჩამოდიან უცხოეთის ქვეყნიებიდან, უმეტეს შემთხვევაში მათი „ვიზიტი“ იღვლიანი, საქართველო კი მათთვის საფიცარი ქვეყანა ხდება.

...სათქმელი კიდევ ბევრი ჰქონდა პროფესორ დავით ხეროდინაშვილს, მაგრამ დრო არ ითმენდა.

მისი სამუშაო კაბინეტის წინ უკვე ტევა აღარ იყო.



დავით ხეროდინაშვილი და არჩილ ხომასურიძე.

\*\*\*

ჩვენი შემდეგი სტუმრობა ფოტომასალის მოსაპოვებლად საოპერაციო დღეს დაემთხვა.

ინსტიტუტის ქვედა სართულებისაგან განსხვავებით, მესამე, საოპერაციო სართულზე სრული სიმშვიდე და ნესრიგი სუფევდა.

ჩუმად, ფეხაკრებით მიმოდიოდნენ „ცისფერ ჩაფხუტიანები“ უახლესი საოპერაციო დანადგარებით აღჭურვილ დიდ, ნათელ და ქათქათა ოთახში ოპერაცია მიმდინარეობდა.

უფრო ზემოთ განთავსებულ სათვალთვალ ოთახიდან კარგად ჩანდა ტელევიზორის ეკრანზე გამოსახული ოპერაციის მსვლელობა, რომელსაც ახალგაზრდა ქირურგთა ჯგუფი წარმართავდა.

მათ ყოველ მოძრაობაში სიდინჯე, მოქნილობა და იუველირის სიზუსტე იგრძნობოდა.

რამაზ ჩარექიშვილის, ვაჟა ჯაბადარის, არსენ გვერეტაძისა და პაატა ჩიკვაძის „კვარტეტს“ პროფესორი დავით ხეროდინაშვილი „ღირიფორობდა“.

პირველი შთაბეჭდილებით გამონვეული ნერვიულობა სადღაც გაქრა და საოცარი სიმშვიდე დამეფუფლა, როცა საოპერაციოდან მოსვლისას მათ კმაცყოფილ და ღიმილიან სახეებს შევხედე.

– როდის შეიძლება ავადმყოფთან გასაუბრება? – ერთადერთი შეკითხვა, რაც ბატონ დავით ხეროდინაშვილს დავუსვი, ეს იყო.

– ხვალ თუ შემოვიღოთ, გასაუბრებაც შეგეძლებათ და გზის დალოცვაც. ხვალ იგი უკვე შინ წავა.

იმედინად მიპასუხა ბატონმა დავითმა და მე ვირწმუნე, რომ ხვალ კიდევ ერთ ბედნიერ მომავალ დედასთან მელიოდა შეხვედრა.



\*\*\*

ქათინო კვინტრაქი

ნაზი ხელაია

\*\*\*

ტყუილად შოთთავს დღეს სანაპირო,  
ტყუილად ბორგავს სიზმრები ღამით,  
ქარებს გავატან ბროლს და საფირონს,  
აღარ მოვისმენ ირმების ბლავილს!

უეცრად ვტოვებ შენს ღამაზ  
კუნძულს,  
გადმიპატიჟებს კოშკში სვანებმა,  
ტყეში მგელივით მოჰყვება მუნძულს  
ჩემი ფიქრი და ჩემი ზმანება!

როგორ ნავარდობს ოცნება მშვიდი,  
ვერ იმეტებენ ბარტყები ბუდეს,  
და რასაც ვგრძნობდი, ვწერდი და  
ვშლიდი,  
ვანგრევდი ყველა საზღვარს და  
ზღუდეს!

რამ მომანატრა შენი კუნძული,  
კვლავ იმ ფერებით ვცოცხლობ და  
ვთბები,  
ღამე ვარდებით გადახუნძლული,  
და ტირიფები გაშლილი თმებით!

და ზმანებები ავი, საშიში,  
თითქოს სხეულზე ეკლებს ასობდნენ,  
შენზე სიმღერას ვერვინ დამიშლის,  
ვერ დაგივიწყებ ვეღარასოდეს!

\*\*\*

ვერ განვასხვავებ ცრუ და მართალი  
და, ალბათ, მალე მთელ წარსულს  
წავშლი,  
მთვარემ გაშალა ვერცხლის ფაფარი  
და მზე დაიხრჩო უძირო ზღვაში!

ღამის ზმანებებს დარაჯობს მთვარე,  
თითქოს უფსკრულის ნაპირზე  
ვწევართ,  
და უდაბნოთა ქარცეცხლით  
მთვრალეებს,  
დაკარგული გვაქვს მომავლის რწმენა!

სიზმრებს დაგვიფრთხობს თეთრი  
დათვები,  
გზა უდაბნოსკენ მიდის ნამდვილად,  
და სადღაც მაინც მოჩანს ნათელი,  
და სადღაც მაინც თენდება დილა!

სხვადასხვა ცაზე გადმოფინეს ჩვენი  
ალმები,  
ერთად ბუდეებს იშენებენ მხოლოდ  
წყვილები,  
ტანაშოლტილი, მოცეკვავე მოჭრეს  
ალკები,  
ცოცხლებზე უფრო მკვეთრად  
მახსოვს გარდაცვლილები!

გაფერმკრთალებულ აისებში  
გაიხლართება  
ჩემი მომავლის ჭლექიანი, ბერწი  
თვალები,  
და ყალბი ცეცხლი, როგორც ტვინის  
მწვავე ანთება  
შემომენტება უფერული აელვარებით!

და დამნაშავე ბედისწერა მიკოცნის  
ხელებს,  
ტირის, წკაწკავეს, ისე როგორც  
ნაცემი ლეკვი,  
მხოლოდ სევდის და ტკივილის მერე  
ღამის გვირგვინი დამადგან ეკლის!

...ერთად ბუდეებს იშენებენ მხოლოდ  
წყვილები,  
ცოცხლებზე უფრო მკვეთრად  
მახსოვს გარდაცვლილები!

\*\*\*

არ მჯერა, მაღალო ღმერთო,  
არც ერთი სიზმრის და ზღაპრის,  
ნეტავი, რა ცეცხლი ენთო,  
იმ დღეებს, იმ მზეს და აპრილს!

არ არის საშველი არსად,  
არცვინ და არცარა არ მწამს,  
კედლებზე სუროდ და ხავსად,  
წარსული ნაკვალევს დაწნავს!

მაისი გულივით ფეთქავს,  
ახალი გრძნობით და მიზნით,  
ვიყავით ოდესმე ერთად?  
ან ეგებ მახსოვხარ სიზმრით?!

ისევე

ცაზე თეთრი ნისლეგია გამოსული,  
ბურუსებში ისევე ჩემი ფიქრი დაობს,  
ჩამიდგება მკერდში ისევე უცხო სული,  
ვხლები წვის და მწუხარების  
საჯილდაო.

ისევე ფეთქავს გულის ტბასთან უცხო  
სახე,  
სისხლი უნდა გულგრილობით  
გამიზაოს,  
ძარღვში მდგარი სურვილის ხმა  
ამომძახებს:  
გიგანტ ეჭვთან შეჭიდება მომინდაო,

გზას ვერ იგნებს ათასნაირ  
ჟრიამულში,  
ცრემლით ფხიზლობს დაბნეული  
სუსტი რული,  
სადღაც, მოკვდავ და სევდიან  
გაზაფხულში,  
ტირის ჩემი თალხიანი სიხარული.

დასასრული

დამთავრდა ასე:  
- ცა გაფურჩქნული  
იდგა მწყურვალი მიწის წინაშე,  
იფარებოდა იმედის ხნული -  
ნისლი ფარავდა  
და ცრემლი მლაშე...

და იწყებოდა როკვა,  
გნიასი  
შორს,  
მიბნეილი ლანდების ქვეყნად,  
იღუმალება საყორნიასი  
კვლავ საუცხოო ფრინველებს ეპყრა.

მიმოდინდნენ  
წყვილი ლანდები,  
იდგა ჰაერი ცისფერი შუშის,  
თრთოდნენ კურცხლებად  
ბრილიანტები,  
ქარი კიოდა მომტირალ სულში...



ალექსანდრე ბუაჩიძე

მთვარესთან

და ისევ შენთან განვმარტოვდები,  
შენთან ფიქრებიც დნება და იწვის,  
ჩამომპატირე შენი ტოტები  
და ჩემს უენო სატკივარს მიწვი.

შენ, სევდის ტბაში რომ ცურავ ისევ,  
მაინც ციური მითები გიცდის,  
ჩემი სამანი დარდია მქისე,  
მისი ზღაპარი არავინ იცის,

არავინ იცის ცრემლის გზა, არა,  
თუ რა შავბნელი ჰქონდა ამინდი,  
არ იცის, მაღალ ხელმწიფის კარად  
ეკლის გვირგვინი როგორ დავიდგი...

\*\*\*

და მზის სხივებისგან  
გულმკერდდადალული  
ტორტმანებს მიწა და  
ცას ცისფერს უწუნებს.

ერთი მღელვარება ისევ მომერია:  
– ნეტავ, რას მიქადის ჩემი საუკუნე?!

მე ხომ  
ჩემი თავი კალმით გავაჩინე,  
თავი არც მგონია  
სხვაფერად განაჩენი,  
არ გაძლებს ბოლომდე ეს ზღვა  
ალტკინება,  
ანდა, არც იქნება წლები დანარჩენი.

სულაც არ დავეძებ,  
– ფიქრით დავითანჯო,  
გადანაფიქრალი  
რად ვარგა ცხოვრება,  
რაც კი შემრჩენია, ლექსად  
დავიხარჯო,  
მქონდეს დავიწყებაც და  
დამახსოვრებაც!

ჩემი თაობის ქალბატონებს

ჩვენ უკან დაგვრჩა ახალგაზრდობა,  
სიცოცხლის წრფელი, ლურჯი  
ფურცელი,  
ყველა შეხვედრას, ყველა გართობას  
და განშორებას ჩვენ გავუძელით.

თქვენში ყველაში შეყვარებული  
და იმავე დროს სულ მარტოსული,  
თქვენთან ვთვრებოდი გაღაღებული,  
ჩემს თავთან მქონდა კონფლიქტი  
სრული.

შორიდან ისევ თქვენი თვალები  
მომავონებენ წარსულის დღეებს,  
მაინც რა სწრაფად, რა გამაღებით  
უუახლოვდებით გადაღმა შრეებს.

ჩვენ უკან დაგვრჩა უდარდლობა,  
ზღვარგადასული გრძნობის თამაში,  
და ცაში ფრენის ჩვენი მცდელობა  
გადაეშვება უფსკერო ზღვაში.

\*\*\*

აღარ არსებობს, დამეკარგა სილალის განცდა,  
ეტყობა, დიდხანს გავუჩერდი ცხოვრებას სტუმრად,  
არ შემიძლია რეტიანი სიბერის დაცდა,  
ექიმბაშებზე ოცნებები და ჯღომა ჩუმაღ.

გარს შემოგვერტყა ანარქია ჩვენ სრული უკვე,  
იგულისხმება საქართველო სადღაც რომ არი,  
მოგონებებში ვიძირები, გარდასულს ვუხმე,  
მინდა წარსულით გავიცოცხლო გრძნობები მკვდარი.

აუარება წავიკითხე მე წიგნთა რემა,  
აურაცხელი გადვიყვარე მე ქალთა გუნდი,  
ამაოების ბაზარია სურვილი ყველა,  
სიცარიელე მახრჩობს, როგორც კისერზე ხუნდი.

მე სიყმაწვილე მახსოვს მარტო, და არა ჩემი,  
ვერ ვგუეები ამ დროს – ჩარჩთა სიმრავლე მძალავს,  
იწელებიან დამეები, დამოკლდნენ დღენი,  
თუმც ერთნაირად დღეც და ღამეც მზაფრავს და მძალავს.

აღარ არსებობს, გაქრა ფრენის სივრცეში განცდა,  
ჰაერი აღარ მყოფნის უკვე და სხვა გზას ვეძებ,  
არ შემიძლია რეტიანი სიბერის დაცდა...  
ვიცი, შენ მოხვალ და მე უნდა დავიხვდე ზეზე...

წლებმა ცეცხლი გაანელეს გულში,  
მაგრამ ძველი მოგონება ბრწყინავს,  
ყველაფერი იყო თითქოს გუშინ,  
მეთთხედი საუკუნის წინათ.

აქ ზღაპარში მივდიოდით ერთად,  
გაქცეულან, გაფრენილან წლები,  
მახსოვს ქარი და გრიალი ხეთა –  
ის პირველი პაემანი ჩვენი.

ახლა ზიზარ სიგარეტით ხელში,  
ჰყვები ამბავს და სიცილით კვდები,  
შეგრჩენია ძველებური ეშხი,  
წამწამებთან ჩამოყრილი თმები.

ირგვლივ ახლებს გაუმართავთ დავა,  
დროა ბაზრის, დოლარის და კევის,  
ჩვენს ქალაქში ემიგრანტებს ვგავართ  
და თბილისიც აღარა ჰგავს თბილისს.

გარდასული სიყვარული გულში  
დაუვიწყარ მოგონებად ბრწყინავს,  
ყველაფერი იყო თითქოს გუშინ...  
მეთთხედი საუკუნის წინათ.



# სულ ზეპით, ზეპით,



„ქმნადობის უმაღლესი მიზანი არის ის, რომ ადამიანი თავის ტრანსცენდენტურ მეს დაეუფლოს, თავის მეც მე გახდეს“

(ნოვალისი)

● ერთ-ერთ დიალოგში პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა კითხვაზე: რა არის სიყვარული, რა ფასი აქვს სიტყვას, ვის ჰქვია პოეტი, ვისი მსახურია იგი, ასე მიპასუხა:

„სიყვარული მზის სხივებში გახვეული სიტყვაა, რომელიც თვალშეუდგამი სინათლიდან მოდის. ვისთან მოდის? – უპირველეს ყოვლისა, პოეტთან. სიტყვა – ღმერთია, ღმერთი – სიყვარულია, თვალშეუდგამი სინათლე – ღმერთია. ხელავთ, როგორ არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთზე ეს სიტყვები? ერთნი არიან და მისთვის. პოეტი სიტყვის მსახურია, სიყვარულის მსახურია, ესე იგი – ღმერთის მსახურია პოეტი“.

ეს სტრიქონებიც მას ეკუთვნის: „ჩქარა, ჩქარა, ალავერდი, ჩქარა, ჩქარა, ბეთანია, უღელტეხილს გადავედი, გულიც ცოტა შემკრთა-

ლია. ჩქარა, ჩქარა, მცხეთის ჯვარი, ჩქარა, ჩქარა, შიომღვიმე, შეგიცანი, შეგიცანი, გევედრები, შემომღვიმე. ჩქარა, ჩქარა, დუღს მამული, უფრო ჩქარა, ჩემო თავო, თორემ ღმერთმა უცნაური, რაღაც უნდა შემოთვალოს“.

პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ვაჟია მამუკა ჩარკვიანი. მომღერალი (პროფესიით – ფილოლოგი).

მამუკა შედარებით გვიან მოვიდა ქართული ესტრადის სამყაროში და მოიტანა სურვილი იღუმალის ტკივილის, განცდის და ნაფიქრის სიმღერის ენით გამოხატვისა. იგი ლექსებს არ წერს, მაგრამ მისი ხელოვნება, მისი ყოველდღიური ყოფა, ფიქრი და ოცნება სწორედ ამ სულისკვეთებით, შემოქმედის მაღალი დანიშნულების შეგნებითა და მამულის უსაზღვრო სიყვარულით არის ნასაზრდოები.

მამუკა იმ სამყაროში აღიზარდა, სადაც პოეზია, საერთოდ, ხელოვნება ღმერთის მსახურებად მიანჩნდათ. მას ბავშობიდან ესმოდა ტკბილი ქართული სიტყვა და ჰანგი. ალბათ ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ მუსიკა, ლამაზ სიმღერად გარდაქმნილი ქართული ლექსი, მისი ცხოვრების არჩევანი გახდა.

ხელოვნება აღმაფრენაა. მაგრამ ის არანაკლებადაა დარდი, სევდა და ფიქრი, რადგან თავად ცხოვრებაა ასეთი. ამას გვაგრძობინებს მამუკას მიერ შექმნილი და შესრულებული თითოეული მუსიკალური ნაწარმოები.

ამგვარი სიმღერით შემოვიდა იგი ჩემი თაობის ცხოვრებაში.

აპრილის ერთ მშვენიერ საღამოს, თბილისის ფილარმონიაში ანშლაგით ჩატარდა მამუკა ჩარკვიანის კონცერტი. გაოგნებული ვუსმენდი: ის სიმღერები, რომლებიც ჩემთვის ბავშობიდან ასე ნაცნობი იყო, დროს ოდნავაც არ გაუხუნებია. პირიქით, ყველა მეტი გრძნო-

ბით და ემოციით არის დატვირთული. აღარას ვამბობ ახალ სიმღერებზე, რომლებსაც ახალგაზრდა კომპოზიტორისა და მომღერლის თაყვანისმცემლები გულწრფელი აღტაცებით შეხვდნენ.

სრულყოფილი ხმოვანების აღსაქმელად სულაც არ არის აუცილებელი პროფესიონალი იყო. „პროფესიონალიზმი“ უპირატესად გრძნობაში, სულის მიერ განცდაშია აუცილებელი და საჭირო. სწორედ ეს უნდა გქონდეს მომადლებული, გუმათით უნდა ხვდებოდე, როგორ აგრძნობინო შენს მსმენელსა და მაყურებელს ჭეშმარიტი ხელოვნების სურნელი.

მამუკას სიმღერებში ფეთქავს სულში გადანახული და მრავალი წლის დაგვიანებით გაცოცხლებული განცდები, ნაღვლიანი და თან საოცრად ღრმა.

მოვეუსმინოთ თავად მამუკა ჩარკვიანს:

„თვრამეტი წლისა რამდენიმე სიმღერის ავტორი ვიყავი. ვერთობოდი, ჩემით ვისწავლე ფორტპიანოზე და გიტარაზე დაკვრა. ვმღეროდი და ვუკრავდი დაუსრულებლად – ოჯახში, მეგობრებში, ახლობლებში, სუფრაზე, უბრალო თავშეყრის ადგილებში. წლების განმავლობაში მეუბნებოდნენ: რატომ არ მღერი, უნდა იმღერო...“

1996 წელს თბილისში გაიმართა მუსიკალური ფესტივალი „ლიგა 96“. მამუკას სიმღერა „მწვანე რტოები“ სამ ნომინაციაზე წარადგინეს და ერთში პირველი ადგილიც მოიპოვა. ყველაფერი აქედან დაიწყო...

შემდეგ იყო „ჩამოთოვა“. ამ სიმღერას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც მსმენელთა შორის, ისე პროფესიონალთა წრეებშიც.

– „სტილი, მანერა... ალბათ მაქვს, რახან ამდენი ადამიანი მოვიდა ჩემს მოსასმენად. ქართულნი-აღავთან, ფესვებთან კავშირი – აი,



# ქვლე და ქვლე!

რა არის ჩემთვის მთავარი. ჩვენ ხომ უმდიდრესი ფოლკლორის პატრონები ვართ. ჩემი მუსიკა სწორედ მასზეა დამყნობილი, ოღონდ – ჩემი უფლები ინტერპრეტაციით. გენი, ჯიშოც ვასათვალისწინებელია ალბათ. ჩემი ოჯახის ყველა წევრი მღერის, მღეროდნენ ჩემი წინაპრებიც...

„მომავლის სიმღერა ტრადიციიდან უნდა იღებდეს სათავეს, ოღონდ – ახლებურად და, რაც მთავარია, უნდა დაიწეროს, გაფორმდეს და შესრულდეს გემოვნებით (გაფორმებაში არანაწიერებას ვგულისხმობ). ასევე, აუცილებელია პოეზიის და მელოდიის ლამაზი თანხვედრა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციის შერჩევასაც, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს მუსიკალური სახეების შექმნაში. ინტონაციურ თავისებურებებში ვლინდება მუსიკოსის ეროვნული მეობა, ხალხის მუსიკალური აზროვნების თვითმყოფადობა.

...ახლა კომერციის და ექსპერიმენტების პერიოდია. საშიშია აქ არაფერია. სხვა ქვეყნებშიც იგივე ხდება. იცვლება სტილი, გემოვნება, შემდგომ კი, დროთა განმავლობაში, ხშირად ეს სიახლე კვდება, იმიტომ რომ, იმ ერისთვის არაა დამახასიათებელი. რაც ღირებულება, აუცილებლად დარჩება. ახალი, ავანგარდული, აუცილებლად ტრადიციისაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ავანგარდი, თუ ქართულ ტრადიციულ სიმღერას ეფუძნება, გაიმარჯვებს.

მართალია, არსებობს ერთგვარი პროვინციალიზმის საშიშროებაც, მაგრამ იმას, რაც საუკეთესოა, რა თქმა უნდა, ვერც ის მოერევა. შემოქმედმა შენი საქმე უნდა აკეთო და რაც ხელს გიშლის, ყურადღება არ მიაქციო. ისე, მთავარი ნიჭია, მერე – პიროვნება, აღზრდა, განათლება, ინტერესთა სფერო, გემოვნება, პირადი გამოცდილება, ავტობი-

ოგრაფიული იმპულსები და რაც მთავარია, – გამუდმებული შრომა.

ზღვარზე სიარულია საჭირო. ვთქვათ, რომელიმე ნაცნობ ქართულ მელოდიაზე ახალს ქმნი, ქართული ფესვებიდან ამოგყავს, გინდა, რომ სადღეისო, თანამედროვე გახადო. სწორედ აქ უნდა დაიკვა ზომიერება. ზუსტად უნდა იცოდე, ორი ჩახვეული გააკეთო თუ ერთი. ერთ სანტიმეტრშია ხშირად სხვაობა. ერთი სანტიმეტრი თითქოს არაფერია, მაგრამ ეს არის ის ზღვარი, რომლითაც შენ განსხვავდები ვიღაცისაგან. თუ არადა, იმ ერთი თუ ნახევარი სანტიმეტრის იქით... ისეთივე ხარ. ზომიერება და თავმდაბლობა – მუსიკაშიც ესაა ჩემთვის მთავარი. სისადავით მოდის ის, რითაც მსმენელმა უნდა მივიღოს, დაგაფასოს. ასევე – გულწრფელობით. როდესაც გულწრფელი ხარ, მელოდია ზუსტად მიდის მსმენელამდე.

ხელოვნება სულის სიშიშვლეა. ბოლომდე უნდა გახსნა სული, მე ბოლომდე ვცდილობ დავიღვარო, ბოლომდე დავიხარჯო...

შეიძლება ამიტომაც მყავს ასეთი განსხვავებული მსმენელი.

...ახალ თაობაში, მისი უშუალო და ყოველგვარი სიყალბის სიმულვილი მხიბლავს. ყოველ თაობას თავისი პრობლემები, სიახლისკენ სწრაფვა მოაქვს. ასე იყო მუდამ და ასე იქნება. მე დღევანდელ თინეიჯერებთანაც კი მაქვს ურთიერთობა. მთავარია, შენ გადადგა მათკენ ნაბიჯი, შენ წახვიდე კომპრომისზე.



ხშირად მიფიქრია – მე რომ თვრამეტი წლის წინ მემღერა, ჩემი სიმღერები შეიძლება ჩემს თაობას ვერც კი გაეგო...”

აღამიანის ცხოვრება მისი ნამოღვაწარით ფასდება, რომლის რაობის ერთი მთავარი განმსაზღვრელი ალბათ სულიერებაა. ხელოვნება მამუკასთვის „სულის სიშიშვლეა“, რაც ასე ცხადად გამოსჭვავის მის სიმღერებში. მისი მელოდიები სულის სიღრმეში გვახედებს. გავისხენოთ თუნდაც „ფიქრები დროშაზე“, სვანური ზარის სტილში.

...დიდი ხნის ნანატრი ნაპირი...  
მამუკას სიმღერაში, როგორც თავად ღიმილით ამბობს, სასიცოცხლო ენერჯის „სწორად ხარჯვა“ დაიწყო. მისი ერთ-ერთი სიმღერის მისამღერი ასეთია:

„სულ ზევით, ზევით, მალლა და მალლა,  
ნაცრისფერ გზებზე, შენს  
თვალებს ვუმზერ,  
სინათლის ფერი, მობრუნდა  
წაღმა,  
დაუბნევია, მისაკი გულზე...“

სულ ზევით და ზევით, მალლა და მალლა სვლა ვუსურვოთ მამუკა ჩარკვიანს.



# გაუმარჯოს ლეონიძეს

თინათინ კობალაძის კუბლიკაცია

კარგი ტრადიცია აქვს აჭარის რადიოს: მისი მუშაკები წლების მანძილზე იწერენ და ინახავენ ცნობილ ადამიანთა ხმებს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ერთი – გლაკტიონ ტაბიძის ხმის ჩანაწერი, მისი „მთაწმინდის მოვარე“, რომელიც ბათუმის რადიოდ შემოგვინახა. აქვე ნახავთ გიორგი ლეონიძის აჭარა-მესხეთისადმი მიძღვნილი ლექსების საკმაოდ მდიდარ ციკლს...

ეს ჩანაწერიც ბათუმის იშვიათი ჩანაწერების ფონდიდანაა. იგი ეკუთვნის ცნობილ მწერალს დემნა შენგელაიას. ესაა სიტყვა გიორგი ლეონიძეზე, დიდ ქართველ პოეტზე, რომელიც დემნა შენგელაიას 1969 წლის შემოდგომაზე, პოეტის 70 წლის საიუბილეო საღამოზე წარმოუთქვამს. იგი ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და პირველად ქვეყნდება.

„მე ძალიან მიჭირს გოგლა ლეონიძეზე ლაპარაკი. მე მიჭირს წერაც მასზე. დიდი ხანია ვეშხადები, მაგრამ ვერაფრით კალამი ვერ დავიმორჩილე. იმდენად შორეული და იმდენად ახლობელი იყო ჩემთვის გოგლა ლეონიძე. იგი იყო ჩემი სიყრდის მეგობარი და მიჭირს მასზე წერა... ეს ძალიან მწელია... ეს არის თითქმის ტირილი. ჩვენ დიდად ახლობლები ვიყავით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მე თბილისის გიმნაზიაში ვსწავლობდი და გოგლა სწავლობდა ქართულ სემინარიაში. ჩვენ ერთი წუთითაც არ გავცივდებოდა კავშირი ერთმანეთთან. გოგლა იმთავითვე მოუსვენარი და დაუღვარე კაცი იყო. იმთავითვე პოეტურად შექვრდა გულში. იმთავითვე საოცარი იყო მისი პოეზია, მისი პოეტური ტალანტი... ამასთან იგი იყო საოცრად მოქმედი და აქტიური მწერალი...

მასსოვს თავიდანვე იყო გატაცებული გამომცემლობით... ის იყო რედაქტორი ერთი პატარა ჟურნალისა... მასსოვს კიდევ ის ცისფერი ჟურნალი, რომელსაც „საჭირონი“ ერქვა. ის იყო რედაქტორი „ბახტრიონისა“, რომელიც წლებია მანძილზე გამოდიოდა. შესანიშნავი გაზეთი იყო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას. მე მასსოვს, როგორ დაუკავშირდა გოგლა „ცისფერყანწელების“ ჯგუფს, მასსოვს ის პირველი ვაზშია, მისი „ნათლობის“ აღსანიშნავად რომ გამართეს. მასსოვს, როგორ ადგა პაოლო იაშვილი და მიმართა:

გაუმარჯოს ლეონიძეს,  
პოეზიის ახალ სიძეს.

როგორ ამაცობდა, როგორ უხაროდა გოგლას... მართლაც შესანიშნავი იყო ის დღეები... მასსოვს შემდეგ... როგორ დაუღვარე და დაუსვენებლად მუშაობდა იგი ფეშანგისა და სხვა ძველი ქართველი მწერლების შემოქმედებაზე... მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის მასალებზე. ის მრავალმხრივი მწერალი იყო. ის არ იყო მხოლოდ პოეტი. მაგრამ ერთი რამ მუდამ აკლდა მას... მას პროზა არასოდეს არ იტაცებდა... ის მუდამ იყო ან ფილოლოგი, ან ისტორიკოსი, ან პოეტი... პოეტი ბრწყინვალე და გასართობი. როგორ შიშობდა დაიწვევდა მისი ნინოწმინდისა. მისი შესანიშნავი სხვა ლექსებისა, რომლებიც ქუხან და გუგუნებენ. თითქოს ახლაც, როდესაც შლი იმის წიგნს, მის ბუხუნს, ლომისებური ბუხუნს გესმის ამ სტრიქონებიდან. მას არ შეეძლო დაშვებით ლაპარაკი. მისი ლექსები სავსე იყო ძახილის ნიშნებით. ეს ლექსები იყო საოცარი, მუდამ პატრიოტული ჟღერადობით და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით მომართული. საერთოდ ზნობრად ხდება, რომ საუკეთესო მეტობრები წლების მანძილზე თანდათან შორდებიან... პროფესიონალიზმი აშორებს მათ ერთიმეორეს. ამგვარად, შემდეგ ცოტათი ჩვენი დავეშორდით ოდნავ. დავშორდით იმ მხრივ, რომ მე პროზით ვიყავი გატაცებული. პროზით ვემუშაობ... გოგლა ლეონიძე მუშაობდა პოეზიაში და პოეზიის გარდა, მას არ სწამდა არაფერი. მაგრამ ერთხელ მიიხზა:

– იცი, რა დემნა? შენ ვერე ფიქრობ, მაგრამ მე ისე ვერ დავიძინებ, რომ ჩემთვის ერთი მოთხრობა არ წაიკითხო. მე ვამიკვირდა. აი, ეგრა და რა ციცი, ამიტომ გუგუნებით, თქვა. მაგრამ საერთოდ, გარეგნულად ამას არ იმჩნევდა ხოლმე.

როდესაც მან დაწერა მოთხრობების წიგნი „ნატვრის ხე“, მე ვიყავი ერთადერთი მწერალი, პროზაიკოსი, რომელსაც მან სთხოვა, დავსწეროდი მის კითხვას და ამით დიდად ვამიყობ. ეს წიგნი მას არ წაუკითხავს მწერალთა საზოგადოებაში, წაიკითხა გამომცემლობაში, გამომცემლებთან. მწერლებიდან მხოლოდ მე ვიყავი... დანარჩენი რედაქტორები იყვნენ. მასსოვს პირველი შთაბეჭდილება... მისი შესანიშნავი მოთხრობები და შესანიშნავი მეტყველება... ის როდესაც ხმარობდა კალამს, ის ხმარობდა ფუნჯს, დიდ ფუნჯს, რომლითაც უზარმაზარ ლაქებს უსვამდა და იხატებოდა ადამიანები. ეს იყო საოცარი პოეტი და საოცარი მეტყველების მწერალი, რომელსაც ენა თასმასავით მოკვეებოდა და სახეებს ისეთნაირად ქსოვდა, ვაოცებდა მოდილოდით. პროზაშიც ვვარჯიშებ. ის არ იყო ოსტატის სიუჟეტის – არც ჭირდებოდა. მას ჭირდებოდა მხოლოდ ბიოგრაფია. ჭირდებოდა დიდი მღელვარება და მღელვარების გადმოცემა იცოდა. ის არ იყო რთული სიუჟეტების ოსტატი, არც ლექსებში, არც პროზაში. ის იყო და არის დიდი მღელვარების პოეტი. ამ მღელვარებით იტაცებს და თავისკენ მიჰყავს მკითხველს. და აი, გოგლა ლეონიძემ მოთხრობები წაიკითხა. ერთ მოთხრობაში, რომელსაც „ნატვრის ხე“ ერქვა, უბრალო მეოცნებე კაცი დადიოდა ტყეში და შესცქეროდა ხეებს, რომ ნატვრის ხე ეყო. აი, ასეთ კაცებზე წერდა იგი.

## ჩვენი ჭერაში

იორზე, ვენახში, დიდი ჭერამი გვედგა, – შებუთქვილი, დახუნძლული.

თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო, მერე იგი მხოლოდ სევდას ინვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი. მერე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ, აღარც მისი ტოტი დამიხსენია. თითქოს უმძრახად ვიყავ ამ ხესთან, გვერდით ვაფუვლიდი, ზედაც არ შევხებავდი. მერე დაბერდა, გახმა, ნაიქცა, არცა მწყენია, თითქოს კიდევაც გამიხარდა.

გულში მფიფქავდა ერთი მოგონება, თორემ უმიზეზოდ რად შევიძულბდი ნაადრევი ხილით გამხარებულ ხეს?

მაშინ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. გზა ჩვენი ივრის ვენახებზე გადიოდა. მალე დაინყო ფოკოხეთური მუშაობა. მექანიზმები მაშინ არ ჰქონდათ და ხელით ებრძოდნენ სათხრელ მინას. დიდძალი მუშა ტრიალებდა – ქართველები, სომხები, რუსობაც ბევრი იყო. ადგილი დახაშმული, ჰაერი – ბოტორი. ივრის მწვანე ჭაობნარი, ჭყანტობები, ჭანჭრობები, ლიბანი სანყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებდნენ ციებ-ცხელებით, სიცხე სუნთქვას აგუბებდა, სახეს სწავდა თონის ალმურივით. მუშას სასამელი ნყალიც კი არ ჰქონდა, მღვრიე ივრის

გარდა. ავად ხდებოდნენ, იქვე მიწაზე ჭერეხებივით ეყარნენ. პატრონი ვინ იყო? ზედამდეგები, შინამდეგები უყვიროდნენ, ავინებდნენ, ხოლო ქედნაგრები მუშები უსიტყვოდ ასრულებდნენ მათ ბრძანებას.

საღამოობით, სამუშაოს აშვებისას, ახალგაზრდა მუშები ცდილობდნენ ვითომცდა გამხიარულებას, მაგრამ ნელმონვეგეტილი, დათუთქული ადამიანის ლხინი ვის გაუგონია? ერთხელ, ორჯერ მოსწევდნენ გარმონს, მაგრამ გულს ხალისი არა ჰქონდა, ხოლო მარჯვენას – ღონე და გარმონი იქვე მიყურდებოდა, თითქოს შორიდან ვიდაცამ დაიკვნესაო! სიცხისაგან გათანგულ მუშებს საუბარიც კი ეზარებოდათ.

მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის ვენახების ხილი იყო. ჩვენი ვენახიც ხომ ზედ ივრის პირას იდგა!

ვენახები უღვევლი ხილით იყო სავსე: ბალი, თუთა, ჭერამი, თავლა მსხალი, გულაბი, პანტა, ატამი, ვაშლი, კომში, ფშატი... ყურძენი ხომ იყო და იყო! შიგ და შიგ თავკარავიანი კაკლები იდგა, რომლის ტოტებზე ბაღერინასავით დახტოდა ყვითელი მოღალურნი და „ბიჭო გოგიას“ დაგვძახოდა.

## გიორგი ლეონიძე

უთვალავი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფრად, მაგრამ არც ერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ფულის შემოდღევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხათრებოდათ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლებოდა თავაზი? და აი, თითქოს მინიდან ამოვიცივდნენ ჩარჩები, ვაჭრუკანები, დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თვითოეული ხე, ძალითა თუ ნებით, შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გადაეციდათ მუშებზე. ერთი ხეც კი აღარ დარჩა სადმე ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად, როგორც მასსოვს, თითო ხეში ექვს შაურს, ათ შაურს, სამ აბაზს და ასე მანეთამდე იძლეოდნენ, თვითონ კი თუმხოვით იგებდნენ.

ხეხილის მსხმოიარობით გახარებული სანყალი ბავშვი მიადგებოდა უხვად დასახულ ხეს, მაგრამ უეცრივ მოაგონებოდა სასტიკი სიტყვა „გაყიდულია“ და გველნაკებინით უკან გამოტრუნდებოდა. ასე დამართათ ჩემს ფეხშიველას ამხანაგებს – ფიფროსს, ბათუნას, ავლიას, არსენას. ვინ წაართო ეს თაფლივით ჭერამი?! იმ ვერცხლის ათშაურიანმა, რომელიც მათმა მამებმა ჩაიდეს დახეული ახალუხის ჯიბეში.

აი, ქურდულად მიხიხედ-მოიხიხედავს ბავში, – მერე რა მსხალია?! მსხლებს რომ პირი ჰქონდეთ, ერთმანეთს დასჭამდნენ! მაგრამ დიდედას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ეშინოდათ, თან ყურში ჩასძახოდათ ის სიტყვები, ჩარჩმა რომ დავედრა მათ მამებს ათშაურიანის მიცემისას.



მისი სიცოცხლე გათავდა სრულიად მოულოდნელად, ტრაგიკულად. მე თუთუნის წვეკას დავანებე თავი, თითონაც უნდოდა ძალიან და ვერ ანებებდა...

- აი, ღეშნა, იცო, რა ვითხრა? პაპიროსი არ მოსწიო, არ მოსწიო, - მეტყობა.

- მე აღარ ვეწევი, მაგრამ შენ ნუ მოსწევი-მეთქი - ვუბნებოდი.

- აი, ამის მერე აღარ მოვწევი. მიიხრა... - გავიხედე, მეორე წუთში მაინც ხელში ეჭირა... ყველაფერში სიცოცხლეს დახარბებული კაცი იყო.

მე გოგლა ლეონიძე წარმომიდგენია ასე: მას თავის წიგნში ჰყავს გამოყვანილი ერთი კალატოზი, უცნაური კალატოზი, რომელსაც აჰყავდა ხოლმე კედლები, აიყვანდა, აიყვანდა... მერე კვლავ გამაგრებდა და წაექცეოდა. დაიწყებდა თუ არა კედელი წაქცევას, კალატოზი ასტეხდა ყვირილს...

- მეცათ, მეცათ... კედელი იქცევაო. ისე ააშენა გოგლამაც თავისი სიცოცხლე. ეს უბრწყინვალესი სიცოცხლე... და ეს სიცოცხლე თავისსავე აშენებული კედლივით წაექცა. მე გულისტკივლით აღენიშნავ მის ასეთ განშორებას. ამ დღეს... ჩემთვის გოგლა ძალზე ახლობელი კაცი იყო, მარტო თითონ კი არა, მთელი მისი ოჯახი. ჩვენ ისე ვიყავით შემჭიდრობულნი, რომ მიჭირს ამაზე ლაპარაკი.

ვფიქრობ, გალაკტიონის შემდეგ ჩვენ ამოდენა პოეტი არ გვყოლია. სულ სხვადასხვა პოეტები... მათი ერთ ლიტერატურულ სიბრტყეზე დაყენება არ შეიძლება. მე სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია ის ფაქტი, მას პირველად ვაჟა-ფშაველა რომ მიესალმა. მიესალმა იმიტომ, რომ ვაჟას არ შეუძლო არ ეგრძნო მისი ნიჭი. ისეთი ხილვის კაცს, როგორც ვაჟა-ფშაველა იყო, არ დაენახა ის დიდი ტალანტი და ის დიდი მოძაგალი, რომელიც მოჰქონდა თან ახალგაზრდა ლეონიძეს. ლეონიძის დღესასწაულები, მისი თუბილეები ქართულ ხალხს არასოდეს არ მოსწყინდება და ხშირად, ყოველ ათეულ წელიწადს, მის ვფულ თარიღებს ის მუდამ აღნიშნავს დიდის მადლიერებით. დიდის მადლიერებით ეზიარება და დააფასებს მის პოეზიას ისე, როგორც მის სახელს ეკადრება და შეშვენის, როგორც ეკადრება და შეშვენის ქართულ ხალხს. მე მაღელვებს, როდესაც ის წერს:

ისე ვავიუთრდი, ისე დავებრდი,  
რომ კვლავ ვნახე ტბეთი, შატბერდი...

ეს დარდი მაჰყვება ყოველ მწერალს. ეს დარდი ჩაჰყვება მას სამარეში და ამ დარდით სუნთქავს დღეს მთელი ჩვენი ქართული პოეზია. მთელი ქართული ლიტერატურა. ამ დარდით არსებობს და ამ დარდით შეჰხარის იმ დიად მომავალს, რომელიც იტყვება დღეს ჩვენს თვალწინ.

- აბა, გაბრო, ამ დასხმულ ხეს გაბარებ. ასევე უნდა დამახვიდრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ.

გაბროც მამის სულს დაიფიცავდა, შეჰპირდებოდა პატიოსნებას, მაგრამ რატომ თავისი ქერა ბიჭი ფიფონა არ ეცოდებოდა? ბარემ... მაგრამ ჩარჩის ათი შაური სიღარიბის რომელიღაც ჭურჭუტანას ამოუვსებდა ბეჩავ გაბროს.

შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი. ვის გაეგონა წინათ ხილის აკრძალვა? მთელი ივრის ხილი ხომ ჩვენი იყო. ჩიტებივით დავენაგარდობდით ტოტებზე ბაღლები, ახლა კი, მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის შეკრული, მოკვეთილი აღმოჩნდა; ამ მოულოდნელმა რისხვამ დაგვამუხჯა. მეტად მოულოდნელი და შემზარავი იყო. გულზე ჯანლად დაგვედო.

ივრის ბაღნარი კი ისევ ისე შრიალეზდა. ჭრელ-ჭრელი ხილი ისევ თვალს გეტაცებდა, ჩვენ კი თითქოს ერთ დღეში დავებრდით; თითქოს ბავშვობა აგვიკრძალეს იმ ხილის აკვეთით და ხილთან ერთად ხომ თვითონ იორიც იკრძალებოდა. რალა საქმე გვექონდა იორზე, რალად უნდა ჩავქანებულიყავით სოფლიდან ივრის ქალებში?

იორი კი ჩვენი ემბაზი და ასპარეზი იყო - საბანაო, სათევზაო, ივრის მორევში ჩანოლილი კამეჩის გახეშილი კისერზე ჯდომა - დიდი ნეტარება იყო. ერთი სიტყვით, მთელი დღე იორზე ვეყარებით... და აი, ახლა ისე დამუხჯდა იორი, თითქოს შაჰ-აბაზი მეორედ შემოგვესია და ბავშვები მთლად გაუუუყოლო თუ

კევრით გაულენიაო. მგონი, ჩიტებიც კი აღარ ჭიკჭიკებდნენ ბავშვების ცოდვით.

მე ერთი ვიყავი იმედიანად, მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ხელუხლებელი ჭერამი? ჰოდა, ჩემს ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ჩვენს ვენახში და ვიტყვოდით:

- ადი, ბიჭო, დაარხიე, დაკრიფე, გაიხარე!

და აი, ერთ კვირა დილას, ჩავცივდით იორზე, - მთელი უზნის ბაღლობა მყავდა დაპატიჟებული. ახლა რას გვიხამს ჩარჩის აკრძალვა? ჩემი ხეა და ჩემად შევინახე, ფულზე არ გამიცვლია! მაგრამ, იცით, რა მოხდა?! შორიდანვე დავინახე, ჩვენს ჭერამთან იდგა ჩარჩი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა ჩემს ჭერამს.

თურმე დედაჩემს ჩვენი ჭერამიც გაეყიდა: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები, რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო! არა უშავს რა, შენც მათთან ერთად იმარხულო და გადმოცა სამი ვერცხლის აბაზიანი.

- შენი საყვარელი წიგნები იყიდო!  
მე მართლაც ვიყიდე ორიოდ წიგნი, მაგრამ მალე შემძულდნენ ის წიგნებიც და მათი დამწერიც.

აი, რა მიზეზით იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში.

იგი სასტიკად მოექცა ჩემს უდარდელ ბავშვობას. მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვილტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა.





● ერთ დროს ვარსკვლავები ხშირად სტუმრობდნენ დედამინას. ეს ყველამ კარგად იცოდა და არც არავის უკვირდა, თუ სადმე წააწყდებოდა ზეციურ მანათობელ სტუმარს, განთიადისას შემთხვევით შემორჩენილს.

არც მზეონას გაკვირვებია, როცა ერთ მშვენიერ დილას ვარსკვლავი იპოვა.

მერე სად იპოვა მზეონამ ვარსკვლავი, არ იკითხავთ?

ობობას მიერ გაბმულ აბლაბუდაში!

ობობების საფეიქრო ოსტატობა ხომ საყოველთაოდ ცნობილია. ამ ობობას კი ყველა თავის თანამოძმისთვის ეჯობნა: ორ მეზობელ ხეს შორის დაეჭიმა გრძელი, დრეკადი დაფები და მართლაც იშვიათი სილამაზის ნაკეთობა მოექსოვა, რომელიც ცისკენ აზიდულ კამაროვან თაღს ჰგავდა. ამას დაუმატე ისიც, რომ ცვარ-ნამით უხვად იყო მორწყული ყოველივე იმ დილით. ნამის გამჭვირვალე წვეთებით აკინძული და მზეზე ათასფრად აბრწყვილებული აბლაბუდის თალი ნამდვილ ბროლის თაღს მოგაგონებდა.

სწორედ ამ ბროლის თაღში გახლართულიყო ვარსკვლავი ფავისი რბილი, აბრეშუმის სხივებით და თავი ველარ დაეღწია. თავადაც ნამის წვეთს ჰგავდა, ოღონდ შედარებით მოზრდილ წვეთს. მის ბრწყინვამიცი ოქროსფერები ჭარბობდნენ. მზეონამ ვარსკვლავი აბლაბუდისგან გაათავისუფლა და ასეთი კითხვით მიმართა დახელოვნებულ ფეიქარს:

- ეს შენ გესტუმრა ვარსკვლავი, ობობა?

ობობას ყურიც არ შეუბერტყავს შეკითხვაზე, აბლაბუდის ქსოვით იყო გართული. ვარსკვლავის გამოსხისას აბლაბუდა ცოტათი დაზიანდა, თუმცა მზეონა ძალიან ფრთხილობდა. ჰოდა, ობობა მაშინვე მის აღდგენას შეუდგა, სხვას აღარაფერს აქცევდა ყურადღებას. შეიძლება ვერც კი მიხვდა, რომ მის ქსელში ჩვეულებრივზე დიდი ბუზი კი არა, ვარსკვლავი იყო გაბმული.

ცხადი გახდა, რომ ობობას სტუმარი არ ყოფილა ოქროსფერი სხივებით მოციმციმე ვარსკვლავი, ამიტომ მზეონა გულდამშვიდებით გაშორდა აბლაბუდის ჰაეროვან ციხე-კოშკებს. აუჩქარებლად მიაბიჯებდა ნამით უხვად მორწყულ მინდორზე, ვარსკვლავი ხელისგულზე ედო, ხშირ-ხშირად დახედავდა ხოლმე და სულ უფრო და უფრო იხიბლებოდა მისი სილამაზით. „ნეტავი ვის ენვეოდა, აბლაბუდაში რომ არ გახლართულიყო“ - ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა გოგონას.

ამ სიარულში ნაკადულს მიადგა. როგორც კი თვალი მოჰკრა მზის სხივებზე აბრწყვილებულ გამჭვირვალე ჭავლს, მაშინვე ასე დაასკვნა, ალბათ, სწორედ ნაკადულს ენვეოდაო სტუმრად ვარსკვლავი.

- ნაკადულო, ვარსკვლავი გენვია სტუმრად, მაგრამ ობობას აბლაბუდაში გაიხლართა და შენამდე მოღწევა დაუგვიანდა, - მიახარა ნაკადულს და ვარსკვლავიანი ხელისგული შეუშვია მის გამჭვირვალე ჭავლს.

მაგრამ რა დიდი იყო მისი გაოცება, როცა ნაკადულისგან ასეთი პასუხი გაიგონა, უკმაყოფილო ბუტბუტით ნათქვამი:

# იქნის ვარსკვლავი

- სად მცალია სტუმრებისთვის! ათასი საქმე მაქვს. ყველა მოუთმენლად მელოდება, ხე იქნება, ყვავილი თუ ცხოველი...

მზეონამ სასწრაფოდ ამოარიდა ნაკადულს ვარსკვლავიანი ხელი. ნაკადული ნამითაც არ შეყოვნებულა, ისევ ისე უკმაყოფილო ბუტბუტით გააგრძელა გზა.

მზეონასაც მეტი რაღა დარჩენოდა, თვითონაც გაუდგა გზას. ვარსკვლავიანი ხელი კვლავინდებურად წინ გაენვდინა და გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, ნეტავი, ვისი სტუმარიო.

ცოტა იარა თუ ბევრი, კოცონს გადაეყარა. მწყემსებს ცეცხლი ანთებული დაეტოვებინათ ლამისთვის შემდეგ, შეშას ბოლომდე ვერ მოესწრო დაწვა და ცეცხლის ენები მხიარულად ტკაცუნობდნენ.

- ცეცხლის ალო, ვარსკვლავი გენვია. ალბათ, გეცოდინება, თუ როგორ უნდა დაუხვდე ასეთ მშვენიერ სტუმარს, - მიმართა მზეონამ ცეცხლის ალს. ეჭვი აღარ ეპარებოდა, ნამდვილ მასპინძელს მივაგენიო. აკი ცეცხლის ალიც ისე ლამაზად ბრწყინავს, ნამდვილი ვარსკვლავი გეგონება. განსაკუთრებით მაშინ, როცა შორიდან შესცქერვი.

პასუხად ცეცხლის ალი უფრო ხმამაღლა ატკაცუნდა:

- ნეტავი რაში მჭირდება ვარსკვლავის სტუმრობა! მე თვითონ უფრო ლამაზად ვანათებ, ვიდრე ყველა ვარსკვლავი, ერთად აღებული.

ცოტათი კიდევ შეიმალა ცეცხლის ალმა, ერთი ცეცხლიც ატკაცუნა და იქვე ჩაინავლა. ერთი მუჭა ნაცარიღა დარჩა მისგან.

კვლავ გზა განაგრძო მზეონამ, ამჯერად მისი ყურადღება ფრთახატულა ფრინველებმა მიიქციეს, მოუღვლედა რომ დასრიალებდნენ ცასა და მიწას შუა.

- ფრინველებო, მითხარით, იქნებ თქვენ გენვიათ ვარსკვლავი?

- როცა მოგვენატრება, ჩვენც თვითონ მიეფრინავთ ხოლმე ვარსკვლავებთან, ოღონდ ახლა ბარტყობის დრო გვაქვს და არ გვცალია, - აჭიკჭიკდნენ ფრინველები.

მალე შევეს გადაეყარა მზეონა. ისეთი ლამაზი იყო, ისე უხდებოდა მწვანედ მობინე მინდორს. სწორედ ასეთ მშვენიერ ცხოველს თუ ენვეოდა ეს უცხო სტუმარი.

- ალბათ, შენ გენვია ვარსკვლავი, შველო!

- ჩემთან ხშირად მოსულან სტუმრად

ვარსკვლავები, ზურგით ვატარებდი ხოლმე მათ, ნახე, ნაკვალევი მატყვია, - ხალისით გამოეხმაურა შველი და დანინკლული ზურგი მოუბრუნა, - ო, რა მხიარულად ვატარებდი დროს. მაგრამ ეს საკმაოდ დიდი ხნის წინ იყო. ამ ბოლო დროს არც ერთი ვარსკვლავი აღარ მსტუმრებია.

ამ სიტყვების შემდეგ შველი კუნტრუსით მიეფარა თვალს, მზეონამ კი გზა განაგრძო.

მთელი ის დღე სიარულში გაატარა. ვისაც კი გადაეყარა, ყველას ჰკითხა, შენ ხომ არ გესტუმრაო ეს ოქროსფერი ვარსკვლავი, თან ვარსკვლავიანი ხელისგულს უწვდიდა.

ამასობაში მოსალამოვდა კიდევც.

ამ დროისთვის მზეონამ მშვენიერ ყვავილოვან ველს მიადგა. იქაურობა ათასფრად იყო გადაჭრელებული.

სულერთიანად სისხლისფერი მზე დასალიერთან იდგა, საცაა თვალს მიეფარებოდა კიდევც.

- მზეო, იქნებ შენ მაინც მითხრა, ვის ენვია სტუმრად ვარსკვლავი? - ჰკითხა მზეონამ მზეს და ჩვეულებისამებრ გაუწოდა ვარსკვლავიანი ხელი.

მაგრამ მზეს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა, ისე იყო დაქანცული. ბრიალა თვალები მილულა და უხმოდ ჩაეშვა ცისკიდურს მიღმა.

მზეონამ ირგვლივ მიმოავლო თვალი. ო, როგორ ლაღანებდნენ ყვავილები... ათასფრად გაჰქონდათ ლივლივი. ჯერ ისევ მძლეობდა დღის ნათელი და ყვავილები თითქოს ჩქარობდნენ, რაც შეიძლება სრულად გამოეფინათ თავიანთი უნაზესი ელფერი. ოღონდ, აქ უნდა გითხრათ ერთი რამ: ამ დროისათვის ჯერ არც ერთ ყვავილს არ ჰქონდა გული... ის ოქროსფერი, კოხტად ამოზურცული გული, დღეს ასე რომ იწონებენ თავს. მხოლოდ ფერადი ფურცლები და მწვანე ღერო, ეს იყო სულ...

- ყვავილებო, იქნებ თქვენ გენვიათ ეს ლამაზი სტუმარი ზეციდან - ახლა ყვავილებს მიმართა მზეონამ თავისი ჩვეული შეკითხვით.

მაგრამ ყვავილები დუმდნენ. სამწუხაროდ, ნიაფი არ ქროდა, მის გარეშე კი ყვავილებს ლაპარაკი არ შეეძლოთ.

ასე რომ, მზეონამ მათგან ვერაფერი გაიგო, მაგრამ ერთი რამე შეამჩნია და დაუკვირდა: ყვავილები ისე ინვდიდნენ მისკენ ფე-



# პირველი ლექსები

რად-ფერად ფურცლებს, თითქოს რაღაცის თქმა უნდათო.

მზეონამ დაფიქრებული მზერა მოავლო გადაჭრელებულ მინდორს. ასე მოეჩვენა, უამრავი ფერადი ხელისგული იყო მისკენ გამონვდილი და რაღაცას უხმოდ ევედრებოდნენ.

გოგონამ კვლავ დახედა ხელისგულზე დადებულ ვარსკვლავს, ცოტა ხანს კიდევ იფიქრა და მერე ერთ-ერთ უახლოეს ფერად ყვავილს დაანდო იგი.

ყვავილის ნაზი ფურცლები მაშინვე მჭიდროდ შემოეხვივნენ ოქროსფერ ვარსკვლავს და კოკორივით გამოკრეს.

- ხვალ დილამდე შემინახე, - სთხოვა მზეონამ და თვითონ დასაძინებლად წავიდა. იმედი ჰქონდა, დილის ნიავის დახმარებით მაინც გაარკვევდა, ამ ყვავილის სტუმარი იყო თუ არა ოქროსფერი ვარსკვლავი.

მეორე დილით, დაპირებისამებრ, მიაკითხა იმ ყვავილს, რომელსაც ოქროსფერი ვარსკვლავი მიაბარა.

მიაკითხა და თვალებს ძლივს დაუჯერა, ისეთი საოცრება იხილა; ეს საოცრება იყო ოქროსფერი ვარსკვლავი, ყვავილის ფერად ფურცლებში მჭიდროდ ჩამჯდარი და ჩაზრდილი. იგი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მუდამ აქ სახლობდა და არა ცის ლაჟვარდოვან თალზე.

ახლა სტუმარს ვეღარ უნოდებდი ოქროსფერ ვარსკვლავს, იგი მასპინძელს უფრო ჰგავდა.

მზეონასაც აღარაფერი უკითხავს ყვავილისთვის, ისედაც ცხადი იყო ყოველივე. და კიდევ ერთი საოცრებაც: იმ დამით, სანამ მზეონას ეძინა, სხვა ყვავილებსაც სწევოდათ ოქროსფერი ვარსკვლავები, და ახლა ყველა მათგანი ოქროსფერი გულით იწონებდა თავს.

მერედა, როგორ უხდებოდნენ ერთმანეთს... ათასჯერ უფრო გალამაზდნენ ყვავილები, რაც ოქროსფერმა ვარსკვლავებმა დაიღეს ბინა მათ გულებში. თვითონაც ზეციურ სტუმრებს დაემსგავსნენ.

და მზეონამაც შესანიშნავად გაატარა ის დღე, საოცრებებით ასე მდიდარი, მხიარულად თამაშობდა ოქროსფერგულიან ყვავილებთან და გული მინც ვერ იჯერა.

საღამოსთვის კი კიდევ ერთი საოცრება მოხდა: როგორც კი მზე დასალიერს მიუახლოვდა, ყვავილებმა მამინვე, თითქოს ვინმემ უბრძანათო, ერთბაშად შეკუმშეს ფერად-ფერადი ფურცლები და კოკორივით გამოკრეს შუაში მომწყვდეული ოქროსფერი გული ანუ ვარსკვლავი.

მზეონა მიუხედა: ყვავილები შიმობდნენ, ღამით არ მიეტოვებინათ ისინი ზეციურ სტუმრებს.

თუმცა მერე, მოგვიანებით, დარწმუნდნენ, რომ ეს ამოა შიში იყო, ვარსკვლავებმა სამუდამოდ მათთან დაიღეს ბინა და აღარ აპირებდნენ ზეცაში დაბრუნებას. ამიტომ აღარც ფრთხილობენ, ღამითაც თამამად შლიან ფერადოვან ფურცლებს. მაგრამ ყვავილები უმეტესწილად მაინც სიფრთხილეს ამჯობინებენ: როგორც კი დაღამდება, მაშინვე მჭიდროდ შეკუმშავენ ხოლმე ფერადოვან ფურცლებს, ვაითუ ძველ მეგობრებთან დაბრუნება მოისურვონ ჩვენმა ზეციურმა სტუმრებმაო.

## ლელა გუინავა

\*\*\*

როცა ჭრილობებიდან,  
მოჩანს ფერი კეშნის,  
როცა სიყვარულშიაც  
უფსკრულამდე დავეშვით:

როცა დანაშულია  
ცრემლის წვეთით ლოდები,  
როცა გადაღლილია  
ქართლის გზები ვოდები:

როცა მაინც იმედის  
ნაპერწკალად მინდოდე,  
დღეო, ხვალის მზისაო,  
დღეო, ნაწვიმ გზისაო,  
ნათლის, ხილვით ვიდოდე...

\*\*\*

მუხა გაერთო  
ქართან თამაშში  
და წლები მხრიდან  
ჩამოიბერტყა.

### უშრი

გაცრეცილ ტირიზე  
ჩამოჯდა სიკვდილი...  
და ლურჯმა თვლებმა  
გაპკვეთეს ჰაერი...  
...ესეც კი შეშურდათ.

\*\*\*

მიწიდან იამ,  
ისე ტყვილით ამოყო თავი,  
როგორც ჩვილის  
პირველმა კბილმა.

\*\*\*

წელმოკაკული ჩემი სიბერე  
ქუჩაში მიდის,  
გადამიბინა ჩემმა ბავშვობამ  
სიცილ-ხარხართო,  
ვეღარ მიცნო და...  
ძლივსღა ვიცანი.

\*\*\*

ჯოხის ცხენით გაჭენებულა  
ჩემი ბავშვობა,  
ბელაურითაც ვეღარ ვეწევი.

\*\*\*

უნდა გავმრავლდეთ,  
უნდა გავმრავლდეთ,  
თუნდაც იმიტომ,  
მიწა რომ აღარ გამოიფიტოს.

\*\*\*

დაასაფლავეს...  
თითქოსდა წამით,  
ყველა გაქვავდა.  
მხოლოდ თვალები  
აკეთებდნენ  
უწუძარ ნახტომს  
„ვისი რიგია?“

\*\*\*

ცაში  
ანგელოზებს დაეძებს,  
დაბლა დედამიწას  
ამცდარი...  
მხატვარი.



\*\*\*

ეუჩივით დროს,  
აღარ მოდისო მუხა,  
და გვაიწყვდება,  
ჩვენ კი არ ვწერდით,  
ბავშვობა წერდა ლექსებს.

\*\*\*

ჩემი ფოთოლიც ჩამოწყდება და...  
ბზრიალ-ბზრიალით გაპყვება ქარებს...  
უკანასკნელად იცეკვებს ტანვოს.

### ირმა ირემკაძე

საყდრის გვერდით ყვავილები  
აფეთქეთა ატამს,  
მოაჯირზე გოგო ღვას და...  
ანგელოზებს ხატავს.

ისევ ისე ათოვს ბალებს,  
ისევ ისე წვიმს,  
შესციცინებს ვიდაცას და...  
ელიდება ვის.

ხიბლავს ფერი მიწისა და...  
ფერი ატკობს ცის...  
ქარი ამხელს, ფერი აღხენს,  
ვის უდიმის, ვის?!

საყდრის გვერდით ყვავილები  
აფეთქეთა ატამს,  
მოაჯირზე გოგო ღვას და...  
ანგელოზებს ხატავს.

### პაპის საფლავი

ირგვლივ ტყვილი  
ბობოქრობს სრული...  
შენ აქ ხარ, თურმე,  
საღლაც ახლოს და - განისვენებ.  
მე კი არ ვიცი  
შენი საძვალე,  
უცნობ საფლავებს ჩამოუვული  
და ვაყრი გვირილებს,  
იქნებ, შემთხვევით,  
შენს გულს დაეცეს.

\*\*\*

ვერ მოსწრებიხარ სიბერეს,  
ვინღამ დაგწყველა, მამი?  
შენს მოლოდინში ისევე  
მზისკენ გამიბრბის თვალნი.

\*\*\*

ტირილს სიცილი სდევდა...  
მიწას შემორჩა სევდა...  
პოეტო.

\*\*\*

შემომსუვია დარდი უძირო  
და ცრემლიანი მე ვარ ზედაშე,  
წვენი გზები კი გაყოფილია -  
ცალკე მიცვევებით ბილიკს მე და შენ...



# შპანური- უპირპირად ურჩიხსა



● ერთხელ ქართულ პოეზიაზე კერძო საუბარში ანა კალანდაძის ლექსით გატაცებულმა, ჩვენგან უდროოდ ნასულმა ლიტერატორმა გურამ კანკავამ მითხრა: „ის სტანდარტებს არ ემორჩილება, ის ხომ გამორჩეული ინდივიდია“.

რამდენიმე ათეული წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები ჩემმა მეხსიერებამ უცებ ამოატივტივა, როდესაც მისი ქალიშვილის – მაია კანკავას სამყაროში მოვხვდი. მართლაც, მაია გამორჩეული ინდივიდია ღვთისგან ნაბოძები ნიჭით, ინტუიციით, გემოვნებით, აზროვნების წყობით, შემოქმედებითი ენერგიით და საოცარი მრავალმხრივობით. მაია – კლასიკურ ტრადიციებზე აღზრდილი პიანისტი, მაია – ლამაზი ტემბრისა და ძლიერი ხმის მქონე პროფესიონალი ვოკალისტი, მაია – კინომსახიობი, მაია – ფერმწერი, მაია – ჯაზის მომღერალი და ჯაზური კომპოზიციების ავტორი, და... ვინ იცის, მომავალში მისი ნიჭი კიდევ რომელ დარგში იფეთქებს და ხელოვნების რომელი სფერო გახდება მისი გატაცების საგანი.

მახსენდება აკადემიკოს კაპიცას (მამა) საინტერესო წერილი ტალანტების შესახებ, რომელთა მოვლა-პატრონობას ის ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა. – ტალანტი, – ამბობს კაპიცა, – უპირველესად ურჩობაა! ალბათ, მაია კანკავა იმ მცირეოდენ ურჩთა შორის დგას, რომელთა გამორჩეული ინდივიდუალობა ვერ დაეჭვემდებარებოდა ჩვენი განათლების სისტემაში ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდის მეთოდებსა და ხავსმოდებულ პროგრამებში ჩამოყალიბებულ იმ სტანდარტებს, ინდივიდზე რომ არ არის გათვლილი. არადა, რაც უფრო მეტი ინდივიდი უყავს ერს, მით უფრო მდიდარია იგი. ქართველთა სულიერი და ფიზიკური ნგრევა ხომ ოდითგანვე სწორედ ინდივიდების მოსპობით იწყებოდა.

ურჩობის ნიშნითაა აღბეჭდილი მაია კანკავას ყოველი ნაბიჯი ხელოვნების ნებისმიერ სფეროში: ნწლისა ფორტეპიანოზე დაკერის შესასწავლად დედამ, პიანისტმა ლია გოგაძემ იგი მიიყვანა ცნობილ პედაგოგთან ვ. თუმანიშვილთან. ამ ასაკში ბავშვები მუსიკალური ანბანის შესწავლას იწყებენ, მაიას კი, ბგერისა და ინსტრუმენტისადმი უკვე საკუთარი დამოკიდებულება გააჩნდა. პედაგოგის წინაშე იგი წარსდგა თავისი პაწაწინა პიესით „ბრამსი“. მაია კანკავა დაჯილდოებულია ბრწყინვალე სმენით, მუსიკალური მეხსიერებით, ბუნებრივი ტექნიკით. ყველაფერს, რასაც მაია აღწევს (და აღწევს ძალზე სწრაფად), დამყარებულია მის ბუნებრივ მონაცემებზე – მდიდარ ინტუიციასა და ნახტომისებურ განვითარებაზე. ჯერ კიდევ დანყებით მუსიკალურ კლასებში გამოხატული ეს ნიშნები, მაიას მთელი შემოქმედებითი გზის თანმდევი თვისებები გახდა.

ასე მოვიდა ის ფერწერაშიც. ჯერ, როგორც ნახშირით შესრულებული სხვადასხვა კომპოზიციების ავტორი, მეტწილად ფსიქოლოგიურად და მუხბეული პორტრეტებისა. შემდეგ ეს ჰობი მოუსვენარი ფიქრისა და საკუთარ ხილვებთან ჭიდილის პროცესად ჩამოყალიბდა. სულ რამდენიმე თვეში მოყვარულმა მხატვარმა ტექნიკის ფლობის თვალსაზრისით საოცარ შედეგებს მიაღწია. თუ მხატვარ გია გუგუშვილის გულწრფელობას ვენდობით, „მაიამ რამდენიმე თვეში გაიარა ის გზა, რომლის დასაძლევად მე ხუთი წელი დამჭირდა“.

განსაცვიფრებელი იყო მაიას დებოუტი კინომსახიობის ამპლუაშიც. „ვერის უბნის მელოდიებში“ მაია კანკავასა და ია ნინიძის მიერ შექმნილი სცენები და განსაკუთრებით ცეკვა-დუეტი დღემდე დავუვინყარია. კინოობიექტის წინ

მაია ისეთ საოცრებებს აკეთებს, რომ ნებისმიერ მსახიობს შეშურდება. ამ გამოუცდელი გოგონას არტისტული ბრწყინვალეობა, მსუბუქი პლასტიკა, რიტმის შეგრძნება, სხეულის ფლობის ოსტატობა და რაც მთავარია, განწყობის შექმნის უნარი განუთვრთვებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. – „ვერის უბნის მელოდიებში“ მე არ ვთამაშობ, – ამბობს მაია, – გოგონა არა თუ მგავს, არამედ ეს მე ვარ, ისეთი, როგორც ვიყავი ბავშვობაში“. მართლაც, ვისაც მაიას ბავშვობა და ოჯახურ ვითარებაში მისი ფანტასტიური იმპროვიზაციები ახსოვს, დამეთანხმება, რომ იგი ბუნებამ იმთავითვე დააჯილდოვა არტისტიზმითა და პლასტიკით. ეს ის აუცილებელი ნიშნებია, რომელთა სრულყოფაზე მრავალნი მთელ სიცოცხლეს ხარჯავენ. ვფიქრობ, მაიას ინდივიდუალობა სხვა ამგვარ თვისებათა შორის, ყველაზე მეტად თანდაყოლილმა არტისტიზმმა და პლასტიკამ განაპირობა.


სპონტანურად გახდა მაია ჯაზის მომღერალი და ჯაზური კომპოზიციების ავტორი. პოლისტილისტიკამ, როგორც XX საუკუნის დამახასიათებელმა სტილურმა ნიშანმა, ვოკალურ სფეროშიც შეაღწია და თითქოს შეუთავსებელი პოლუსების (კლასიკური სიმღერის და ჯაზური სიმღერის) შეთავსების ძალზე საინტერესო პროცესებამდე მიგვიყვანა. ამ თვალსაზრისით მაია ქართველ პროფესიონალ მომღერალთა შორის პირველია, ვინც ვაგნერისა და მალერის ვოკალური შემოქმედებისადმი დიდ სიყვარულს ბუნებრივად შეუთავსა „მეინსტრიმ ჯაზით“ გატაცება.

იღბლიანი აღმოჩნდა ორი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსის ტანდემი: პიანისტისა და ჯაზური კომპოზიციების ავტორის დინარა ვირსალაძის და მაია კანკავას დუეტი. საქართველოში ჯაზის დიდი

პოპულარიზატორისა და მხარდამჭერის ევეგნი მაჭავარიანის პროგნოზი გამართლდა და მისი ხელშეწყობით ნოვოსიბირსკის საერთაშორისო ჯაზის ფესტივალზე წარგზავნილი „ქართული დუეტი“ ჯაზის სამყაროს ძალზე კომპეტენტური წარმომადგენლების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, ხოლო მაია კანკავამ ვოკალური ჯაზის საუკეთესო შემსრულებელთა შორის „მის ფესტივალის“ პრიზი მიიღო პოპულარულ ამერიკელ მომღერალთან, სპირიტუალსების აღიარებულ შემსრულებელთან ჯო კარტერთან ერთად. ის ფესტივალი მაია კანკავას ახალი გატაცების უდიდესი სტიმიული გახდა. ამჯერად იგი ჯაზური კომპოზიციების ავტორად და საინტერესო ხედვის იმპროვიზატორადაც მოგვევლინა.








მაია კანკავას შემოქმედებით პორტრეტს ორი შტრიხით გამოვხატავდი: თავისუფლება და აუცილებლობა. მაია იქ ახერხებს და მაშინ ახერხებს ხელოვნებაში თავისი სულის სრულ „გაცემას“, როდესაც იგი თავისუფალია ყოველგვარი პირობითობებისგან, ნორმებისგან. აქედან მომდინარეობს იმპროვიზაციის უდიდესი ხვედრითი წონა მის შემოქმედებაში. და მეორე, მაია იმის მიხედვით მიმართავს ფუნჯს, ინსტრუმენტს, თუ ხმას, რამდენადაც მასში მწიფდება მხატვრული იდეის გამოხატვის აუცილებლობა. ამიტომ მისი ცხოვრების პარტიტურა უხვად შეიცავს განახლებითვის გათვლილ ფსიქოლოგიურ პაუზებს, რაღაც ახალი ნახტომისათვის საჭირო გარინდების მომენტს.

საერთოდ, შემოქმედებითი წვა მისი სიცოცხლის აუცილებლობაა.


ხელოვნების რომელი დარგის მსახურად შეიძლება მაია კანკავას კლასიფიცირება? რენესანსის ეპოქაში საკითხის ასე დაყენება უაზრობა იქნებოდა, რადგან მრავალმხრივობა იმ ეპოქის ხელოვანთა ნიჭის ბუნებრივი გამოვლინება იყო. ჩვენს დროში კი, ქართველი სპეციალისტების აღზრდის სისტემა ერთ რომელიმე დარგზე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ენერგიის კონცენტრაციაზეა დაპროგრამებული, რამაც ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას დაუხშო ამ ენერგიის მრავალმხრივი ვანფენის შესაძლებლობანი. მაია კანკავა ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია. მასში ჭეშმარიტად რენესანსული ბუნება ღვივის. კაცთმოყვარე მოაზროვნე, ფსიქოლოგიურად ღრმა, პირობითობებისგან თავისუფალი, მარტოსული, ურჩი – ასეთად აღვიქვი მაია კანკავა მის სამყაროში მოხვედრის შემდეგ და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ სამყაროს თაყვანისმცემელთა წრე გაიზრდება და მფარველიც გამოუჩნდება.








Մ. Մկրտչյան









მიმდინარე წლის 29 აპრილს საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის, გამოჩენილი თეატრალური მხატვრის ივანე ასკურავას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე დიდძალი თაყვანისმცემელი მოვიდა. მათ ერთხმად მიაგეს პატივი 82 წლის მხცოვან ხელოვანს, რომელიც ავერ უკვე ნახევარი საუკუნეა, თავდადებით ემსახურება ქართული თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ ივანე ასკურავამ თავისი უნიკალური ნამუშევრების გამოფენა პედაგოგსა და აღმზრდელს, მის პირველ ხელდამსმელს ვალერიან სიღამონ-ერისთავს მიუძღვნა. 1941 წლიდან დაწყებული დღემდე ბატონ ივანე ასკურავას დიდებული დეკორაციები არ ტოვებენ საოპერო სცენას როგორც ჩვენში, ისე მის საზღვრებს მიღმა. ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე მან მხატვრულად გააფორმა ორასამდე დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლი. ივ. ასკურავა მუშაობდა ისეთ გამოჩენილ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ: ა. წუწუნავა, ვ. ყუშიტაშვილი, ვ. ტაბლიაშვილი... აღსანიშნავია ივ. ასკურავას, როგორც საბალეტო მხატვრის, თანამშრომლობა ჩვენი ეპოქის ბუმბერაზ შემოქმედ-

თან ვახტანგ ჭაბუკიანთან, რომლის ყველა სპექტაკლის მხატვრობა („ოტელოს“ გარდა) ივანე ასკურავას ეკუთვნის. ივანე ასკურავას შემოქმედებაში სამი სიმბოლო-ხატი დომინირებს: ჯვარი, სანთელი და ზღაპრული ლომ-ფასკუნჯი, როგორც სულიერების, ძლიერებისა და სამართლიანობის სიმბოლო.

ჟურნალ „დროის“ რედაქცია მიესალმება მხცოვან შემოქმედს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თავის მრავალრიცხოვან მკითხველს სიამოვნებით სთავაზობს რამდენიმე რეპროდუქციას მისი პერსონალური გამოფენიდან.







ვახტანგ მაჭავარიანი  
მეუღლესთან ერთად



# საღიგობრო სულსთუნ ღვას ვახტანგ მაჭავარიანი

● ვახტანგ მაჭავარიანი... იგი გამოჩენილი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, სახალხო არტისტის, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატის, პროფესორ ალექსი მაჭავარიანის ვაჟია, ხელოვანისა, რომელმაც არაერთი შედევრით გაამდიდრა ეროვნული მუსიკალური საგანძური, შორს გაუშუქვა სახელი ქართულ მუსიკას.

ბალეტ „ოტელოსათვის“ კომპოზიტორი მილანის ბრადენენეს ხელოვნების გალერეის ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა, სავიოლინო კონცერტისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, „ხუთი მონოლოგისათვის“ – შ. რუსთაველის პრემია. პრემირებულია ა. მაჭავარიანის მეორე სიმფონიის მიხედვით ბალეტმანისტერ ყოზეფ რუსილიოს მიერ საფრანგეთში დადგმული ერთაქტიანი ბალეტის ც. ეს და ბევრი სხვა ნაწარმოებიც, ვახტანგის თვალწინ იქმნებოდა, ოჯახურ გარემოში ეყრებოდა მის მუსიკალურ აღზრდას საფუძველი, რამაც გარკვეული წვლილი მიუძღვის პაპას – ხალხური მუსიკის მოღვაწეს კირილე პაჭკორიას და დედას – ქალბატონ ქეთევან (კაკულია) პაჭკორია-მაჭავარიანისას, რომელიც ქმარ-შვილს მუდამ მხარში ედგა, მათ წარმატებებს იზიარებდა, ხოლო ზოგიერთი კოლეგის შურიანობას, რაც დღესაც მოჭარბებით შეიმჩნევა, მოსწრებულად უქარწყლებდა და კვლავაც შემოქმედებითად ალაგზნებდა... ამის მოწმე პირადად მეც არაერთხელ ვყოფილვარ, რადგან ვმუშაობდი ბატონ ალექსის შემოქმედებაზე, როგორც მუსიკათმცოდნე და ხშირად მიხდებოდა მათ ოჯახში ყოფნა (1978 წელს დაისტამბა კიდევ ჩემი პირველი ნიგნი მის ვოკალურ შემოქმედებაზე). შემდგომშიც მქონდა კონტაქტი სატელევიზიო გადაცემებთან დაკავშირებით... პირადად ვარ მოწმე ვახტანგის შემოქმედებითი ზრდისა, მისი პირველი კონცერტისა, თბილისის საოპერო თეატრში პირველი საჯარო გამოსვლისა – ოპერაში „აიდა“, პეტერბურგში – ბალეტ „ვეფხისტყაოსნის“ დირიჟორობისა, მათ რეცენზიებითაც გამოვეხმაურე – პირველმა დაულოცე გზა შემოქმედებით ასპარეზზე პრესის საშუალებით.

მაჭავარიანების ოჯახი კულტურის საუკეთესო კერაა. ბატონ ალექსისთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ ბევრი რამ შეგვძინა პროფესიონალებს... ვახტანგი სავსებით მომზადებული, ღრმად განსწავლული მივიდა სადირიჟორო პულტთან. დამთავრა თბილისის კონსერვატორია ორი დარგით: საფორტეპიანო და საორკესტრო-სადირიჟორო, გაიარა სტაჟირება ცნობილი დირიჟორებთან ვენასა და პარიზში. დღეს ვ. მაჭავარიანი ცნობილი დირიჟორია, ფართო ერუდიციისა და ინტელექტის მუსიკოსი; უცხო ენების ბრწყინვალე ცოდნა ხელს უწყობს უცხოელ მუსიკოსებთან შემოქმედებითი კონტაქტის დამყარებაში. ხშირად მონაწილეობს გასტროლებში

საზღვარგარეთ, აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი, რომელიც მოიცავს ქართულ, დასავლეთ-ევროპულ და რუს კომპოზიტორთა მნიშვნელოვან ქმნილებებს. შეინიშნება დიდი ვატაცება ბეთჰოვენის, ვაგნერის, სტრავინსკისა და პროკოფიევის ნაწარმოებებით, ასევე მამის ოპუსებით, რაც სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერი – ვახტანგი ხომ მამისის არაერთი ნაწარმოების პირველი და ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტატორიც არის, მათ შორის ბალეტისა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1985 წელს დაიდგა პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე მისი მუსიკალური ხელმძღვანელობითვე. ბალეტის ურთულესი პარტიტურა, აღსავსე პოლიმეტრიული სიმძაფრით, საოცრად კონტრასტული ნიუანსებით, ტემპების ხშირი ცვლადობით, დრამატურგიის მძაფრი დინამიკით, უკიდურესი ლირიკიდან – ტრაგიკულამდე აყვანილი ჟღერადობით, დირიჟორისაგან არამარტო დიდ ოსტატობას, შინაგან მგზნებარებასა და დაუოკებელ ტემპორადენტს მოითხოვდა, არამედ დიდ გამოცდილებასაც. ვახტანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბრწყინვალედ ჩასწვდა ბალეტის მუსიკის სიღრმეს, მის ეპიკურ მასშტაბურობას, საუცხოოდ უხელმძღვანელა სპექტაკლს და დიდი წვლილი შეიტანა მის წარმატებაში.

ნაწარმოებთა კონცეფციაში ღრმა წვდომით, ვახტანგმა პირველმა ააჟღერა მამამისის მესამე და მეოთხე სიმფონიები. ფირფიტებზე ჩანერა ბალეტები „ვეფხისტყაოსანი“, „ოტელო“, ვოკალურ-სიმფონიური ციკლი „ხუთი მონოლოგი“ ვაჟა-ფშაველას ტექსტებზე, სავიოლინო კონცერტი... ეს უკანასკნელი დღემდე საოცრად პოპულარულია, მუდმივ რეპერტუარში აქვთ ისეთ დიდ მევიოლინებს, როგორებიც არიან ლიანა ისაკაძე და მარინე იაშვილი, ზატულოვსკი, შერცერი, ბელჩიკი... რამაც გარკვეული წვლილი ვახტანგსაც მიუძღვის. როგორც დირიჟორი – ლიანა ისაკაძესთან ერთად მრავალჯერ წარმდგარა აუდიტორიის წინა-

შე მსოფლიო მასშტაბით. წარმატებები მეტად შთამბეჭდავი იყო.

ვახტანგ მაჭავარიანი არ ეკუთვნის იმ დირიჟორთა კატეგორიას, რომლებიც ისწრაფვიან გარეგნული ეფექტებისაკენ. მისი ყოველი ჟესტი თავდაჭერილია, გააზრებული, ხელი – გამომსახველი, თუმც შეინიშნება შესაბამისი გარდაქმნა – გარდასახვაც (რაც სავსებით კანონზომიერია) დრამატულად დაძაბულ, კულმინაციურ მომენტებში, რამაც ფიზიკური მონაცემებიც უწყობს ხელს და ისიც იხარჯება ბოლომდე, მთლიანად...

ვახტანგ მაჭავარიანი ამჟამად საქართველოს ეგვიპტი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია. არაერთი კონცერტი გაიმართა რესპუბლიკის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ, მიიღო მონაწილეობა მის მიერვე მოწყობილ საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც გასულ წელს გაიმართა თბილისში. უცხოეთის პრესა ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევს ვახტანგის ხელოვნებას: „ბრწყინვალე დირიჟორის მაჭავარიანის თითოეული ნაბიჯი ტექნიკური თვალსაზრისით საუკეთესოა. ის კარგად ფლობს თავის სახეს და ხელებს“. („გლახგოუ ჰერალდი“, დიდი ბრიტანეთი).

„ქართველი დირიჟორი ვ. მაჭავარიანი ხელმძღვანელობს ორკესტრს ენერგიულად, მთელი ძალით და წარმოადგენს გასაოცარ ტემპრთა გამას („ნეუ ციურიხერ ცაიტუნგი“, ციურიხი).

სულ მალე, 2000 წლის თებერვალს ორკესტრი დაარსებიდან 75 წლისთავს იზეიმებს...

მაჭავარიანების დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე ოჯახს ახლახანს ახალი წევრი შეემატათ – პატარა ალექსი მაჭავარიანი, რომელიც უთუოდ სახელოვნად განაგრძობს ოჯახურ ტრადიციებს. მიუულოცოთ ბატონ ვახტანგს და მის ოჯახს ბედნიერება და ვუსურვოთ პირადი და შემოქმედებითი სიხარული.





# როგორ უკეთესი ERICSSON-ი?

დღეს თბილისში და სხვა ქალაქებში კარგად ცნობილია მობილური ტელეფონი წარწერით „ERICSSON“, მაგრამ, მოდი, გულახდილად ვთქვათ, ვიცით თუ არა, რას ნიშნავს ეს წარწერა. ზოგი ამბობს, რომ ეს რომელიღაც უცხოური ფირმის სახელია, ზოგი ვიღაცის გვარად მიიჩნევს, ზოგიც მხოლოდ გაურკვეველად იჩენავს მზრებს – ისინიც კი, ვისაც წამდღაუწუმ ხელში უჭირავს ეს ტელეფონი და ძალზე ამაყობს ამით.

ERICSSON-ის ამბავი კი მართლაც საინტერესოა თუნდაც იმით, რომ თბილისში მრავალი წლის წინათაც კარგად იცნობდნენ მას და დღესაც...

\*\*\*

დღეს მსოფლიოში კარგად არის ცნობილი კავშირგაბმულობის ტექნიკის ერთ-ერთი ლიდერი შვედური კომპანია „ერიკსონი“, რომელიც ათეული წლების მანძილზე განსაზღვრავდა და განსაზღვრავს მაღალხარისხოვანი სატელეფონო მოწყობილობების განვითარების ძირითად მიმართულებებს. ეს კომპანია ტექნიკური აზროვნების თავისებური სამჭედლოა და ღირსეულად ამაყობს თავისი პროდუქციით, განსაკუთრებით მცირე და დიდი ტევადობის ავტომატური ტელეფონის სადგურებით, შორეული კავშირების აპარატურით, რადიოსადგურებით, სადისპეტჩერო სისტემებით, სხვადასხვა დანიშნულების ტელეფონებით და სხვა.

„ერიკსონს“ დღეს მრავალ ქვეყანაში დამონტაჟებული აქვს ავტომატური სატელეფონო სადგურები, რომელთა საერთო ტევადობა 100 მილიონზე მეტი ნომერია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამდენივე ადამიანი სარგებლობს კომპანიის მიერ და მისი ლიცენზიით დამზადებული ატს-ებით.

იმ საერთაშორისო სატელეფონო საუბრებიდან, რაც დედამიწის ზურგზე წარმოებს, ნახევარი ამ სისტემის საერთაშორისო ტელეფონის სადგურებით ხდება.

მსოფლიოში მოქმედი მობილური ტელეფონების 41 პროცენტით, ამ კომპანიის მიერ, ან მისი ლიცენზიით სხვა ქვეყნებშია დამზადებული.

ლ.მ. „ერიკსონის“ 100 ათასზე მეტი საეციალისტი 100-ზე მეტ ქვეყანაში შექმნილ ერთობლივ ქარხნებში, ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში მუშაობს.

\*\*\*

„ერიკსონი“. საიდან მიიღო ამ კომპანიამ ეს სახელწოდება? ლარს მაგნიუს ერიკსონი შვეციის ღირსეული შვილი და გამოჩენილი ინჟინერი გახლდათ.

შვეციის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელმოკლე ერიკსონს დახმარება გაუწიეს და 1873-1875 წლებში იგი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, გერმანიასა და შვეიცარიაში მიავლინეს. ბერლინში იგი მუშაობდა ცნობილ ფირმა „სიმენს და ჰალსკეს“ ქარხანაში და ელექტროაპარატურას ამზადებდა. აქედან მიუნენის ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორმა კარლმა თავისთან გადაიყვანა. ლარსმა გააღრმავა თეორიული ცოდნა. მერე, შვეიცარიის ქალაქ ბერნში კიდევ უფრო დახლოვდა ზუსტი ხელსაწყოების დამზადებაში და როცა მიხვდა, რომ შეეძლო დამოუკიდებელი მუშაობა, სტოკჰოლმში დაბრუნდა და პატარა სახელოსნო გახსნა, სადაც მან ტელეგრაფის აპარატების რემონტი დაიწყო. შემდეგ კი ახალი აპარატების გამოშვება. დღე და ღამე მუშაობდა ახალი სხვადასხვა დანიშნულების ელექტრომოწყობილობათა სქემების დამუშავებაზე.

მისი სახელი თანდათან ცნობილი ხდებოდა. ცოლად შეირთო პილა სიმენსონი და მეუღლე მაშინვე გვერდში ამოუდგა – უშუა-

ლოდ მონაწილეობდა ტექნიკური კვანძების აწყობასა და გამოცდაში. მან ბევრი სიახლე შეიტანა აპარატის მოქმედებაში და ამიტომ ამ ტელეფონებმა მაღალი შეფასება მიიღეს მსოფლიო ბაზარზე. სპეციალურმა კომისიამ ბერგენში (ნორვეგია) აღიარა, რომ ლარს მაგნიუს ერიკსონის ტელეფონები აწყობილი იყო უფრო უკეთესად და მათ უფრო მოხერხებული ნაწილები ჰქონდათ, ვიდრე ამერიკულ ალექსანდრე ბელის ტელეფონებს.

1878 წლიდან ერიკსონის ტელეფონის აპარატები დიდი რაოდენობით იყიდება ევროპის ქვეყნებში. სწრაფად გაიზარდა წარმოება, ტელეფონების გარდა ერიკსონმა დაიწყო კომუტატორების გამოშვება.

80-იან წლებში ერიკსონის ქარხანა 500 მუშას ითვლიდა და შეკვეთებს შეკვეთებზე დებულობდნენ როგორც სკანდინავიის ქვეყნებიდან, ასევე ინგლისიდან და რუსეთიდან. მალე საქსპორტო პროდუქციის რაოდენობამ 80 პროცენტს მიაღწია. 1897 წელს ერიკსონმა თავისი ნაწარმოების ფილიალი პეტერბურგში გახსნა. ამ ფილიალის ბაზაზე 1905 წელს შეიქმნა რუსეთის სააქციო საზოგადოება „ლ.მ. ერიკსონი“.

1899 წელს თბილისში ჩამოიტანეს ლ.მ. ერიკსონის მიერ დამზადებული სატელეფონო კომუტატორი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი თბილისის სატელეფონო ქსელის გაფართოებას.

1934 წლის 17 აგვისტოს ამოქმედდა ერიკსონის სისტემის ათი ათას ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური და პირველად თბილისში დაიწყო ტელეფონების ავტომატურად შერეობა.

1989 წლიდან თბილისში ექსპლუატაციაში შევიდა ავტომატური ტელეფონის სადგურები, რომელთა საერთო ტევადობა სამოცი ათასი ნომერი იყო. ამ სადგურების სისტემები კომპანია „ერიკსონის“ მიერ გახლდათ დამუშავებული და ეს სადგურები ინდექსებით „2“ და „9“ ქალაქში დღესაც გამართულად მუშაობენ.

\*\*\*

ლარს მაგნიუს ერიკსონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წიგნი აქვს დაწერილი შვედ ჰემინგ იონანსსონს. იგი აღნიშნავს:

„როგორც კონსტრუქტორი, და სხვა საკითხებშიც, ერიკსონი თვითნასწავლი იყო. ის გენიალური გახლდათ, ხოლო გენიად უნდა დაიბადო. ადამიანებს, რომლებიც თვალს ადევნებდნენ, როგორც მუშაობდა ერიკსონი, ექმნებოდათ შთაბეჭდილება, რომ პროექტი, რომელსაც ქალაქში ექმნოდა, მას გონებაში უკვე გამოგონილი ჰქონდა. ის გამოირჩეოდა მშვენიერი გარეგნობითაც, თავი ეჭირა თავმდაბლად, მაგრამ სიამაყის გრძობით, მისი მოსაზრებები კარგად მოფიქრებული, ჭკვიანური და ლოგიკური გახლდათ. მისი განკარგულებები ხშირად გამოიხატებოდა, როგორც თხოვნა, მაგრამ ეს თხოვნა სრულიად არ ჰკარგავდა ბრძანების ტონს.

ლარს მაგნიუს ერიკსონმა მსოფლიოში ცნობილი „ერიკსონის“ კომპანია 1903 წელს დატოვა, როცა 57 წლის იყო და სტოკჰოლმის მახლობლად საკუთარ ფირმას მოემდგნა დარჩენილი წლები.

1926 წლის 17 თქტომბერს ლარს მაგნიუს ერიკსონი გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ბორტკირტკში, სტოკჰოლმის მახლობლად მალზე უბრალო ცერემონილით. ასეთი იყო მისი ანდერძი.

მხოლოდ მისი დაბადებიდან ასი წლის თავზე მის საფლავზე პატარა მემორიალური დაფა გააკეთეს ასეთი წარწერით: „მისი დიდი დამსახურებისათვის შვეციის სატელეფონო მრეწველობის წინაშე“.

ერიკსონის სახელს მას შემდეგ მსოფლიო ინახავს, საქართველოში კი – მობილური ტელეფონები წარწერით – ERICSSON.



## ლელა ბაბური

### ყაჰარის ლექსი

აქ უოფნის გამო — ვარ მკლოვიარე,  
ღამეულ სიზმრებს ან რით ვაჯობო?!  
ღრუბელთბატონო, ჩამოიარე,  
და დამიბრუნე ბროლის სამშობლო...

თორემ... ილევა სინათლის წვეთი,  
ზეცა წამბახებს სხვისთვის დაისევს,  
მე — მიწისქვეშა მდინარეს ვერთვი,  
და ბნელშიც ვეძებ ედელვაისებს...

თორემ... ცა ელვით გადაისერა,  
უკუნში რჩება რწმენის ქალაქი,  
და სიუვარული — ვით ბედისწერა,  
მომაქვს თქვენამდე ეკლის კალათით...

წვიმების გამო... ვარ მკლოვიარე,  
კულწასულ სიზმრებს ან რით  
ვაჯობო...  
ღრუბელთბატონო, ჩამოიარე...  
და დამიბრუნე ბროლის სამშობლო.

\*\*\*

ელო! ელო! ღამა საბაქთან?  
(უფალო! უფალო! რად მიმატოვე?)  
სახარება მარკოზის  
თავი 15 .34.

ისევ ეწია უფლის იარას  
გამეტებული წიხლი და დაშნა...  
აჰა, წუურვილთან თვალი კი არა,  
თვალეთან — ისევ წუურვილი დაშნა.  
რისთვის ამდენი მწვირე და ღამე,  
ამდენი სილა რისთვის ღოუახე,  
რადღა მე, ღმერთო,  
ღმერთო, რადღა მე?!  
ერთად ამდენი ფლიდი მოუვასი...  
რადღა მე ჯვარცმულ ქრისტეს ჰერანგი,  
როცა ამდენი კერძი ღაღანებს,  
რადღა მე ცხადში — ჯვარი ვერაგი,  
და მხოლოდ სიზმრად ბროლის  
საუბანე...

რადღა მე, ღმერთო,  
სულ მუდამ სხვისკენ,  
გაქჩერებული — ლუკმა და დარი,  
რადღა მე — მუდამ მტრიანი ციხე,  
და მეცისოვნი, ღალატით მკვდარი...  
რადღა მე, მუდამ — ქვიშა ურემზე,  
და ისევ შხამი — შხამით დაგესლილს,  
რადღა მე — მიწის ფეხისგულზე,  
ბელურსავით მწირი ტრანჰეი...

— — —  
ისევ ეწია უფლის იარას,  
გამეტებული წიხლი და დაშნა...

გაქჩერებული-გამეტებული.

### იქნა...

რას საჭირო, რომ მოკვდეს ღამე...  
სიცოცხლისათვის — რას საჭირო,  
ო, სიუვარულო, მითხარი რამე,  
სიკვდილს — რაზგად გადავარჩინო.  
იქნება სჯობდეს, არ სჭვრეტდე  
ტირილს,  
არ ნახო, რწმენის გზა ვით გადახმა...  
იქნებ სჯობს, ღრუბლის შევიკრა

ტივი,  
და... ვაკისტუმრო ზეცის გადაღმა.  
მითხარი, იქნებ ჩემთან სარ ფუჭად...  
იქნებ გაღონებ, უფლის ტარიგო,  
ეგება სჯობდეს... აფუქვე ქუჩას —  
ნაზოვან განძივით ჩამოვარდო...

\*\*\*

წავალ... მშვიდობით... დაქცეულ  
ქონმასს,  
ჰვარავდეს გიჟის მხდალი იღბალი...  
ის შენთვის უკვე არასდროს მოვა,  
რადღა შენ ღმერთის ბილიკს  
მიჰბღავი.

აჰა, შეგსენი სისხლის საბელი,  
გავიზიარე სვედრი უგვანო,  
სანამდე შენი მწვემსი კეკონა,  
ხომ სდარაჯობდი უფალს —  
„უფალო?!“  
მაღლის ლეკვივით დაუწვებელი,  
ხომ ეგდე მისი ჯავრის ბეღელთან,  
და განწირული ლექსის ხავილი,  
ხელისგულად და ჰურად კიღირდა...

— — —  
წავალ... მშვიდობით...

### რაისთვის?

არა, არ მინდა ამოსვლა ზევით,  
რადღა სიცოცხლე სიმწუხარეა,  
რადღა გარდაცვლილთ სიცოცხლე  
კვიძიმს  
ისე, ვით ცოცხლებს — სიკვდილი  
თვისი.

### ის ვიარე, ის ვაჰა

შოთა ჩანტლაძეს

...იქნებ მანდ ეოფნა მართლა ისეა,  
როგორც ღამიდან გასვლა —  
მთვარეში,  
იქნებ სიცოცხლე მართლა ნისლია  
და სიზმარულ ღანდთა თარეში?!  
იქნებ ეჩვევით ღამეთა ზიმშიმს,  
და მიწა თქვენთვის სევდა არ არი,  
იქნება მართლა სიცოცხლე კიძიმით,  
სიცოცხლე — ჩვენთვის ასე ნანატრი...  
ღმერთო!  
ეს ფიქრი, ეს წვა, ეს კითხვა,  
პოეტს — რაისთვის დასდევს აღმასად?!  
აი,  
ბელურა  
ცას ჩაეკონა —  
ისე მარტივად,  
ისე ღამასად...



# კუჩრი...



მოთხრობა

ათია! ბედისწერა რატომ? – სულ თვითონ... მაგალითად, ტოლიკი მესამედ რომ დააპატიმრეს, სულ არ იყო დამნაშავე, როგორც ასეთი...

– პირველად რისთვის? – იკითხა ზურაბმა და იქვე მოიბოდიშა.

– კი ნანა, მოყვებო, მაგრამ მესამე რომ არ ვთქვა, პირველს ვერ გაიგებ, კავშირებია მანდ რთული... ტოლიკი მესამედ რომ დააპატიმრეს, მსუბუქად ნასვამი მოდიოდა თავისთვის, მაგრამ არავინ იცის როგორ აღმოჩნდა ადლერში; ბოდიში და, ნასვამი რომ ხართ კაცები, სულ სწორად დადიხართ?... მაპატიე და პირდაპირ მოგახსენებ: მოშარდვა მონდომებია ტოლიკს, როგორც ყველას საყოველთაოდ, მაგრამ რომ საქმიანობდა, ბელადის ძეგლი ყოფილა თურმე იქვე და „პასტოვის“ დაუნახავს ეს ამბავი. ძალით წაუყვანია ტოლიკი მილიციის განყოფილებაში, ისე რომ გვიან შევიტყვევო ამის შესახებ. კი იფიცა ტოლიკიმ, ბნელში ვერ შევნიშნე ძეგლი, მაგრამ ის მილიციონერი არ თმობდა: საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ცდილობდა ხულიგანი შხეფი რომ მიენვდინა ბელადის სახისთვისო. ამას იზამდა ჩემი ტოლიკი?... ჩვენმა ადვოკატმა ვალერა გვასალიამ, საკავშირო აფერისტ გვასალიას ვაჟმა, ისეთი ენის პატრონია, რომ გაფრენილ ძერას ჩამოაგდებს ციდან! პირდაპირ შეეკითხა მოწმეს: როგორ მიანვდენდა შხეფს მთვრალი ადამიანი, როდესაც აღნიშნული პატივცემულის ძეგლები სულ დიდმალღებიაო, წნევა არ ეყოფოდაო, წნევა!... მაგრამ იმ გადაჯიშებულმა, ისიც ქართველი ყოფილა, აფხაზი, გვარად სალია, ასე უპასუხა ჩვენს ადვოკატს, ის ძეგლი დიდი არ არის, ბიუსტიაო პატარა.

– ჩვენებურ კაცთან როგორ ვერ გამოიხახეთ საერთო ენა, ვინ იყო ამისთანა? – ჩაერთო ზურაბი და ისეთი ძალით შემოჰკრა ბარძაყს ხელი, ის აბეზარა ყვინჩილა, მედეას კვლავ თავგამოდებით რომ ეძაღებოდა, ტრიფოლიატის ლობჯ გადაეველო და აღარც გამოჩენილა. – ჩვენებური რა გვგვალაატობს, ზურაბის ენაცვალოს ჩემი სიცოცხლე, თორემ, სხვა რომ ყოფილიყო ერთ „ვოდკაში“ გამოვიდოდით. ექვსი თვე იჯდა ტოლიკი მაშინ და რომ გამოვიდა ციხიდან, იმ დღეს დიდი კამპანია მოუწყვეს მეგობრებმა, მაგრამ მსუბუქად ნასვამი შინ რომ ბრუნდებოდა, არავინ იცის როგორ აღმოჩნდა ლიძეაში, მთავრობის „დაჩებს“ რომ ეძახიან, იქ ტოლიკი ნასვამი რომ არის ჩემო ზურაბი, არ მოწონს თვალების წინ ვინმე ასე თუ ისე... ხოდა, გაუქნევია უბრალოდ ხელი, კოლოს რომ იცილებენ იმ განზრახვით, მაგრამ ვილაცას მოხვდა შემთხვევით სახეში. არ იკითხავ ვის? ვავა ჩემს ტოლიკის! ყირგიზეთის ცეკას მდივანს, მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვიც ყოფილა თურმე იქვე და ამის გამო დააპატიმრეს მთლად უდანაშაულო. სასამართლოზე თქვეს, თითქოს

● მიმწუხრისას ტალღებს აწყვეტილმა ნიავმა დასიცხულ სანაპიროს მობერა და მოაგარაკეებით აჭრია მულელებული გარემო ხავერდოვანი ბინდით მიიჩრდილა.

მედეა დარსალია საკუთარი სახლის ეზოში ჯორკოზე ისვენებდა; აბეზარა ყვინჩილას ეკალიპტის ნედლი ტოტით იგერიებდა და სახის სევიანი გამომეტყველებით საფიქრალს მისცემოდა... მედგარი ფრინველი კი თავისას არ იშლიდა და მას შემდეგ შეეშვა მარჩენალს, სიმინდის დარჩენილი მარცვალი რომ გააგდებინა – დაჰკრა მკვირცხლად ნისკარტი და აწინაიებული დაფნარში გაუჩინარდა.

– ვინ მოგდევს ნეტავ, შე უბედურო! – მიადახა მედეამ და კარისკენ გაიხედა, ჭრილი რომ შემოესმა. ეზოში სპორტულად გამონწყობილი ზურაბი შევიდა. საბანაო სანმერთული გაჭიმულ სინზე გადაკიდა, ლამაზად აქოჩრილ თმაზე ხელი გადაისვა, დიასახლისს მშვიდობის სადამო უსურვა და იქვე, ორ ხეს შუა გამართულ ხარისაზე ჩამოჯდა.

– მონუსხე მოსკოველი გოგოები, ზურაბ?... ეჰ, ჩემი ცისფერთვალეა ტოლიკი აქ რომ მყავდეს, – გულმძიმედ ამოთქვა მედეამ და ლევა თავსაფარი შუბლისკენ წამოწია.

– პირიქით, პირიქით, – აკოკრილ ულვაში შეპარული ღიმილით უპასუხა ზურაბმა და მოქნილ კისერზე კობტად მორგებულ თავი მოსაუბრისკენ გადახარა. სხვა რამ აინტერესებდა დარსალიებთან სააგარაკოდ

გაჩერებულ ლიტერატორს – მშობლის განსაკუთრებული თვისება. მისი დაკვირვებით, ქალბატონი მედეა კლასიკური მაგალითი გახლდათ დედის, რაგინდ დამნაშავე შვილს რომ იცავს. რა ძალა მართავს დედის ფსიქიკას, შთამომავლობის დაცვა-გადარჩენის თანდაყოლილი ინსტინქტი თუ ინტელექტი, შეძენილი გამოცდილება?... შესაძლოა, იმდენად აუტანელია მშობლისთვის შვილის დამნაშავეობის აღიარება, რომ ურჩევნია იცრუოს და ფანტასტური მითიც კი შექმნას უსამართლობას შეწირულ „რაინდზე“, ვინემ აღიაროს მწარე სიმართლე, რომ ვალმოხდილი კი არ არის სამშობლოს წინაშე შვილის გაჩენით და მისი აღზრდით, არამედ დიდად დავალებული!..

– რატომ პირიქით? შენისთანა ახალგაზრდები ზღვის კენჭით მრავლად კი არ არის, – გაოცებით უპასუხა მედეამ და ეზოში მიმობნეულ კენჭებისკენ მიანიშნა ზურაბს. – ჩემი ოქროსკულულებიანი ტოლიკი აქ რომ მყავდეს, იმდენ გოგოს მოიყვანდა, რომ სულ ბევრს, მაგრამ მეხუთედ დააპატიმრეს მთლად უდანაშაულო და ახლა როგორ?..

– გასაოცარი ბედისწერის ყოფილა, ხუთჯერ ნასამართლობა მართლაც რომ იშვიათია, – თავაზიანად ჩაერთო ზურაბი და გამოცდილი მწვევლის სხარტი მოძრაობით მოუკიდა სიგარეტს.

– განათლებული ახალგაზრდა ბრძანდები ნანა და გამიგებ, ჩემი ტოლიკიც იშვი-



ხრუშჩოვს ეჩივლოს, ეს მე გამარტყესო და ვინ აპატიებდა მაშინ ამას. ჩვენმა ადვოკატმა ვალერა გვასალიამ პირდაპირ თქვა: ნიკიტა ხრუშჩოვს თუ გაართყეს, ყირგიზეთის ცეკას მდივანი როგორ ნაიქცაო. - ფოკუს-ნიკით ყოფილან, ასე გამოდის და რა ერ-ნიკებ უღანაშაულო კაცსო, მაგრამ ადამიანის დაჭერა რომ სურთ პოლიტიკურზე, შენს სიმართლეს ვინ დაეძებს...

წელიწადნახევარი იჯდა ამის გამო ტოლიკი და რომ გამოვიდა ისეთი გამხდარი იყო, როგორც ლანჩხუთის კოოპერატივის ტარანი. საბედნიეროდ, ჭირს ლხინი ენაცვლება ხშირად და ერთი თვის თავზე, ქალი მოიყვანა ტოლიკი, ნატაშა. - რუსია, მაგრამ ნამდვილად კარგი ქალია, ბევრს შრომობს, ცოტას ჭამს და ხელმარჯვეა უზომოდ. ოდესაში რომ იყვნენ „სვადენბიში“, დეველა ატყვილა უსაშველო, ისე, რომ კაპიტანი ზღვაში გადავარდა კილამ, - იქაც ტოლიკი დააპატიმრეს; ბოცმანმა დააბეზლა, ჩემი თვალებით დავინახე, როგორ ცდილობდა „ლიცო კავკასკოი ნაციონალნოსტი“ კაპიტნის გემბანიდან გადაგდებასო. - სასწაული! კავკასიელი ტოლიკია მართო მსოფლიოში? აბა, ჩვენ ვინ ვართ?

სასამართლოზე ჩვენმა ადვოკატმა ვალერა გვასალიამ პირდაპირ თქვა: კაპიტანი ზღვაში რომ გადავადო აუცილებლობის მიზეზით, სულ მცირე კონტრადმირალი უნდა იყოს პიროვნებაო, მაგრამ „ნე აბეზატელნო“, უპასუხა მოსამართლემ და სამი წელი მიუსაჯა ტოლიკის.

- ესეც ხომ პოლიტიკურია, ნანა?.. დიდუ, დიდუ, რა უსამართლობაა ქვეყანაზე!.. ახლა მოეყვები, რატომ დააპატიმრეს ტოლიკი მეორედ, რომ გაიგო მეხუთედ დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი: ტოლიკი მეორედ რომ დააკავეს, სულ არ იყო დამნაშავე, როგორც, მაგალითად თქვენ.

სოჭში ვილაც გოგო გაეცნო პლიაჟზე, ახლა კი ვიცით ვინ, მაგრამ მაშინ ვინ იცოდა?.. ერთად ყოფილან, როგორც წესია ახალგაზრდებში... ვევა! იმან ატეხა ამბავი, ქალიშვილი გამაუპატიურაო! - სასტაული! სასტაული! სოჭში თურმე ქალიშვილები ბანაობენ ზღვაში... სასამართლოზე კი იფიცა ტოლიკი, არ ჩამიდენია ცუდი საქმეო, მაგრამ ის ბანძი დაადგა პირზე, უფრონოდ მთვრალი მხეცივით მეპყრობოდაო, - ტყვილი, ტყვილი, ტყვილი! თვითომ ხომ არ იყო მთვრალი, ვერ მიხვდა ვითომ, რას უშობოდნენ? - „დურაქი“ ყოფილა, ასე გამოდის!.. ჩვენმა ადვოკატმა, ო, რა რუსული იცის! პირდაპირ თქვა: - მსჯავრდებული მთვრალი თუ იყო უზომოდ, როგორც თავად, ვითომ, ნამუსახილი აცხადებს, მართ ვინ გახდა და საწოლზე ვინ დაწვინა მისსახე-ბაში მყოფიო, მაგრამ იმ პლიაჟის ძუენამ ურცხვად უპასუხა: ადამიანი მეგონა და ადამიანურად მიეხმარე, გვერდითაც მიუწყე იმ აზრით, რომ საწოლიდან არ გადავარდნილიყო. - სასტაული! ნასვამ კაცს თუ გახადე და საწოლშიც თუ ჩაუფიქრე, სქესობრივი ურთიერთობა სხვა კი არაფერიო, მოუჭრა სიტყვა ბატონმა ვალერამ და თან დაამატა: ვინ, ვინ გააუპატიურა ეს კიდევ საკითხავიაო, მაგრამ ეს მოსაზრება სასამართლომ არ გაიზიარა. - შეიძლება ქალი მამაკაცს რომ მიუწვევს თავის ნებით, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ

იცხოვრონო. ჩვენ ადვოკატს ვალერა გვასალიას ირონიულად გაეღიმა და მოსამართლეს პირდაპირ უთხრა: ეს თქვენთან არის, ქალთან რომ ეძინებათ, ჩვენ კი კოლხ-იბერული ჯიშის ხალხი ვართ და გთხოვთ ეს რაინდული ეროვნული თვისება გაითვალისწინოთ, მაგრამ არც ეს მოსაზრება გაიზიარა მოსამართლემ. სხვა ჯიშის რომ ხართ და საბჭოურ წესებს რომ ვერ ჰკუთობთ, იმიტომაც ისჯებითო, - ამით დაასრულა თავისი სიტყვა მოსამართლემ და ხუთი წელი მიუ-საჯა ჩემს ტოლიკს.

მაშინ, ჩვენმა ადვოკატმა ვალერა გვასალიამ სულ მთლად პირდაპირ თქვა: ჩემს ადვოკატურ პრაქტიკაში არ მახსოვს, ჯან-ღონით აღსავსე ახალგაზრდა სიყვარულის-თვის დაესაჯოთო, მაგრამ გვიანდა იყო. ახლა საიდუმლოს გაგამჟღავნებ, ჩემო ზურაბი: ის ბანძი გოგო, იმ კაპიტნის შვილიყოფილა, ტოლიკის გემბანიდან გადაგდება რომ დააბრალეს. - მიხვდი, ნანა, ესეც ხომ პოლიტიკურია?..

ზურაბი სივარტეს არ იცილებდა ტუჩიდან, სიცილი რომ არ დასცდებოდა. გამწარებული დედის პირისპირ გაღიმებაც კი ერიდებოდა თავაზიანს. სულის მოსათქმე-ლად ღრმად შეისუნთქა, ბარაქიანი ნაფაზი ნესტოებში გაატარა, სიცილის ეშმაკიც მას გააყოლა და ჩუმად წარმოთქვა: - სასოს ნუ წარიკვეთთ, მედეა დეიდა...

- კი, ნანა, ვიცი, სასონარკვეთა ღმრთის გმობის ტოლფასია, მაგრამ დიდი სიფრთხი-ლე მართებს გამოუცდელ ახალგაზრდას, ვინაიდან, ბოროტი მიმზიდველია საცთუ-რით... ნანა, ახლა მოგახსენებ, პირველად რომ დააპატიმრეს ტოლიკი იმის ამბავს, მე-სამედ დაპატიმრების საიდუმლო რომ გაი-ცა: პირველად რომ დააკავეს ტოლიკი, სულ არ იყო დამნაშავე დამნაშავეს პირობაზე. - ეს ის დრო იყო, სტალინი რომ მოწამლეს და ბერიაც, ნამდვილად დიდებული ადამიანი რომ მოკლეს! მაშინ, მისი სულ მშვენიერი ძეგლები საყოველთაოდ მოსპეს და გაანად-გურეს. ძეგლი რომ ააფეთქეს „სანატორი-ის“ ეზოში, ახლა რომ „კოსკია“, ბერიას მთლად ხელუხლებელი თავი ტოლიკი და მისმა თანაკლასელმა გენა სალიამ ტილო-ში გაახვიეს და წინაკის მწინლის კასრში გა-დამალეს, ისე რომ, ჩვენ არ გავიძულავნეს. ღამის სამ საათზე გეუფუს თანამშრომლებ-მა მოგვაკითხეს ძილის ბურანში რომ ვიყა-ვით; ტოლიკი და გენა გაურკვეველი მიმარ-თულებით წაიყვანეს მანქანით, მაგრამ გე-ნა შეიძის თხუთმეტ წუთზე გამოუშვეს, როგორც უღანაშაულო, ტოლიკი კიდევ და-აპტიმრეს რამდენიმე ხანი იმ მიზეზით, რომ თუ არ თანაუგრძობო ხალხის მტერს, სანეხ-ვეზე რატომ არ ისროლე მისი თავიო. - რო-გორ?! სანეხვეზე გადაადგებს მეგრული კა-ცი ბერიას სულ მშვენიერ თავს?.. დიდუ, სა-ქონელი არ გვყავდა იმ დროს და სანეხვე სა-იდან?.. მაგრამ ადამიანის დაპატიმრება რომ უნდათ პოლიტიკურზე, მიზეზად ფერ-მას მოგთხოვენ ერთი წინილის პატრონს. ახლა საიდუმლოს გაგამჟღავნებ, ნანა: გე-ნა სალია იმ მოდელაზე სალიას შვილია, ქართველობა რომ უარყო და ადღერში დადგა მილიციონერად. ახლა ხომ ხვდები, რა კავშირია პირველსა და მესამე პატიმრო-ბას შორის? ესეც ხომ პოლიტიკურია, ზუ-რაბი?..

ზურაბს ეძნელებოდა პასუხი აშკარად კომიკურ კითხვაზე, ფორმით კომიკურ, მაგ-რამ არა სიღრმისეული შინაარსით. მის პი-რისპირ, მწარე მოგონებათა გახსენებით და განცდით, მიუწევდომელს, მაგრამ სანუკ-ვარს, ვით წყალნაღებელი ბლახს ეჭიდებოდა გატანჯული დედის ოცნება. - ნუგე-შიც კი ყალბად გაიფურებდა იმ წამს, ოდენ თანაგრძობით დაუწვებელი დუმილი თუ ივარგებდა მოსაფერებლად, მშობლის აფო-რიაქებული სულის დასამშვიდებლად.

- დიდუ! ამ ქაქანში სულ არ გადამა-ვინყდა, ფრინველი დამრჩა შეხარეკი საბუ-დარში, - ისე შეიცხადა მედეამ, თითქოს სხვა თემაზე არც ესაუბროს. შეხსნილი თავ-საფარი სწრაფად შეიმადრა, კალთა ჩამოი-ბერტყა და დიდუიას ძახილით სახლის უკან გაუჩინარდა.

ზურაბი მთვრალი ანარეკლ შუქს გას-ცქეროდა ზღვის კიდზე. პორიზონტის ხა-ზი თითქოს მიჯნა იყო ცნობიერსა და არაც-ნობიერს შორის, მიჯნაც და კავშირიც. ანა-ტოლის წვრილმანი, ზოგჯერ კი ბოროტი ხულიგნობის ფაქტი ეჭვს არ ინვევდა, არც მედეა მიაჩნდა ზურაბს იმდენად გულუბ-რყვილო, შვილის დამნაშავეობას რომ ვერ მიმხვდარიყო. რა ძალა მართავს მშობლის ფსიქიკას ექსტრემალურ პირობებში, ინ-სტიქტი თუ ინტელექტი? რა არის მედე-რის განსაკუთრებული ნიშანი, მისი ფენო-მენი? ფსიქონალიტიკური ნიაღვრებით განსჯიდა ზურაბი რთულ, მაგრამ საინტე-რესო საკითხს...

ცხადია, პირველადია შთამომავლობის დაცვა-გადარჩენის თანდაყოლილი ინსტინ-ქტი მშობელში, - იმპულსური, ფეთქებადი და ქაროშხალივით უმართავი, შვილისადმი უპირობო სიყვარულის სახით რომ ცნობი-ერდება. პარალელურად მოქმედებს სხვა ძალაც, მშობელი-პიროვნება თავს იცავს შვილში, როგორც თანანაწილში. მესამე ძა-ლა, ინტელექტუალური ანუ პირობითი, პი-როვნების მიერ ზნეობრივი ნორმების გაც-ნობიერების ტოლფასია და ექსტრემალურ პირობებში თანდაყოლილი ინსტინქტის მძლავრი სტიქიით ითრგუნება. - ზნეობრი-ვი ნორმების უგულვებელყოფა აღნიშნულ პირობებში, სინამდვილის მიზნობრივად ტრანსფორმირება იცავს მშობელს სულიე-რი ტრავმისგან, ვინაიდან შვილის უღირსო-ბის აღიარება ნიშნავს, საკუთარი უღირსო-ბის აღიარებას, როგორც აღმზრდელისა და თანანაწილის... ამ ფიქრებში იყო ზურაბი რომ...

- ზურაბი, ნანა, რა ხანია დაგიგე ლო-გინი, - მშობლომ არ ნანასავით შემოეგმა მე-დეას ხმა.

ჭეშმარიტად, განუსაზღვრელია დედის ფენომენი! რას ვეძებ, რას ჩავკირკიტებ, ვინ ჩანდება იმ მისტიურ იდუმალს, დედის წი-ალმა რომ დაიტია მაცხოვრის სახით? - იპოსტასის ხსენებაზე ზურაბმა უნებლიეთ ზეცას ახედა. ვარსკვლავთა შუქი ვერ-ცხლის ნაკადად იღვრებოდა გასიზმრებულ გარემოში. - დიდება შენდა ღმერთო! - აღ-მოხდა ზურაბს და იქნა გაიხედა, შუქმფი-ნარ სარკმლიდან მედეას გუგულივით მო-ძახილი რომ გაისმა.



# ვასილ გვიტაძე

1

თვალი ყველაფერს ხედავს, რისი დანახვაც უნდა, ოღონდ წერაა ცოტა ძნელი. წერა ჭირს და დასანანი, ყველა რომ ხედავს, მაგრამ ყველას რომ არ შეუძლია ამის გამოხატვა უბრალო პოეტური სიტყვით. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ეხება შემოქმედ კაცს, ვისთვისაც სრულიადაც არაა ერთი და იგივე, რას წერენ მასზე და როგორ წერენ.

ეს პრეტენზიული „პოეტური სიტყვა“ აქ შემთხვევით არაა მოტანილი და იგი ადამიანებთან სულიერი მიახლოების მთავარი და ერთადერთი საშუალებაა კაცისათვის, რომელიც დიდ და დაძაბულ მოღვაწეობას ეწევა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

და ეს კაცი ყველგან და ყველაფერში პოეტია. თუმცა, მგონია, ლექსებს არ უნდა წერდეს. ყოველ შემთხვევაში, მე არსად წამიკითხავს მისი ხელმოწერით დაბეჭდილი ლექსი.

პოეტურია ნახატი, რომელსაც ის რაღაცნაირი ფეროვნებით ხატავს, მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ასე ნაღვლიანად ჟღერს და მსმენელს ატყვევებს, თეატრალური დადგმა, თითქოს ჩვეულებრივი და უბრალო, მაგრამ როგორი გრანდიოზულობითა და ტკივილებით გამორჩეული...

ერთი სიტყვით, სულიან-ხორციანად პოეზიაა მისი მრავალმხრივი შემოქმედება.

რეზო გაბრიაძეზე მოგახსენებთ, მსოფლიოში აღიარებულ ამ თვალსაჩინო მწერალსა და ხელოვანზე, რამდენიმე ათეული კინოფილმის სცენარის ავტორზე, პოეტური სული რომ ჩაუდგა ადამიანებს და ეკრანზე გააუკვდავა ასე ახლობელი და კოლორიტული სახეები.

მარტო ერთი თვალის შევლება კმარა, რომ იწამო ის, რაც მის პერსონაჟებს სწამთ და მათი აწრიალებული ცხოვრება სამარადისოდ ჩაგრჩეს მეხსიერებაში.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „არ დაიდარდო“, „მინინო“... ესენი ხომ ნამდვილი შედეგებია. და ისიც ხომ აშკარაა, რომ იოლად არ იშრიტება პოეტური სიტყვებზე და სული, რომელიც ამ შედეგებშია.

არაჩვეულებრივი გამოფენა მართლა „არაჩვეულებრივი გამოფენა“ თუ საკუთარი თავის გამოტირება,



კაცმა არ იცის. კაცმა არ იცის ისიც, „შერეკილები“ ეს ისინია, ხალისიანი და სასიამო ზემოიმერელი გლეხკაცები, ასე სახიერად რომ ჩნდებიან კინოეკრანებზე, თუ ბავშვობიდან წამოსული ცრემლივით ცინცხალი და აუსრულებელი სურვილები.

2

ამჯერად რეზო გაბრიაძის შედეგებში მე მხოლოდ ერთ შედეგზე შევჩერდები. ესაა „სტალინგრადის ბრძოლა“, რეჟიჟი, დიდი და განუმეორებელი „სიმღერა ვოლგაზე“.

რეზო გაბრიაძე ამის შესახებ ასე მოგვითხრობს:

– ერთხელ მატარებელში უყდო ჟურნალი გადავშალე. დავინწყე კითხვა...

მატარებელი მიდის, მიდის... ის კი კუბეში ზის და ყდაშემოცლილ ჟურნალში კითხულობს:

„...ბრძოლის შემდეგ... რაც უფრო ვუახლოვდებოდი სტალინგრადს, მინდორი ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. ყველგან ეყარა ცხენის გვამები. რამდენიმე ჯერ კიდევ ცოცხალი, სამ ფეხზე მდგარი ცხენი გადატყვილ მეთხე ფეხს იქნევდა. ეს იყო შემზარავი სანახაობა. ათი ათასი ცხენი დაიღუპა საბჭოთა იერიშის დროს. მთელი მინდორი მოფენილი იყო გვამებით, სასროლო ლაფეტებით, ტანკებით, ზარბაზნებით...“

დიდხანს მანვალებდა ეს სამ ფეხზე მდგარი ცხენი, რომელიც გადამტყვეულ მეთხე ფეხს იქნევდა...

შორეული ბავშვობის მივინყებულის სურათები, შაოსანი ქვრივები, ცალფეხა, ცალხელა ადამიანები, ცრემლები, მამიდები, ბებიები ავსებდნენ ქალაქ ქუთაისს. ყოველივე ეს არ მიშვებდა, ვიდრე არ ვიგრძენი მოთხოვნილება დამეღვა სპექტაკლი

სტალინგრადზე...

და აი, სპექტაკლი დაიდგა.

ესაა საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის ერთობლივი ნაწარმოები და მისი დადგმა რეზო გაბრიაძემ განახორციელა პეტერბურგში. პრემიერა საფრანგეთში, ქალაქ დიჟონში შედგა.

წარუშლელი კვალი დატოვა სპექტაკლმა და მიიღო „ცარსკოსელსკაია პრემია“ – ჯილდო იმ გამოჩენილი მოღვაწეებისათვის, რომლებმაც გამორჩეული სიტყვა თქვეს პეტერბურგის სულიერი ცხოვრების განვითარებაში.

დაჯილდოვდა აგრეთვე პრემიით „ოქროს სოფიტი“. წარმატება მოიპოვა მოსკოვში და გადაეცა „რუსული ნობელი“ (იგივე „ტრიუმფი“, რომელსაც მსოფლიოში სახელგანთქმულ მხატვრებს ანიჭებენ). სპეციალური თეატრალური პრემიითაც აღინიშნა. თავი ისახელა ვაიმარის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

ვაიმარჯვა ავინიონის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზეც, იქ, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან რამდენიმე ასეული თეატრი მონაწილეობდა.

– მრავალი მიწვევა აქვს „სტალინგრადის ბრძოლას“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ მე მინდა, რომ იგი მაყურებელთა წინაშე წარსდგეს ქართული თეატრის სახელით, – ეს უთქვამს მას სამშობლოში ჩამობრუნების დროს, აგერ რაღაც ორი-სამი წლის წინათ.

... შეასრულა დიდი ტალანტით დაჯილდოებულმა ხელოვანმა თავისი სიტყვა – „სტალინგრადის ბრძოლა“ დაიდგა თბილისშიც, მის მიერ დაარსებულ მარიონეტების თეატრში, სცენაზე, ასეთი ელვარებით რომ გაბრწყინდა შესანიშნავი სპექტაკლები: „აღფრედი და ვიოლეტა“, „მარ-

22



# დიდი ტალანტი



შალ დე ფანტიეს ბრილიანტი“, „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა“, „ტრაპეზუნდის იმპერატორის ქალიშვილი“.

როგორც უცხოური გაზეთები წერენ, „გაბრიადის თეატრი გამოსატყვევს ამ შესანიშნავი მხატვრისა და პოეტის სულს. იგი თვითონაა თეატრი – არტისტიც არის, რეჟისორიც, მუსიკოსიც, სცენოგრაფიც“. მისი „პატარა თოჯინები ცოცხლობენ და სუნთქავენ ნაზი და არაჩვეულებრივი პოეზიის რიტმში. მის ნააზრევში ჩაქსოვილია ირონია, ღიმილი, ჩაპლინისებური არტისტიკული გალანტურობა“.

კიდევ უფრო მეტი: „თუ გსურთ დატკბეთ ჭეშმარიტი ხელოვნებით, ნახეთ ის, რასაც აკეთებს რეზო გაბრიადი. ეს განუმეორებელია...“

ხოლო ის, რასაც ანდრეი პეტროვი ამბობს, ყოვლად შეუძლებელია აულეღვებლად ნაიკითხო კაცმა:

– ყველაზე ძლიერი ბოლოდროინდელი შთაბეჭდილებაა, – აღიარებს გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი, – თოჯინური სპექტაკლი „სტალინგრადის ბრძოლა“, რომელიც შესანიშნავ რეჟისორს რეზო გაბრიადს ეკუთვნის. ესაა შემადრწუნებელი, შთამბეჭდავი, ფილოსოფიური, ლირიკული და ჩემი აზრით, გენიალური სპექტაკლი. მასშია მომხიბვლელი სამყაროს აუმღვრეველი ბავშვური აღ-

ქმისა. მასშია წარსულისადმი გამწვანებული სიბრძნეც. რეზო გაბრიადემ აღმოაჩინა ხელოვნების ახალი შესაძლებლობები, მიაგნო მაღალ სიზადავეს. დიდი ხანია ხელოვნებისაგან არ მიმიღია ასეთი მძაფრი განცდა...

დიდებულადაა ნათქვამი. ეს არ არის მარტო სპექტაკლი. ეს რაღაც უფრო მეტია.

სემაფორების სინათლეებსა და ნითელ-მწვანე ფერების პარპალში, გადასარბენებზე აკვილებული ორთქლმავლები. დანგრეული და ჩაღმებული სადგურები. ყურებში ნაგრძნობი, შემზარავი ნივილი. ეშელონს ადევნებული „მესერშიტიები“: ხიდებზე ჩექმების ბრაგაბრუგით გადარბენა. გვამებით, ლაფეტებით, ტანკებით, ზარბაზნებით მოფენილი მინდორი, რომელიც ფანტასტიკურად გამოიყურება, და როგორც ბოლო უბედურება, სამ ფეხზე დამდგარი ცოცხალი ცხენი, მეოთხე გადატეხილ ფეხს რომ საცოდავად იქნევს.

3

როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, მთელი მსოფლიო ფეხდაფეხ შემოიარა ამ უნიჭიერესმა კაცმა. მაგელანს არ გაუვლია დედამიწის გარშემო მოგზაურობისას იმდენი მანძილი, – მოხდენილად შენიშნავს გაზეთი „ქუთაისი“, – რამდენიც რეზო გაბრიადემ და მისმა „ფაიფურის სპექტაკლებმა“ გაიარეს ქვეყნიდან ქვეყანაში ჩასვლა-წამოსვლის დროს.

ეს გზა აქ დაიწყო, არქიელის გორის ძირში, ნითელ, თეთრ და ჯაჭვის ხიდებს შორის, რიონის პირას გაშენებულ ქალაქში. აქაა მსოფლიოს უამრავ გზატკეცილებთან შემეარებელი და მოზიარე ამ გზის სათავე, ეს ბებერი ჭადარიც თეთრ ხიდთან და რიონს გადაჩერებული ეს „ოქროს ჩარდახიც“, ქვემოდან რომ შედგომია არქიელის გორას და ნაქცევის საშუალებას არ აძლევს.

ეს ქუჩები და სინათლეები, თვალმოსუჭულივით რომ პარპალებენ ქუთათურ განთიადებში...

ყველასაგან გამორჩეული სააღერსო და საფერები ქუთაისია ეს – ჩვენი კაცობის ფუძე და ძირი, ლადო ასათიანმა რომ გამოაბზინა რამდენიმე სამახსოვრო სტრიქონში ასე ნიშნულად და გულისგამაღბობლად:

რიონის პირას შფოთავს ქალაქი, ათას ჭირსა და ლხინში ნაქები,

ყოველ ახალ წელს საგულდაგულოდ განათებული ჩიჩილაკებით.

მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევნი გარინდებულან მკვდრულ მყუდროებით. მათ შთაგინერგეს შენ სიყვარული, ყრმაო, გარდასულ იმა დროების.

და საეგებო არაა ის გარემოება, მსოფლიოშემოვლილი, ყველგან კარგალებული და ყველაფრის მნახველი კაცი, აქედან, ამ ძირიდან რომ იხედება და მისი მაღლი და მარილი სცხია.

ამ ძირმა, ამ მიწამ სამიღვემჩიოდ დაამახსოვრა თავი და საოცარი ავტობიოგრაფიული ხასიათის მოტივებით ამოავსო „გარდასულ დროებზე მეოცნებე ყრმის“ შთაგონება. „ჩემი ბიოგრაფია“ სწორედ ამის მანიშნებელია და მან თავისი წილი შეიტანა რეზო გაბრიადის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილ ფილმებსა და თოჯინურ სპექტაკლებში, ფერწერულსა და გრაფიკულ ნამუშევრებში.

სამაგალითოდ თუნდაც სვედიანი მოგონებებითა და საამო პოეტური განწყობილებით დაწერილი პიესა „ქუთაისი“ კმარა – ეს წრფელი და დასამახსოვრებელი ნაწარმოები, კოლორიტული სამყარო, რომელშიც ჩვენი ცოცხალი ადამიანები ტრიალებენ.

ხმელეთის პირი კი, ზემოთაც ვთქვი, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა რეზო გაბრიადემ, მაგრამ აქ, მშობლიურ ქალაქშია, მის ძირებში და ფესვებშია ამოყრილი მისი წველი ყლორტი – შემოქმედება, ახალ სიტყვას რომ ამბობს ლიტერატურაშიც, მხატვრობაშიც, მუსიკაშიც, კინოხელოვნებაშიც, ერთი სიტყვით, ყველაფერში, რასაც მისი და მისეული ჰქვია.

ამიტომ, თავისთავად ცხადია, თუ რაიმე ინერება რეზო გაბრიადეზე, ქუთაისზეც უნდა დაინეროს, მის სიყრმისდროინდელ კუთხე-გარემოზეც უნდა ითქვას ორიოდ თბილი სიტყვა.

უქუთაისოდ მჭლე და ღარიბი იქნება ქუთათური კაცის ბიოგრაფია, მით უმეტეს მაშინ, როცა იმ წლების ქუთაისზე ამდენი რამეა სათქმელი და დასაწერი.

და ლადო ასათიანის ლექსიც ქუთაისზე შემთხვევით არ მომიტანია აქ, ამ წერილში: საქმე ისაა, რომ ლადო ასათიანი და ლევან გაბრიადე – 23 რეზო გაბრიადის მამა, ეტყობა, ტყუილ-უბრალოდ არ შეახვედრა ერთმანეთს ღმერთმა...

...მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში ვისაუბროთ.





● ერთ დროს თეატრშიც ვმუშაობდი მსახიობად, მაგრამ შიგადაშიგ დილის რეპეტიციებზე მისვლა მავიწყებოდა. ეს იმით დამთავრდა, რომ სხვა სამსახურის ძებნა მომიხდა.

მითხრეს, შეიძლება ირლანდიაში იშოვო სამუშაო.

ჩრდილო ირლანდიაში ქალაქი მიმასწავლეს, იქნებ იქ გამოკრა ხელი რამესო.

ქალაქის ვაგზალზე ვიღაც კეთილმა კაცმა მიჩნია:

– პოლიციას მიაკითხეთ. ამ ქალაქში პოლიციელების ნაკლებობაა.

მივედი პოლიციაში, სერჟანტს არ შევუწუხებია კითხვებით ჩემი განათლების ან წარმოშობის შესახებ.

– კმაყოფაზე ხომ არავინ გყავსო? – მკითხა. – ან საყვარელი ცოლი ხომ არ გეღიჯინებო? იქნებ მოხუც, ტკბილ დედაზე ზრუნვა გიხდებაო.

როცა ვუპასუხე, მარტოდმარტო ვარ ამ ქვეყანაზე-მეთქი, მოეწონა და განაცხადა:

– მაშ, ჩაიცვი ფორმაო.  
– ეს ფორმა სალოვანისა იყო. – ლაპარაკობდა სერჟანტი და თან მუნდირს მახოშობდა. – საწყალი გასულ კვირას დაახრწვეს, თურმე ხულგინების დაწყნარე-

ბას ცდილობდა.

მუნდირი ვიწროდ მქონდა იდლიებში.

– მაშინ ჯიმი ქოსტერის მოსინჯე. საბრალო ჯიმის აღარ სჭირდება. ბანკის გადარცვას წაესწრო, მაგრამ ისინი თურმე სამნი იყვნენ, ჯიმი კი ერთი.

– ეს მუნდირი ისე მაღვას, თითქოს ჩემს ტანზე იყოს შეკერილი.

– გაბედულება, – მომმართა სერჟანტმა, – გაბედულება და ინიციატივა, აი, რა სჭირდება სანიმუშო პოლიციელს. იმედი მაქვს, გვასახელებ, ჭაბუკო. სხვათა შორის, – დაუმატა მან: – ოსმეილის ქუჩას რომ ჩაივლი, 48 ნომერ სახლს შეჰკიდე თვალი. ეს მისტერ ჯეიმსის სახლია. მისტერ ჯეიმსი კი ამ ქალაქის მერი გახლავს და ამჟამად მეუღლესთან ერთად დასასვენებლადაა წასული სოფელში. ეგლა გვაკლია მისტერ ჯეიმსის სახლიდანაც გააღაგონ ვეველაფერი.

დარიგება გონებაში ჩავიჭედე, ხშირად ვეუბნები ხოლმე ახალგაზრდებს ჭკუის დარიგებისას: – თუ გინდათ, ცხოვრებაში წინ წაიწიოთ, ყურადღება მიაქციეთ ხალხის ნათქვამს – რა იცი, სად გამოგადგება.

იმ ქალაქში ასეთი წესი ჰქონდათ: ფულის დაზოგვის მიზნით შუალამისას

რ. ჰარინსონი

# ნიუპური

ქუჩის სინათლეს გამორთავდნენ ხოლმე, ამიტომაც ოსმეილის ქუჩა რკინიგზის გვირაბით იყო ჩაბნელებული და ვერც ერთი სახლის ნომერი ვერ გავარჩიე. ჩემდაბედად, ვიღაც ორი კაცი იჯდა კუთხეში მდგარ დიდ მანქანაში და იმათ ვკითხე.

– სწორედ 48 ნომერი სახლის წინ დგახართ, – მითხრეს.

– შემთხვევით მისტერ ჯეიმსი ხომ არ ბრძანდებით? – ვკითხე ერთ-ერთ ბრგე მამაკაცს.

– ვერ გამოიცანით, მე მისტერ ჰილი ვარ, ჩემი მეგობარი კი მისტერ ობრეინი გახლავთ.

– იმიტომ ვკითხეთ, რომ მისტერ ჯეიმსი ცოლთან ერთად ქალაქიდან გასვლას აპირებდა, ვიფიქრე, ხომ არ გადაიფიქრა-მეთქი, – ვთქვი მე.

– უცნაურია, – გაუკვირდა ჰილის. –



სწორედ ხუთი წუთის წინ სინათლეს მოკარი თვალი ამ სახლში.

ჩემისთანა გამჭრიახი ბიჭისათვის ამ პატარა ცნობის მეტი არც იყო საჭირო. იმწამსვე კვალს ჩავუდექე.

- ამას ასე არ დავტოვებ. - განვაცხადე. მივედი და წინაკარის ზარი დავრეკე. არავინ გამოძახებულა, მაშინ უკნიდან მოუხარე. არც აქედან გამცეს პასუხი. არემარე ჩამკვდარი გეგონებოდათ, მაგრამ მე რას მომატყუებდნენ; არ დაემშვიდლები, ვიდრე შიგ არ შევიხედავ-მეთქი. - ვუთხარი საკუთარ თავს. ჯიბის დანა ამოვიღე და შევეცადე უკან კარი გა-მეღო. ვერ გავალე.

- მაგ დანით არაფერი გამოვა, - მითხრა მისტერ ჰილიმ. იგი აქ ცნობის-მოყვარეობას მოეყვანა, - უკეთესი იარაღი მეგულება, ტიმი! - მიუბრუნდა მეგობარს, რომელიც მასავით ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. - მოიტანე ის გასაღები, ცილინდრის ხუფს რომ ხსნით ხოლმე.

მართლაც, ამაზე უკეთეს იარაღს კაცი ვერ მოიგონებდა. მისტერ ჰილის და მისტერ ობრეინის ჯიბის ფარნებიც ძალიან გამოგვადგა.

- არ ივარგებს სახლში სინათლის ანთება, - გვირჩია მისტერ ჰილიმ, როცა შიგ შევედით.

- რა თქმა უნდა, თუ შიგ ვინმეა, მიხვდება, რომ ვეძებთ და დაითესება. - კვერი დაუკრა მისტერ ობრეინმა.

კიბეს ავეყვით, თანაც გზას ჯიბის ფარნებით ვინათებდით. კაციშვილი არსად ჭაჭანებდა. საძილე ოთახში მისტერ

ირონიულად გამეცინა, როცა აღმა-სის ბეჭდებითა და მარგალიტის ყელსა-ბამებით სავსე ყუთი დავინახე და გავიფიქრე: რა სულელი ყოფილა მისტერ ჯეიმსი, ასეთი განძი ნამცხვრის კოლოფზე არასაიმედო ადგილას რომ შეუნახავს-მეთქი.

- ამ ხარახურას აქ ასე ვერ დავტოვებთ. - თქვა მისტერ ჰილიმ.

- არავითარ შემთხვევაში. - დაეთანხმა ობრეინი.

- სჯობს, ისეთ ადგილას დავმალოთ, რომ ვერ მიაგნონ.

- მანქანაში რომ გვაქვს, იმ ჩემოდანში ჩავდეთ. - შემოგვთავაზა მისტერ ობრეინმა.

- ჰოდა, მერე ჩემოდანი ისე გადავმალოთ, რომ მძარცველებმა ვერ მიაგნონ - მოიწონა აზრი მისტერ ჰილიმ.

აღმოჩნდა, რომ მანქანაში სამი დიდი ჩემოდანი ჰქონდათ, შიგ ძვირფასეულის გარდა, რამდენიმე ვერცხლის თასი, დანა-ჩანგალი, ბევრი სხვა რამე ჩაეჭია. ასე რომ, მძარცველები ხახამშრალები დარჩებოდნენ, თუ სახლს გატეხდნენ. ახლა საქმე ის იყო, სად დაგვემალა ჩემოდნები.

- კიბეების ქვეშ კარადა დგას, მგონი, შიგ სამივე შეეჭევა. - ვთქვი მე.

- მძარცველებს კარადას ვერ გამოაპარებ. - თქვა მისტერ ჰილიმ, - არც სარდაფი ვარგა ამ საქმისათვის.

- სწორედ სარდაფიდან იწყებენ მძარცველები, - ამიხსნა მისტერ ობრეინმა.

ვარ, სამსახურის პირველსავე დღეს ასეთ გულისხმიერ ჯენტლმენებს რომ შეეხვდი.

- პირიქით, ჩვენ ვართ ბედნიერები, თქვენს პოლიციაში ისეთი ხალხი გყავთ, თანამშრომლობის ინჩიბინჩი რომ არ ესმით. - მითხრა ობრეინმა წასვლისას.

\*\*\*

მეორე დილას, ცხრა საათზე უკვე პოლიციის განყოფილებაში ვიყავი გაჭიმული და სერჟანტს ვუპატაკებდი, როგორც თვითონ დამარიგა.

- ყველაფერი რიგზე იყო შემოვლისას? - მკითხა სერჟანტმა.

- ყველაფერი.

- კარგად უდარაჯე მისტერ ჯეიმსის სახლს?

ავდექი და უუამბე, რა სულელი აღმოჩნდა მისტერ ჯეიმსი და ჩემი გამჭრიახობა რომ არა, რით დამთავრდებოდა საქმე. პატაკის ბოლოს შევამჩნიე, სერჟანტი რაღაცა უცნაურად გამოიყურებოდა, სახეზე მწიფე ქლიავის ფერმა გადაჰკრა, აკანკალდა თავით ფეხებამდე და ყელში ძვალგანხერილი ბავშვივით უსუსური ხმის გამოცემა დაიწყო.

- ცხელა აქ, სერჟანტო, არა? - დავეკითხე.

ამის გაგონებაზე, თითქოს მიზიდულობის ძალა მასზე აღარ მოქმედებდესო,

# მუხვარი კვლავი

ჰილიმ ყურადღება მიმაქცევინა თუთიის დიდ ყუთზე, რომელიც საწოლქვეშ მიემალათ.

- ასეთ ადგილზე ინახავენ ხოლმე ძვირფასეულობას. - ამიხსნა მისტერ ჰილიმ.

- და ძალზე სულელურადაც იქცევიან. - გამოეპასუხა მისტერ ობრეინი.

- ჩემი აზრით, საკმაოდ საიმედო ადგილია. - ვთქვი მე და პასუხს დაველოდე, რადგან მინდოდა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიმეღო ამ ორ ჭკვიან ჯენტლმენტან საუბრით.

- საიმედო? - იკითხა მისტერ ჰილიმ, - ტიმი, მომეცი აქ ეგ იარაღი!

მაშინ კი დავრწმუნდი, რომ ეს ჯენტლმენტები ასი პროცენტით მართალნი იყვნენ! მისტერ ჰილიმ მაჩვენა და დამარწმუნა, რომ ღლაპიც კი მოახერხებდა ამ ყუთის გახსნას.

მისი საუბრიდან ის მომწონდა, რომ თუმცა ჩემზე გაცილებით მეტი ესმოდა, მფარველური ტონით კი არ მელაპარაკებოდა, ცდილობდა, უბრალოდ აეხსნა ჩემთვის საქმის არსი.

- ძალიან მძიმე რომ არ იყოს, პოლიციაში წავიღებდი-მეთქი, - ჩავილაპარაკე.

- ო, ძალიან მძიმეა. - მითხრა მისტერ ჰილიმ.

- მისტერ ჰილიმ გათხოვებთ მანქანას - შემომთავაზა მისტერ ობრეინმა.

-ჰო, მაგრამ შემოვლა უნდა დავამთავრო.

- მაშინ, თუ გსურთ, მე მივიტან პოლიციაში. - მითხრა მისტერ ჰილიმ.

- ძალზე მოხარული ვიქნები. - ვეუბნებოდი მათ და თან მანქანაში ჩემოდნების ჩალაგებაში ვშველოდი, - ბედნიერი

ელვის სისწრაფით ჩემკენ გამოქანდა. ეტყობა, ამ ძალამ ჩემზედაც შეწყვიტა მოქმედება, იმიტომ რომ ასეთი სისწრაფით არასდროს მირბენია. თვალის დახამხამებაში ქუჩის ბოლოს გავუჩინარდი.

უცნაური დამთხვევაა, ქალაქის სადგურზე ისევ ის კეთილი კაცი შემხვდა, სამსახურის ძებნა პოლიციაში რომ მირჩია.

- კიდევ ხომ არ გინდა რამე მკითხო? - მითხრა მან.

- კი, ამ ქალაქიდან ყველაზე უფრო დაშორებულ ადგილს თუ მასწავლით.

- ეს ადგილი სიდნეი გახლავს, - მირჩია კეთილმა კაცმა, - ავსტრალიაში.

ინგლისურიდან თარგმნა  
პალერი ჭკადუაძე



# კარია ნურქესკანოვას ბეიი!..

● „ჩემდამი კეთილგანწყობილი პიროვნება შექმნილია, მივიღებდი თუ არა მას ჩემთან. მე მივუგე, დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა-მეთქი ეს, მაგრამ ვიცი, რომ სხვა ფრეილინებს არ ღირსებიათ ასეთი პატივი და სულაც არ მინდა-მეთქი გამონაკლისი ვიყო. შუამავალმა, როგორც ჩანს, ჩემი გაწვალება მოინდომა და თქვა, ალბათ მე უნდო პიროვნებად მიგაჩნევართო და ის იყო შეპასულება დავაპირე, რომ ვილაცამ შეგვაწყვეტინა საუბარი. რას ფიქრობთ ჩემს ნაამბობზე? ანდა ჩემს პასუხზე? გამოგიტყდებით, რომ მსურს მეწვიოს, მაგრამ არამც და არამც არ გამოვიწვევ საამისოდ“.

...ეს შეხვედრა პავლოვსკში მოხდა...

თავდაპირველად თავადის ასული კეკლუცობდა, ცდილობდა ჩაცმულობის ხელოვნებითაც ისევე მიეპყრო ყურადღება, როგორაც გონიერებით, მაგრამ მალე უფრო კეთილშობილურმა ზრახვამ იძალა: მან გადაწყვიტა გამოეყენებინა მისდამი მონიჭებული უფლებები კეთილი საქმეებისთვის და როდესაც ხელმწიფესთან შეხვედრის დროს მართლაც შეძლო აღმოეჩინა წყალობა ორი ღირსეული პიროვნებისათვის, ის წერდა: „მხოლოდ და მხოლოდ ასეთ საქმეებს შეუძლია ჩემი გადარჩენა“. ეტყობა, თავის თავით უკმაყოფილომ დაუმატა: „მე ლაფში მოვადინე ტყაპანი... როგორ ვცდებით ხოლმე საკუთარი ძალების შეფასებაში“. მიუხედა-

ვად ამისა, მას ჰქონდა ბედნიერი გამონათება მისი რომანის გარიჟრაჟზე. მოზეიმე, გახალისებული ტონით ეხუმრება კრისტინს: „ღმერთმანი, უცნაური კაცი ხართ. ასეთი შეხვედრების ამბავს გიმხელთ და თქვენ კი გსურთ გიამბოთ რაღაც პოლონეზზე, რომელზეც გამიწვიეს.“

ხომ არ გაგიჟდით?!

მერყევ იმპერატორზე მისი ზეგავლენა იქნებ არც იმდენად სიღრმისეული იყო, მაგრამ თუ მათი საუბრის გარშემო არსებული გადმოცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც თურმე საათობით გრძელდებოდა, იმ წუთებში საუკეთესო თვისებები მჟღავნდებოდა.

1817 წელი განსაკუთრებული თარიღია თავადის ასულ თურქესტანოვას ცხოვრებაში. რწმენა, რომ ხელმწიფე წყალობდა, შინაგანად ახალისებდა და აქეზებდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში. იგი გატაცებით მიისწრაფოდა მიზნისკენ, მონაწილეობდა სპექტაკლებში და თავისი სილამაზითა და არტისტული ნიჭით აღაფრთოვანებდა პავლოვსკელებს. აქამომდე, როგორც ჩანს, მისი და იმპერატორის ურთიერთობა, პირწმინდად პლატონური იყო, მაგრამ გვირგვინოსანი თანდათან ისე გაიტაცა ამ გრძნობამ, რომ იგი აღარც მალავდა მას. სახელობის დღესთან დაკავშირებით მან უსახსოვრა კამეაზე გამოსახული ჩინებულად მიმსგავსებული თავისი პორტრეტი ქარაგმული ზედ-

წარწერით:

„მას, ვინც ჩემი რჩეულია, მისგან, ვინც მისი რჩეულია“. („სელუი კი ვუ პრეფერე, დელა პარ დე სელუი კი ვუ პრეფერე“).

მას ჩვეულებად ექცა ქალუბისათვის გვერდი აევლო, ჩამომჯდარიყო თავისი რჩეულის ახლოს და ასე გაეტარებინა მთელი საღამო. მაგრამ ეს ზეიმი უკვე შემოდგომაზევე ჩამწარდა თავადის ასულს.

რამ ააფორიაქა იგი?

იმისმა გულგრილობამ, „ვისზეც მან არჩევანი შეაგლო“? გამოხატა კი ეს ალექსანდრემ ჩვეული უხეშობით, რაც თურმე სასტიკად იწვნია თვით დედოფალმა ლუიზამ თავისი დროის ამ ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა ნაპოლეონისაგან, ერთხანს ხომ მასაც სწამდა ღრმა და ზიარი სიყვარულისა!

თავადის ასულ თურქესტანოვას წერილებში თანდათან იგრძნობა გულგატეხილობა. სასახლის კარის ცხოვრების ათვალწუნებამ „არც ბედნიერებას რომ გწევს და არც მისი სხვაგან პოვნის საშუალებას გაძლევს“, – გამოიწვია ფარული განცდები. სიტყვიერად თითქოსდა ლმობიერი, ისეთივე ლიბერალური იმპერატორი, როგორიც მოწაფეობისას ყოფილა თავისი ყოფილი გამზრდელის ლაგარპის ხელში, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, დესპოტურად იქცეოდა, უკან არ იხევდა რათა თავისი ბოროტი გენიის – არაკჩევეის აღმაშფოთებლად მკაცრი ბრძანებები-



სათვის ხელი მოეწერა. მისი მემკვიდრეობითი ინსტინქტები უეცარი და ფეთქებადი იყო და ასეთ დროს იგი ქალებისადმიც ისეთივე სიმკაცრეს იჩენდა, როგორც მამაკაცების მიმართ და მაშინ აღარავინ იყო დაზღვეული „მარადიული მგზავრის“ გასაოცარი გაგულისებისაგან.

უბედური ფრეილინა უთუოდ გრძნობდა გარდაუვალი განხეთქილების მოახლოებას, თუმცა საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ იყო ნათქვამი. თუმცა სინამდვილეს ჩრდილი წამოეპარა, თუმცა ცისკიდურზე ღრუბლები გამოჩნდა, მას ჯერ კიდევ შეეძლო დიდხანს არ დაეკარგა იმედი...

როგორც ყველა მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიანი არსება, იგი დაისაჯა თავისი მეტისმეტი კდემამოსილობისა და სულიერი სიფაქიზის გამო. „ჩემივე ბედისწერის, უფრო კი ღმერთისადმი მიცემული აღთქმის გამო“ – წერს იგი... და დასძენს: „ნიადაგ ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ დავაღწიო თავი აქაურობას, ყოველივეს, რასაც ვხედავ და რამაც საშინლად მომქანცა“.

იმპერატორ ალექსანდრეს უბედურების მეტი არაფერი მოუტანია ბანოვანთათვის, რომლებიც უყვარდა და მით უფრო მათთვის, ვისაც იგი ჰყვარებია, თვით უგულითადესი დედოფლის ელისაბედ ალექსის ასულის ჩათვლით. ერთადერთი გამონაკლისი ნარიშკინა იყო, მაგრამ მას არც უყვარდა იგი და მოურიდებლად დალატობდა თავის თანამემამულე ახალგაზრდა პოლონელ ჰუსართან. მისი ხასიათის გაორება იმდენად აშკარა იყო, რომ თანამედროვე ფსიქოლოგები ფიზიკურ ანომალიას, თავის ტვინის დაავადება-

საც კი მიაწერდნენ – რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც იყო მუდმივი მოგზაურობის მოთხოვნილება.

რასაკვირველია, მამისეული მემკვიდრეობა უკვალოდ არ ჩაივლიდა და ის საშინელი განცდები, რაც მის მეფედ კურთხევას ახლდა, შეიძლებოდა ნევროპათიის მიზეზიც ყოფილიყო. საერთოდ კი იგი გახლდათ განგებისაგან უხვად დაჯილდოებული ადამიანი, განსაკუთრებით ესთეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ სუსტი ნებისყოფის პატრონი, – ეს სისუსტე იყო მიზეზი მისი არაერთი შეცდომისა, რომლებიც არ შეესაბამებოდა მისსავე დიდ ნიჭს. ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატერინე აღნიშნავდა გრიმთან მიმოწერაში ამ მანკს. ხასიათის ესოდენ ამოუხსნელი, თითქმის ერთმანეთის გამომრიცხველი თვისებები, დღევანდელი სამედიცინო ანალიზის თვალსაზრისით აღარ წარმოადგენენ რაიმე სირთულეს, და ყოველგვარი ფარგლებიდან გამოსული ფსიქიური კონტრასტებით ადვილად შეიძლება იმ წინააღმდეგობათა და მოულოდნელობათა ახსნა, რითაც აღსავსე იყო ამ სიმპათიური და ამდენადვე ტრაგიკული ადამიანის ცხოვრება.

დრო გადიოდა. ვარია თურქესტანოვას სატრფიალო ამბის პერიპეტეები, დაწყებული იმპერატორის ხშირი არყოფნის გამო, თავის გზით მიედინებოდა და თანდთან ქალი რწმუნდებოდა, რომ ხელიდან გაუსხლტებოდა იგი, თუკი ბოლომდე არ დანებდებოდა. თუმცა ცდილობდა გაეხანგრძლივებინა მოახლოებული დაცემის საშიშროება და პირქუშად პასუხობდა კრისტინს გაფრთხილებაზე:

„ამაოდ მიწინასწარმეტყვე-

ლებთ, რომ ჩემი იმედები ფუჭია. ახ! ღმერთო ჩემო, მე ხომ თვალში ვიხედები და ყველაფრის ხალისი დავკარგე; ერთადერთი ნუგეში ისღაა, რომ ყოველგვარ ტანჯვას დასასრული უნდა ჰქონდეს და დრო მარადისობასთან შედარებით არარაობაა.“

შემდგომ იგი ლაპარაკობს მარხულობასა და განმარტობაზე: „რვა დღე გავატარე მარტობაში; მსურდა გამომეცადა, რამდენად გამიჭირდებოდა საზოგადოების გარეშე ყოფნა; სიმართლე რომ გითხრათ, ეს არც ისე ძნელი ყოფილა, თუმცა ჯერ შორს ვარ იმ აზრიდან, რომ ჩემი ნებით განვერიდო მას საბოლოოდ... საერთოდ, როგორც ჩანს, განდევილობისათვის ჯერ არ მოვმწიფებულვარ“...

ეს იყო გაბრძოლება მგზნებარე სულისა ხელოვნური ბორკილების წინააღმდეგ, უმთავრესად კი თავის დაღწევის სურვილი იმ ნაგვიანები ვნებებისგან, რამაც თავადის ასული აიძულა ცთუნებას აყოლოდა წინააღმდეგ მისი სასიცოცხლო პრინციპისა – წინააღმდეგ უმანკოებისა და მაღალი ზნეობისა.

აფიქრებდა აგრეთვე იმათ თვალში დაცემა, ვინც ესოდენ მაღალ კვარცხლბეკზე დააყენა იგი. ცდილობდა რა ყველანაირად აერიდებინა თავი გულახდილობისათვის, რითაც ნათელი მოეფინებოდა სინამდვილეს, იგი ლაპარაკობს თავის დარდზე და თან წერილშივე დასძენს: „ფრთხილად, ნუ მაიძულებთ მევე გამოვიგლოვო ჩემი თავი, ამით უფრო დამტანჯავთ...“

თავგამოდებულ მართლმადიდებელს კათოლიციზმიც იზიდავდა, აგრეთვე იეზუიტე-



ბის მიმართაც სიმპათიას გრძნობდა, რომელთაც პეტერ-ბურგში ჰპოვეს თავშესაფარი; მათი ნათელი რწმენა, ყოველგვარი პირადული სიკეთის უარყოფა – თვითაღკვეთა, ესიტყვებოდა მის გულს და წარმოდგენას; უმთავრესად მას სწყუროდა ის სულიერი მოძღვარი, რომლის იდეალსაც ხედავდა არა თავის, არამედ იეზუიტების რელიგიაში. სწორედ ამ დროს გაიცნო მან მადამ სვეჩინა, რომელიც ის-ის იყო ემზადებოდა იმ დიდი როლისათვის, რაც კათოლიკურ სამყაროში ელოდა და შეძლო მისი მნიშვნელობის შეფასება. მათ ერთმანეთისკენ იზიდავდა საერთო მისწრაფებები და ამ ორ, ერთნაირად გულანთებულ მანდილოსანს, კარგად უნდა გაეგო ერთმანეთისათვის.

კრისტინისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში (1814 წლის 3 სექტემბერი, „რუსულ არქივში“ იგი არ გამოქვეყნებულა), ვარია თურქესტანოვა წერს:

„ახ, ღმერთო ჩემო, რა საჭიროა წარა-მარა ეს ეკლესიაში სიარული, წირვა-ლოცვა? ეს ხომ აშკარად გარეგნული თავყვანისცემაა. არადა, ამას როდი გვიქადაგებდა იგი, ვისაც ვეთაყვანებით. უშურველობა, თავმდაბლობა, სათნოება და მოწყალების გაღება – აი, რაა საჭირო და რას ვერ ვგრძნობ აქ...“

რაც შეეხება ვარიას, იგი მისი მცირედი ქონების მიუხედავად, მართლაცდა უშურველად გასცემდა. მან აღზარდა თერთმეტი წლის ობოლი ბიჭუნა – გაფლანგვისათვის ჩავარდნილი პორტის მსახურის – ჰერტელის ვაჟი შვილი; მის კმაყოფაზე იყო

მოხუცი აღმზრდელი. და საერთოდ, დიდად წყალობდა და დიდად თავგამოდებული იყო უპოვართა და დაბეჩავებულთა მიმართ. მაგრამ მისი შემწყნარებლობა როდი ეხებოდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელთაც იგი სიამოვნებით და შეუბრალებლად კიცხავდა.

თავისი თითქოსდა დემოკრატიული გრძნობები თავადის ასულმა იმითაც გამოხატა, რომ მისი ახალგაზრდა მოახლის ნადეუდას მასწავლებლობაც კი იკისრა და მას „მადმუაზელ დემოდენი“ შეარქვა, რადგან მისი სახე ძველ მეგობარს აგონებდა. თავადის ასული ყოველდღიურად ამეცადინებდა ფრანგულ ენაში (1815 წლის 18 ივნისის წერილიდან; ეს წერილიც გამოქვეყნებულია) და ყოველ სურვილს უსრულებდა.

ბოლოსდაბოლოს ამ ბანოვანის სულში გაიღვიძა მისიონერობის წყურვილმა და მან იმდენი ღონე შეაღია ყოფილი პარიზელი ელჩის გრაფ მარკოვის მოქცევას, რომ კრისტინმა მათი შეუღლებაც კი გადაწყვიტა; მაგრამ არაფერი მსგავსი არ შეიძლებოდა მომხდარიყო... რაკი მან ვერ შეძლო მარკოვი რელიგიურობის გაღვივება, ხელი მიჰყო თავისი მეზობლის (სასახლეშივე) სვისტუნოვის მორჯულებას და წერს კიდევ წერილებში თუ როგორ მოახერხა გარდაექმნა ეს კაცი და ექცია ღვთისმოსავ ადამიანად. იგი ლოცულობს და ესწრება ქადაგებებს, ამ დროს კი სტუმრები მის გამოჩენას ელიან დარბაზობაზე.

კრისტინი მას წმინდა ტერეზას ადარებს...

● ყოველკვირეულ ჟურნალ „ფუტოლის“ მთავარი რედაქტორი მარტინ მერქანოვი თბილისის „დინამოს“ თავყვანისმცემელი იყო; მისი თამაშის სტილის, მანერისა და მაღალტექნიკური ოსტატობისა, მისი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა მიმა მესხი და სლავა მეტრეველი.

მერქანოვის ერთ-ერთ ნიგში („კიდევ ერთხელ ფეხბურთის შესახებ“) არის ასეთი სტრიქონები: „მრავალი წელი თბილისის „დინამოელები“ ყურადღებას იპყრობდნენ თავიანთი ცეცხლოვანი ტემპერამენტით, ლამაზი კომბინაციებით, ბურთის მსუბუქი და თავისუფალი ფლობით. შეიცვალა მრავალი თაობა, დაიხვეწა „საფეხბურთო გემოვნება“, სტილი, თამაშის მანერა, ტემპერამენტი კი უცვლელი დარჩა.

როგორც თანამედროვე ქართულ ფერწერაში შეიქმნა დღევანდელი სურათის ამსახველი ნაწარმოებები, რომელშიც შერწყმილია ქართული ფრესკის ნაზი შტრიხები, ასევე ქართული ფეხბურთი სათავეს იღებდა კახეთის ხალხურ თამაშებში, იმერული სოფლის წრეებში, სოხუმის სკოლებში და ბათუმის სასპორტო უბნებში“...

მსოფლიო ჟურნალისტიკის მოგონებიდან კიდევ ბევრის ციტირება შეიძლებოდა, მან ხომ არა ერთი თბილი სიტყვა მიუძღვნა ქართულ ფეხბურთს და თბილისის დინამოელებს... განსაკუთრებით ხიბლავდა დინამოელების სწრაფვა შეტევისადმი, მათი მისწრაფება იმპროვიზაციისადმი... მაგრამ მე მინდა მოგიხსროთ თვით მარტინ ივანოვის ძეზე – ზეპირსიტყვიერების ოსტატზე, რომელსაც სპორტული ჟურნალისტების წრეში „ჩვენი ირაკლი ანდრონიკოვსაც“ უწოდებდნენ...

სოხუმიდან ათიოდე კილომეტრის მოშორებით, გულრიფში, ზღვის სანაპიროზე დგას რამდენიმე კოტეჯი, რომლებიც ცნობილ მწერლებს – კონსტანტინე სიმონოვს, ნოდარ დუმბაძეს, ბორის გორბატოვს, კარლო კალაძეს – ეკუთვნოდათ. ეს პატარა სახლები აგებული იყო ადგილობრივი კოლმეურნეობის მიწაზე, რომელიც სასოფლო სავარგულებად არ იყო გამოსადეგი მარილის დიდი შემცველობის გამო. ბორის გორბატოვის სიკვდილის შემდეგ დაუმთავრებელი აგარაკი შეიძინა მისმა ფორმულმა მეგობარმა მარტინ მერქანოვმა. თავისი „ფაზენდის“ (ეს მისი გამოთქმაა) ვერანდა მერქანოვმა შეღება ღია მწვანედ, იატაკი კი თეთრი ზოლებით დახაზა, როგორც ფეხბურთის მოედანი. ერთმა ენამოსწრებულმა მოსკოველმა ჟურნალისტმა, როცა გაიგო, რომ მერქანოვის სტუმრებს მარილის იყვნივს გ. კაჩალინი, ან. სტაროსტინი, პ. ბესკოვი და სხვა, განცვიფრებულმა მოუთხრო მკითხველს, როგორ მუშავდებოდა შავი ზღვის კურორტის სიმშვიდეში საბჭოთა ფეხბურთის ტაქტიკური სიახლენი.

– აი, სადამდე შეიძლება მივიდეს ვერანდის შეღების უბოროტო ხუმრობა, – ბობოქრობდა მერქანოვი.

– ხომ იფიქრებენ, რომ მე აქ მწვრთნელთა საბჭოს ფილიალი მაქვს გახსნილი... ესღა მაკლდა.

შეუძლებელია, სიცილის გარეშე მოგესმინა მერქანოვის მონაყოლი გულრიფშის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო



# სპორტული კურიოზები

კრების შესახებ, თავმჯდომარე დამსწრეთ მოუთხოვდა კოლმეურნეობის ზრდასა და მიღწევებზე და აუცილებლად დასძინდა:

- საანგარიშო პერიოდში ჩვენი კოლმეურნეობის წევრმა, კონსტანტინე სიმონოვმა დაამთავრა მუშაობა რომანზე „ცოცხლები და მკვდრები“, ნოდარ დუმბაძემ დაწერა რომანი „თეთრი ბაირალები“, მერყანოვი კი წერდა რეპორტაჟებს ფეხბურთზე მსოფლიო პირველობიდან.

უნდა ვიფიქროთ, რომ გულრიფშის კოლმეურნეობას ბადალი არ ჰყავდა ქვეყანაში თავისი წევრების „ინტელექტუალური პროდუქტის“ სიუხვის მხრივ.

## დინამო! დინამო! დინამო!

1972 წლის შემოდგომიდან მოყოლებული „დინამომ“ ზედიზედ (ორი უიღბლო სეზონის გამოკლებით) მოიპოვა პოპულარული ევროპული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის უფლება. მართალია, მისი მონაწილეობა საშემოდგომო თამაშებითვე მთავრდებოდა (მერვედ ფინალი იქით დინამოელებმა ვერ გააღწიეს), მაგრამ ცალკეული გამარჯვებები (კერძოდ, „ინტერთან“ ან „ნაპოლთან“), რა თქმა უნდა, ზრდიდა მის ავტორიტეტს ევროპული ფეხბურთის გრანდებს შორის.

მხოლოდ მეექვსე ცდაზე აღმოჩნდნენ თბილისელები პრიზორთა შორის ყველაზე პრესტიჟული - ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მძაბვლები. და პირველივე მოწინააღმდეგე - ინგლისის თერთმეტგზის ჩემპიონი, უპოპულარესი „ლივერპული“...

ლონდონის აეროპორტში თვითმფრინავი ჩვენი დელეგაციით საღამოთა თერთმეტი საათისათვის დაეშვა. მათ დახვდნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები და „ლივერპულის“ ავტობუსი, რომლითაც უნდა მისულიყვნენ დანიშნულების ადგილამდე. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიანი იყო, ჩვენ წინ გვქონდა ოფიციალური შეხვედრა - გუნდს საელჩოში ელოდებოდნენ.

- არ დაგაყოვნებთ, - მიმართა სტუმრებს ელჩმა ნ.მ. ლუნკოვმა, როგორც კი ბიჭები სკამზე ჩამოსხდნენ, - მინდა ყველა ჩვენგანის სახელით გისურვოთ წარმატება. მსურველი თქვენი მატჩის ნახვისა ისე ბევრია, რომ მომიწევს ორი დღით საელჩოს საქმიანობის შეწყვეტა. სამწუხაროდ, ამის გაკეთება არ შემიძლია, მაგრამ ერთ ავტობუსს გულშემატკივრებს აუცილებლად დაუთმობთ.

- ცოტა ხნის წინ, - აგრძელებს ელჩი, - ინგლისში დიდი წარმატებით ჩატარდა რამიშვილისა და სუხიშვილის ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. მათ მთხოვეს, გადმოეცა თქვენთვის ერთი სუვენირი.

ამ სიტყვებით ელჩმა გაშალა დიდი ფოტოპლაკატი. პლაკატზე გამოსახული იყო თეთრ ცხენზე ამხედრებული დიდი ბრიტანეთის დედოფალი. ბაგეებიდან მოფრინავს ფლომასტერით მიწერილი სიტყვები: „Dinamo! Dinamo! Dinamo!“

თანამემამულეთა გზის დალოცვა დინამოელებმა შეასრულეს, მაგრამ... ორი კვირის დაგვიანებით: შესანიშნავად ითამაშეს ლივერპულში და მაინც დათმეს შეხვედრა მასპინძლებთან მინიმალურ განსხვავებით (1:2), გამანადგურებელი ანგარიშით (3:0) მოიგეს

სახლში საპასუხო მატჩი და გამოადგეს ისინი გათამაშებიდან. „Dinamo! Dinamo! Dinamo! - მ კი გზა გააგრძელა.

...არ ვიცი, შენახულია თუ არა ეს სუვენირი და მოაღწია თუ არა მან დღემდე. თუ არ დაკარგულა, დაამშვენებდა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მუზეუმს, რომლის შექმნასაც, ალბათ, ბოლოს და ბოლოს მოიფიქრებენ.

## როგორი ტალანტი იპარბემა

1962 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები-სათვის წარმატებულად აწყობ: დაიკავეს პირველი ადგილი წინასწარი შერჩევის ეტაპზე თავიანთ ქვეჯგუფში (ამასთან ორჯერ მოუგეს მომავალ ჩემპიონს - მოსკოვის „სპარტაკს“ - 2:0 სახლში და 2:1 სტუმრად). გუნდი დამაჯერებლად გამოდგინა ფინალურ ტურნირში და ფინიშზე ბრინჯაოს მედლით გავიდა.

გახურებული ჩემპიონატის დროს დინამოელებს მოუხდათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრება, ბუნდესლიგის უძლიერეს კლუბებთან შეხვედრების ჩასატარებლად. მართალია, სამივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა („ბორუსიასთან“ 1:1, „განოვერ-96“-თან 2:2, „კარლსრუესთან“ 1:1), მაგრამ პრესაში ჩვენმა ფეხბურთელებმა შესანიშნავი გამოხატაურება მოიპოვეს. გაზეთები აღფრთოვანებულნი წერდნენ სტუმრების ოსტატობაზე, განსაკუთრებით გამოყოფდნენ მესხს, ჩოხელს, ხურცილავას, იამანიძეს, ბარქაიასა და კალოევს.

ტურნე დამთავრდა ბანკეტით კარლსრუეს ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. სადღეგრძელოებს ცეკვილია ცვლიდა, ცეკვებს სიმღერები, სტუმრებს ორკესტრი ართობდა. როცა მუსიკოსები ხანმოკლე შესვენებაზე გავიდნენ, ჯემალ ზინკლიშვილი როიალს მიუჯდა და დარბაზის თაღებში გაისმა ბუზბულის გალობა.

დინამოელთაგან არავის არ გამოუხატავს გაკვირება - გუნდში ყველამ იცოდა ჯემალის გატაცების ამბავი (ტყუილად კი არ შეარქვეს ზედმეტ სახელად „მსტივანი“). გერმანელები გაქვავდნენ, უცებ ვერ გაერკვნენ, რა ხდებოდა.

როდესაც ჯემალმა დამთავრა თავისი „ბუზბულიანი“ და ადგილზე დაბრუნდა, მაგდასთან მივიდა ხანშიშესული, დარბაისელი გერმანელი, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, „კარლსრუეს“ ერთ-ერთი მთავარი სპონსორი და ამ ბანკეტის ორგანიზატორი, მან თარჯიმნის მეშვეობით მიმართა ჯემალს:

- ახლაგზარდეთ, თქვენ ფეხბურთს კი არ უნდა თამაშობდეთ, ესტრადაზე უნდა გამოდიოდეთ. ცოდვაა, ასეთი ტალანტის დაღუპვა. დარჩით გერმანიაში და ერთი წლის შემდეგ მილიონერს გახდით!

ადვილი სათქმელია „დარჩით“... შეგახსენებთ, 1962 წელი იყო...

„ერთი ორმოცი წელი რომ ჩამოგვკალო...“

1936 წელს გაიმართა საბჭოთა კავშირის საკლუბო გუნდების პირველი ჩემპიონატი და თასის გათამაშება. და აი, 50 წლის შემდეგ, 1986 წლის ზაფხულში, გადაწყდა საბჭოთა

ფეხბურთის ორი მთავარი ტურნირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილის აღნიშვნა. მოსკოვში მონვეულნი იყვნენ იმ მოვლენების მონაწილენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან. პროგრამა ითვალისწინებდა საზეიმო საღამოს, ფეხბურთის მოყვარულეთან შეხვედრას, ვეტერანთა მატჩს...

საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით პეტროვის ბაღში, სტადიონზე ორგანიზებული იყო პრეს-კონფერენცია, რომელზედაც დინამოს გუნდების ფეხბურთელები და მწვრთნელები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, თბილისიდან - პასუხობდნენ გულშემატკივართა შეკითხვებს.

„როდის თამაშობდნენ უკეთესად: თქვენს დროს თუ ახლა?“ ასეთი კითხვა მიიღო ბორის პაიჭაძემ.

სახელგანთქმული სპორტსმენი მივიდა მიკროფონთან და იმის მიხედვით, თუ როგორ დაუფიქრებლად, თვითდაჯერებულად დაინყო გამოსვლა, იგრძნობოდა, რომ მსგავს შეკითხვებზე დიდი ხანია ფიქრობდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანდ გასცა პასუხი საკუთარ თავს და ახლა მზადაა თავისი მოსაზრებანი გაგვიზიაროს. არც სტენოგრაფიული, მით უმეტეს, არც აუდიო ჩანერა არ მიმდინარეობდა. გამოსვლა აღდგენილია თვით ბორისთან და მის შვილთან, რამაზთან საუბრისას, რომელიც ესწრებოდა იმ ზეიმს.

- როცა ჩვენ ვთამაშობდით, მაშინ მძლეონები ხტებოდნენ ბამბუკის ჭოკებით, მოგვიანებით მეტალის ჭოკი გაჩნდა. ამით შეიანდებოდა ნიკოლაი ოზოლინი იპყრობდა ოთხმეტრიან სიმაღლეს. ახლახან ევროპის ჩემპიონატზე კი, შტუტგარტში, სერჯი ბუბკამ გაიმარჯვა 5,85 მ შედეგით. მაგრამ მას ჰქონდა არა ბამბუკის, არამედ თანამედროვე - ფიბერგლასური იარაღი...

ფეხბურთელი ისე არ არის დამოკიდებული ინვენტარზე, როგორც მხტომელი. მაგრამ ნუ იჩქარებთ დასკვნების გამოტანას. ნუ იფიქრებთ, რომ მოყვანილი მაგალითი ძალიან შორსაა აქ დასამული საკითხისგან. აი, დღეს ბუბკა თუ ბამბუკის ან მეტალის ჭოკით გადახტება 6 მეტრზე, მე ორივე ხელს ავწევ.

ჩვენ ვთამაშობდით ძველებური, ზონრეზიანი ბურთებით, მძიმე, მოუხერხებელი ბუცებით, ვვარჯიშობდით დღეში ერთხელ ან ზოგჯერ ორ დღეში ერთხელ, პრიმიტიული მეთოდებით, წარმოდგენა არ გვქონდა ტრენაჟორებზე და რეაბილიტაციურ პროცესებზე. და მაინც „არაუშავს“ ვთამაშობდით. აი აქ, სცენაზე, სხვადან ჩემი თანამედროვენი, თავიანთი საქმის გამოჩენილი ოსტატები. ჩამოგვაკლო ახლა ჩვენ 40-50 წელი, გვაჯარჯობა ნახევარი წელი და შეგვაჯობრა იმათთან, ვინც ჩვენი საუკეთესო გუნდების ღირსებას იცავს. როგორ ფიქრობთ, გავრილ დიმიტრის ძევ, - მიუბრუნდა პაიჭაძე კაჩალინს, - ვერ გავიმარჯვებთ?

- თქვენ სამი თვეც გეყოფათ, ძვირფასო ბორის, რომ ორივე ბეჭე დაწვინოთ ისინი, - უპასუხა ცნობილმა მწვრთნელმა საერთო აპლოდისმენტების თანხლებით.



### მიხეილ ბულგაკოვი – XX საუკუნის საუკეთესო რუსი მწერალი

„მოსკოვის ექოსა“ და „Ex libris HG“-ს ერთობლივი აქციის შედეგად დამთავრდა არჩევნები – კენჭისყრა ნომინაციაში – „რუსი მწერლები“.

ნომინაციაში სულ მონაწილეობდა 6597 კაცი.

აი, როგორ გამოიყურება XX საუკუნის ათი ყველაზე საუკეთესო რუსი მწერალი.

1. მიხეილ ბულგაკოვი – ხმათა 63,68 პროცენტი.
2. ბორის პასტერნაკი – 27,27.
3. ანა ახმატოვა – 25,86.
4. ალექსანდრე სოლჟენიცინი – 25,59.
5. ივან ბუნინი – 25,07.
6. ვლადიმერ ნაბოკოვი – 27,92.
7. იოსიფ ბროდსკი – 23,89.
8. ალექსანდრ ბლოკი – 17,78.
9. მიხეილ შოლოხოვი – 16,05.
10. მაქსიმ გორკი – 14,51.

გაზეთი „მოსკოვის ექო“.



\*\*\*

ვენესუელაში, კერძოდ კარაკასში ხვევნა-კოცნა აკრძალულია. ქალაქის მერმა, ყოფილმა „მის მსოფლიომ“ 36 წლის ირენ სესმა ქალაქის საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში უცნაური აკრძალვები დაანწესა. აკრძალულია მოკლე კაბისა და შორტის ტარება გოგონათათვის. იქაური გაზეთის „ელ ტიემპოს“ ცნობით, უკვე თხუთმეტი შეყვარებული წყვილი იქნა დაკავებული პარკებსა და სხვადასხვა ადგილებში.

\*\*\*

სულ მალე თავის პირველ ფილმს გადაიღებს ანტონიო ბანდერასი სახელად „შემლილი ალაბამაში“ და რომელშიც ქალის მთა-

ვარ როლს მისი მეუღლე, მელანი გრიფიტი შეასრულებს.

\*\*\*

ჯგუფ „ოაზისის“ წევრ ძმებთაგან ერთ-ერთმა, ნოელ გალაჰერმა განაცხადა, რომ იგი აპირებს შეისყიდოს თავისი საყვარელი საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ სიტი“.



\*\*\*

პროფესიულ სამეულში, მედია-კინო-მოდა კვლავაც დიდი როლი უკავია მამაკაცის ჰალსტუხს. მაგრამ როგორ უნდა ავიჩინოთ? ტელეფონების დამახსოვრება და სიმღერების დასწავლა უფრო ადვილია, ვიდრე ჰალსტუხის ამორჩევა. ზოგს ერთფეროვანი ხიბლავს, ზოგსაც

ბრჭყვიალა, ერთნი ჭრელს ირჩევენ, მეორენი სადას, მესამენი შავსა და ნაცრისფერს. მაგრამ რატომღაც, ყველას გამოორჩა ნითელი ჰალსტუხი. სწორედ ჰოლივუდის ვარსკვლავმა ნიკოლას კეიჯმა გაახსენა ხალხს ამის შესახებ. ბოლო რამოდენიმე შეხვედრაზე იგი ნითელი ჰალსტუხით ჩნდებოდა და საკმაოდ ელეგანტურადაც გამოიყურებოდა. ამრიგად, ნითელი ფერი კვლავ დაამშვენებს მამაკაცთა მკერდს.



\*\*\*

საფრანგეთის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ემე ჟაკე, რომელმაც გუნდი გასულ წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, 1998 წლის საუკეთესო მამაკაცად აღიარეს. ბედის ირონიაა, თორემ ჟაკე კარგახნის მანძილზე იმყოფებოდა კრიტიკის ქარცეცხლში. ერთ-ერთმა ჟურნალმა იგი ყველაზე არასასურველ მამაკაცადაც კი აღიარა. თურმე ასეც ხდება, ერთ წუთს თუ გადაგებენ, მეორე წუთს გაღმერთებენ.

\*\*\*

რამოდენიმე ხნის წინ, ცნობილმა მომღერალმა ბარი უაიტმა განაცხადა, რომ მასთან მოდიან ახალგაზრდები, რომელთაც ბავშვები ახლავთ და ეუბნებიან, რომ ისინი დაიბადნენ მისი სიმღერების წყალო-

ბით. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ დროს ბარი უაიტის სასიყვარულო სიმღერებზე შეყვარებული წყვილები კარგავდნენ საკუთარ ემოციებზე კონტროლს. ბარი უაიტი კი იმედოვნებს, რომ მათ შვილებს კარგი სმენა ექნებათ.



\*\*\*

ცნობილი რეჟისორების ლუკ ბესონის, ჟან-პიერ ჟენეს, ჟან კუნენის შემდეგ ახალგაზრდა მსახიობი გოგონები ამერიკაში გარბიან. ასევე მოიქცა ფრანგი მსახიობი ჯული დელპი, ჰოლივუდში თებერვლის თვეში თავისი ახალ ფილმს რომ ელოდება „მითხარი“. იგი თავის ქვეყანაზე ცუდის თქმასაც არ ერიდება. „მსახიობებს საფრანგეთში არა აქვთ ისეთი პერსპექტივა, როგორც ამერიკაში. იქ მათ თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნების საშუალება აქვთ. აქ კი ახალგაზრდა გოგოსაგან არაფერს ელიან“. ძნელია იმის თქმა, ასე ძალიან თურმე გააბრაზა ჯული დელპი, მაგრამ ფაქტია რომ, საფრანგეთიდან ამერიკაში მსახიობთა მიგრაცია კვლავაც გრძელდება.

\*\*\*

ყოფილი კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი დათანხმდა, გახდეს თელავივის მაკაბის (ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპორტუ-



**აპგუბი, აპგუბი, აპგუბი, აპგუბი, აპგუბი, აპგუბი, აპგუბი...**



Ben Johnson

სორმა მისი დაჭაშნიკება მაშინვე გადაწყვიტა. მაგრამ ერთი ჭიქის დაღვევის შემდეგ, იგი გალურჯდა, სუნთქვა შეეკრა და უგონოდ დაეცა. თავდაპირველად გაჩნდა ვერსია, თითქოს ვილაცას მისი მონამღვა სურდა, მაგრამ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გაირკვა, რომ სპილბერგს სწორედ იმ ყურძნის ჯიშზე ჰქონია ალერგია, რომლისგან დამზადებული ღვინოც მეგობარმა აჩუქა.



\*\*\*

შვეიცარიაში, მანქანების გამოფენაზე ერთი სასაუნაული შემთხვევა დაფიქსირდა. 13 წლის სტეფანიმ, ძველი კადილაკით, წარმოადგინა მანქანა აკვარიუმში. სალონი მთლიანად სავსე იყო წყლით. მასში კი, მისივე გამოგონების თქმით, 800 ლიტრი წყალი ჩადის. ამრიგად, ზაფხულში გაგრილების ამ საუკეთესო გამოგონებამ გამოფენაზე პირველი ადგილი დაიმსახურა.

\*\*\*

თუკი „ვიაგრას“ გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი ეფექტი გამოიწვიოს,



იომირო ნაკამაცუს მტკიცებით „ლოვლელტ“ სრულიად უვნებელი პრეპარატია. იაპონელმა მეცნიერმა, რომელიც კომპიუტერული ტექნოლოგიის სფეროში მუშაობს, გამოიგონა იმპოტენციის სანინალმდეგო ამერიკული პრეპარატის ალტერნატიული საშუალება, რომელიც კარგად მოქმედებს როგორც კაცებზე, ასევე ქალებზე.

\*\*\*

ჟან-მიშელ შაზინმა და ლუკ-ანრი ფაჟმა (დოკუმენტაციათა კვლევის ცენტრი აზიასა და ოკეანეთში) აღმოაჩინეს ორი დიდი გამოქვაბული, შემკული გროტესკული ნაკეთობებით და რომლის დისტანციაც 80 კილომეტრია. იგი აღმოჩენილ იქნა კალიმანტანში, ბორნეოს ინდონეზიურ ნაწილში. ეს ორი გამოქვაბულთა ანსამბლი ხუთიდან ოცი ათასი წლით არის დათარიღებული და აგრეთვე მდიდარია თავის მხატვრული დეკორაციით. იქ გამოსახულია ადამიანის

ხელის ფორმა ნეგატივით და სხვა მრავალი რამ რომელთაგანაც ზოგი კვლავაც ამოუცნობი რჩება.

\*\*\*

ნუთუ საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ ფრანგ ფეხბურთელს ემანუელ პეტის თამაშების შუალედში



ჰქონდა იმის დრო, რომ ჟან-კლოდ ჟიტრუასთან ერთად გაეხსნა ლონდონში ტანსაცმლის მაღაზია. „ტანსაცმლის ყიდვა, ეს ჩემი სტიქიაა. მე ეს ყოველთვის მიყვარდა. ადრე სამი ფრანკი რომ მეშოვა, მე მას მაღაზიაში ვხარჯავდი“ – ამბობს მსოფლიო ჩემპიონი. რაც შეეხება ტელემყურებელს, ისინი მას იტმის არხზე იხილავენ ახალ სერიალში „ბილი“, სადაც მისი სადებიუტო როლი შედგება.

ფრანგული ჟურნალი „ობსერვატორი“

თარგმნა  
გიორგი ჩიკვაძე

№ 7-8 1999 (705)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

**დროშა**

სარედაქციო კოლეგია:


ჯანსუღ ჩარკვიანი – თავმჯდომარე,

გულნარა განტაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვატაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თაღო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ მანგალია, ზურაბ ნაჩათელი, თამაზ ჭილაძე.





**თარაზულად:** 1. სპორტული თამაში. 4. იტალიელი კომპოზიტორი. 9. რაიმე შეჯიბრების, კონკურსის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ყველა მონაწილე თითოჯერ გამოდის. 10. ფრანგი კინორეჟისორი. 11. ჩანანერები, დღიური. 14. აზიის სახელმწიფო. 17. თოკებით შემოკავებული კვადრატული ფორმის მოედანი კრივში შეჯიბრებისათვის. 18. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისათვის. 19. საგანგებო ჯოხი, რომელიც ხელთ ეპყრა დიდი თანამდებობის ზოგ პირს, როგორც ნიშანი ძალაუფლებისა. 20. მსახიობი. 24. კავშირი, გაერთიანება. 25. პერსონაჟი მამაკაცის სახელი მექსიკურ ტელესერიალში „ველური გული“. 26. სიმებიანი სამუსიკო საკრავი. 30. უნარი ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში (მე-14-18 სს), რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების ნიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა. 32. დიდი ტანის მცოხნელი ცხოველი. 33. ბერძნულ მითოლოგიაში: თავდავინწყების მდინარე მინისქვეშა სამეფოში. 34. პანანინა მგალობელი ფრინველი. 35. ნახაზი, გრაფიკული გამოსახულება, რომლითაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი რაიმე სიდიდეების შეფარდება.

**შეუღლად:** 2. ამერიკელი კინომსახიობი. 3. პერსონაჟი კაცის სახელი უ. შექსპირის ნაწარმოებში. 5. სამხ. კორეის დედაქალაქი. 6. მნიშვნელოვანი აზრი, განზრახვა, ჩანაფიქრი. 7. გავლენა, ავტორიტეტი, ნდობა. 8. დიდი კეტი. 9. რაიმე სახის გადასახადის განაკვეთი ან განაკვეთთა ცხრილი – ნიხრი. 12. სახლის ზედა ნახევარსართული. 13. ქართული მხატვარი. 15. თოვლზე სასრილო საზიადარი, რომელსაც თვლების ნაცვლად აქვს კავები. 16. ეკლესიაში: ამაღლებული ადგილი მგალობელთათვის. 21. ძველი ქართული ექსპროზტი, მოკლე, ჩვეულებრივ რამდენიმე სტრიქონიანი ლექსი. 22. პროტესტანტების მღვდელი. 23. ინგლისელი თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი. 27. მანძილზე სასროლი ბრტყელი ლითონი – სპორტული იარაღი. 28. საზოგადოების ზედაფენა, „რჩეული“ საზოგადოება. 29. მინის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში. 31. კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ოპერა.

### შეადგინა ციალა აბაშუკაძე

### „დროშა“ №5-6-ში გამოქვეყნებული პროსპორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. მერსიე. 6. ფორუმი. 10. აბატი. 11. მაისი. 12. მედალი. 13. ფრიზი. 15. ამერიკა. 17. „ადიდასი“. 19. კარნე. 20. „ავარა“. 23. კალიბრი. 25. გალერეა. 27. არაკი. 29. დაბალი. 30. გოტიკა. 31. სანდი. 33. ბერტტი. 34. ვარძია.

**შეუღლად:** 1. ბროდვეი. 2. ლირი. 3. ფონი. 4. ბუნკერი. 7. დრაქმა. 8. თალი. 9. ნილოსი. 13. ფაცეცია. 14. იარანგი. 16. „რეალი“. 18. დარიე. 21. ფარაჯი. 22. ბერკლი. 24. ბულაური. 26. ლეონიდე. 28. აგნი. 31. სეტი. 32. იზაი.

ეროტიკული ფილმები ქართველი კინომატოგრაფისტებისათვის, შეიძლება ითქვას, აქამდე აკრძალულ ხილად ითვლებოდა. იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ეკრანები წალეკა ამ სახის კინოსურათებმა, ჩვენში იგი ტაბუდადებული იყო. ამ ჟანრის პიონერად საქართველოს კინემატოგრაფიაში ცნობილი რეჟისორი გიორგი შენგელაია გახლდათ პირველი ქართული მიუზიკლის – „ვერის უბნის მელოდიების“ და პირველი ქართული ვესტერნის – „მაცი ხვითის“ – ავტორი.

და აი, ახლა მოკლემეტრაჟიანი ეროტიკული ფილმი „სიყვარული ვენახში“.

ქართული კინო და ეროტიკა? გარკვეული ხნის წინათ ზოგისთვის ეს წარმოუდგენელი იყო.

მაინც რას ნიშნავს ეროტიკა? თუ ლექსიკონში ჩავიხედავთ, გავიგებთ, რომ ეს სიტყვა ბერძნულია და სიყვარულის ღმერთის ეროსისაგან მომდინარეობს. ეროსი ხომ ქადაგებდა სიყვარულს, ვნებას და ყველაფერს, რაც ვნებებთან არის დაკავშირებული. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ეროსს სულიერი აღმავლობის, აღტაცების ძალად მიიჩნევდა, რაც აგრერივად არის დაკავშირებული კეთილთან და მშვენიერებასთან.

...ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი-კომედია, ფილმი-ხუმრობა მოსწრებულ ანეკდოტს მოგვაგონებს, რომელიც საოცარი ოსტატობით არის ხორცშესხმული ეკრანზე. სხვას არც უნდა ველოდეთ გამოცდილი რეჟისორისაგან.

მაინც რით გვაძხიარულებს ეს მშვენიერი კინოსურათი, რომელიც გერმანიის ტელევიზიის მიერ არის დაკვეთილი? მოულოდნელობით...

სურათი ერთ უბრალო სოფელს ქალზე მოგვითხრობს, რომელიც ქმარზე ეჭვიანობით გაანჩნლებული მეორე სოფელში – დედასთან მიდის. იგი ხვდება თავისი ეჭვიანობის მიზეზს, ქალაქელ „მანსიპირებულ“ ქალს და მისი მეშვეობით გარდაიქმნება თანამედროვე მზეთუნახავად. ახლა უკვე ქმარი იწყებს ეჭვიანობას და ახალგაზრდები შესარიგებლად ვენახში მიდიან.

ქალის მთავარ როლს ასრულებს ქართველი მსახიობი – ამჟამად ამერიკაში მცხოვრები – ია ფარულავა. მას ღირსეულ პარტნიორობას უწევს მსახიობი ზაზა პაპუაშვილი. სცენარი თავად რეჟისორმა დაწერა ლევან კიტიასა და კოტე ჯანდიერთან ერთად.

თუ როგორი გამოვიდა ფილმი, შეფასება მაყურებლისთვის მიგვინდია.

### ლაპარა რევიზილი

**გარეკანის პირველ გვერდზე:** საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის „მისს ფესტივალის“ პრიზიორი მიაა კანკავა.  
რეპროდუქციები მისი მხატვრული ნამუშევრებიდან.  
**მეოთხე გვერდზე:** ცხელი ზაფხული.




გამომცემლობა „სამშობლო“ სტამბა

ტექნიკური იაზა პარიჟაძე





კადრები ფილმიდან. რეჟისორი გიორგი შენგელია



სიყვარული კუნძული



gp 115/13

ARISTON  
S.p.A. 1980

